# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 ივლისი, 2008 წელი.

№ 133 (5991)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# რატომ გამოგვყარეს?.. 5

საქართველოს ეროვნული ბანკიდან ე. წ რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებულ თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება



## როგორ უნდა გძულდეს და გეზიზღებოდეს მშობლიური დედაქალაქი, რომ ასეთი შენობები ააგო?! 5

ლევ პონომარიოვი:

## ყველაფერზე, რაც ხდება, მთელი პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება 2

## გოკა გაბაშვილს ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება ხალხად არ მიაჩნია 3



## საქართველოს რუსეთთან დავაში გერმანია ჩაერთო 7




## თანამედროვე სასწაულები 8-9

*„არც ერთი მეცნიერული არგუმენტი რელიგიას არ ეწინააღმდეგება“*

## დაკარგავს თუ არა ქართული ტელევიზია მაყურებელს?

◉ რუსი სამართალდამცველი

## ლევ პონომარიოვი: ყველაფერზე, რაც ხდება, მთელი პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება

**რუსმა სამართალდამცველებმა რუსეთ-საქართველოს შორის მოსალოდნელი ომის თავიდან ასაცილებლად ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. „ინტერპრესნიუსი“ ხელმოწერების ერთ-ერთ ორგანიზატორს, რუსეთში ადამიანის უფლებათა დამცველ ყველაზე მრავალრიცხოვან „საერთო-რუსული საზოგადოებრივი მოძრაობა ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარეს ლევ პონომარიოვს ესაუბრა.**

**— ბატონო ლევ, რამ გიბიძგათ იმისაკენ, რომ მოსკოვში დაიწყეთ ხელმოწერების შეგროვება საქართველოს დასაცავად და რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ვითარების განსამუხტად?**

— ჩვენი განცხადება არ არის საქართველოს სასარგებლოდ გაკეთებული, იგი მშვიდობის სასარგებლოდ გაკეთდა. ჩვენ მართლაც შეშფოთებული ვართ იმ რიტორიკით, რომლითაც საქართველოზე საუბრობენ რუსეთის პოლიტიკოსები და სამხედროები.

მე არ მაქვს საშუალება ვიცოდე, თუ რას წერს ქართული პრესა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ალბათ მასშიც ბევრი ურაპატრიოტული განცხადებები კეთდება, მაგრამ მე თვალს ვადევნებ რუსულ პრესას და ჩვენი პოლიტიკოსების განცხადებები მაშფოთებს.

ჩვენ ვიცით, რა უაზროდ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. პრინც ფერდინადის პროვოკაციულ მკვლელობას მსოფლიო ომის დაწყება მოჰყვა. ახლა პროვოკაციის ალბათობა ყველა მხრიდან და ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი. ომის პარტია არის რუსეთშიც, საქართველოშიც, აფხაზეთშიც და სამხრეთ ოსეთშიც. ყველგან არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან პოლიტიკური კარიერა სისხლისღვრაზე გააკეთონ. ზარბაზნები რომ აგრუხუნდება, მერე გვიანი იქნება.

**— რამდენადაც გავიგე, თქვენ საქართველოში საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში მსოფლიო ომის დაწყებას არ გამორიცხავთ?**

—ჩვენს განცხადებაში ამაზე საუბარი არ არის და თუ სიმართლე გინდათ, მე ასე არ ვფიქრობ. ახლა ძალიან ბევრი ისეთი იარაღი არსებობს, რომ მსოფლიო მასშტაბის ომი გამორიცხულია. საქართველო ახლა მარტო არაა და მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

მსოფლიო ომის დაწყების არ მჯერა, მაგრამ საერთო კავკასიური ომის, თანაც გაჭიანურებული ომის დაწყებას, ვუშვებ. ჩვენ გვახსოვს როგორ დაიწყო ომი პატარა ჩეჩნეთში, რამდენ ხანს მიმდინარეობდა იგი და ახლაც როგორ გრძელდება. საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში საერთო კავკასიურ კატასტროფას მოველი.

**— სამწუხაროა, რომ კრემლის მოქმედებას რუსული პრესა მხარს, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთხმად უჭერს და ვითარებას ძაბავს. რუსეთის არაკორექტული და უსამართლო მოქმედებების მიუხედავად, საქართველო სიმშვიდეს ინარჩუნებს.**

— მე კომენტირებას ვერ გავუკეთებ თქვენს შეფასებას, იმიტომ, რომ არ ვიცი სინამდვილეში რა ხდება საქართველოში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ომის პარტია რუსეთში, საქართველოში, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთშიც არის. ისინი დაინტერესებული არიან საომარი მოქმედებების დაწყებაში.

რუსეთი ყველაფერში საქართველოს ადანაშაულებს, საქართველო — რუსეთს. არ ვიცი ვინ უფრო მეტად არის დამნაშავე, ამისათვის არც შესაბამის ინფორმაციას ვფლობ და არც კომპეტენციას, მაგრამ ვხედავ, რომ რუსული პრესა და ტელევიზია სინამდვილეში ძაბავს ვითარებას. მე არ მომწონს, რომ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ტელევიზიები არალასურველ ატმოსფეროსა და საზოგადოებრივ აზრს ქმნიან საქართველოსთან ომის დაწყების სასარგებლოდ.

მე და ჩემმა მეგობრებმა დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება და გვინდა რუსეთის პოზიციაზე გავლენის მოხდენა.

მე არ ვიცი, ვინ განახორციელა აფეთქებები აფხაზეთში, მაგრამ ვიცი, ვისაც არ უნდა ჩაედინა ეს, თუნდაც საქართველოს ანდაც რუსულ სპეცსამსახურებს, რუსეთს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, რადგან ის დიადი სახელმწიფოა. მას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე საქართველოს. რა უპასუხისმგებლოდ არ უნდა იქცეოდეს საქართველო აფხაზეთში, ყველაფერზე, რაც ხდება, მთელი პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება.

**— ბატონო ლევ, გასაგებია, რომ აფხაზეთი მხოლოდ მიზეზია და რუსეთს საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა აღიზიანებს, მაგრამ თქვენი აზრით, რუსეთს საქართველოს ნატოში გაწევრების შემთხვევაში რა უფრო აღიზიანებს, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, თუ ის, რომ დემოკრატიული საქართველო და უკრაინა რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია...**

— რამდენადაც მესმის, რუს პოლიტიკოსებს და განსაკუთრებით სამხედროებს ყველაზე მეტად საქართველოს ნატოში გაწევრება აშფოთებთ. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და უფლება აქვს ეს საკითხები თავად გადაწყვიტოს. მაგრამ საქართველოს უნდა ესმოდეს, რომ რუსეთში საკმაოდ ძლიერია სამხედრო ლობი, რომელთაც შეუძლიათ ქვეყნის საომარ ავანტიურაში ჩათრევა.




მიუხედავად იმისა, რომ მიმაჩნია საქართველოს აქვს უფლება გაწევრდეს ნატოში, საქართველოს ხელისუფლებისათვის ჩემი რეკომენდაცია იქნებოდა, ამ საკითხში შეიტანოს კორექტივები. საქართველოს ხელისუფლებას ვურჩევდი არ იჩქაროს ნატოში გაწევრება.

ელცინის მმართველობის პერიოდში საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკოსი ვიყავი და საკმაოდ ბევრი გავაკეთე იმისათვის, რომ ჩეჩნეთში ომი არ დაწყებულიყო. წერილით მივმართე ელცინს და მე და მარშალმა შაპოშნიკოვმა დავიწყეთ ელცინ-დუდაევის შეხვედრის ორგანიზება.

რაღაც მომენტში დუდაევი მზად იყო შეხვედროდა ელცინს. იგი ჩეჩნეთისათვის ისეთივე უფლებებს ითხოვდა, როგორიც მაშინ თათარსტანს ჰქონდა, მაგრამ ელცინის გარემოცვაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც უკვე ომის დაწყების სასარგებლოდ მუშაობდნენ და უნდოდათ ჩეჩნეთში ომის დაწყება. სწორედ მათ არ დაუშვეს ელცინ-დუდაევის შეხვედრის ორგანიზება.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენს წამოწყებას რუსეთში მხარს ბევრი დაუჭერს და მართლა გჯერათ, რომ თქვენ ხმას კრემლში გაიგონებენ?**

— ჩვენ ხელმოწერების შეგროვება მხოლოდ გუშინ დავიწყეთ. მოხდა ინფორმაციის გაჟონვა, პრესამ გაიგო და ახლა მგონი ბევრმა შეიტყო. ახლახან გარი კასპაროვმა დამირეკა, მასაც სურს ამ მიმართვაზე ხელმოწერის გაკეთება. ამ დროისათვის ხელი მოაწერეს ადამიანის უფლებების ცნობილმა დამცველებმა — გრაფოვამ და გალუშკინამ, ბევრი რეკავს. ვფიქრობ, რუსეთში მცხოვრები ადამიანის უფლებების დამცველები, რომელთა რიცხვი 1000-მდეა, ხელს მოაწერენ.

რაც შეეხება იმას, გაიგონებენ თუ არა ჩვენს ხმას კრემლში. ადამიანის უფლებების დამცველებს გვაქვს ასეთი წესი — აკეთე ის, რაც აუცილებელია, იქნება ის, რაც იქნება.

ჩვენი ვალია ამ თემის აქტუალიზაცია და ხელმოწერების შეგროვება. კრემლს რა რეაქცია ექნება, არ ვიცი.

**ესაუბრა**
**კობა ბენდელიანი**

◉ წარდგინება

# დიასპორის ფონდი მალე შეიქმნება

**დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი წლეულს, 12 თებერვალს შეიქმნა და ხუთ თვეზე მეტია, რაც მუშაობს. ხუთი თვის მანძილზე სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგოშიძე ოფიციალური ვიზიტით რამდენიმე ქვეყანაში იმყოფებოდა, სადაც ქართულ დიასპორას შეხვდა. მინისტრი საფუძვლიანად გაეცნო საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების პრობლემებს.**



ეს პრობლემები იულონ გაგოშიძემ სახელმწიფო მინისტრის აპარატში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე გააცნო ჟურნალისტებს, რომლებიც სამინისტროს ვებგვერდის, აპარატის ლოგოსა და მისიის წარდგინებას დაესწრნენ. სახელმწიფო მინისტრმა მათ თამარაშვილის ქუჩაზე 15ა ნომერში, მე-3 სართულზე განთავსებული, შეკეთებულ-გარემონტებული ოფისი დაათვალიერებინა და დასძინა, რომ აპარატში გამართული კონკურსის შედეგად, გამარჯვებულები გამოვლინდნენ და მალე 22 თანამშრომელი მუშაობას შეუდგება.

— ჩვენი ახალი ლოგოს დევიზია „ძალა ერთობაშია“, — განაცხადა მინისტრმა, — რაც ძალზე მნიშვნელოვანია. დიასპორა სახელმწიფოს ერთიანი, განუყოფელი ნაწილია. მასთან ურთიერთობის რამდენიმეთვიანმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ეს ფაქტორი უაღრესად მნიშვნელოვანია, იგი უზარმაზარ როლს ასრულებს, როგორც ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ისე საგარეო პოლიტიკაში თუნდაც პრესტიჟის თვალსაზრისით.

მარტო ის რად ღირს, რომ მაისის შემდეგ მსოფლიოს 20 ქვეყანაში ქართველებმა პროტესტი გამოხატეს საქართველოს უფლებებზე რუსეთის შეტევის წინააღმდეგ.

იულონ გაგოშიძემ ვებგვერდის მნიშვნელობაზეც ილაპარაკა, რომელიც ძალიან მძლავრი იქნება და ვირტუალურად გაამთლიანებს მთელს ჩვენს დიასპორას.

— ამ ვებგვერდის მეშვეობით განვახორციელებთ დიასპორის ფონდის მართვას, რომელიც მალე უნდა დაარსდეს, — განაგრძო გაგოშიძემ, — პარადოქსია, რომ მთელი ჩვენი წლიური ბიუჯეტი 750 ათასი ლარია. უცხოეთში მოქმედი ქართული სკოლებისთვის ქართული სახელმძღვანელოების დეფიციტი უპირველესი პრობლემაა, რომლის მოგვარებას ჩვენი ბიუჯეტი ვერ გასწვდება. ამის გარდა, მოცეკვავეებსაც ვუგზავნით ეროვნულ ტანსაცმელს. ამიტომ აუცილებელია ფონდის შექმნა და თანხების მოზიდვა. დიასპორა თავად გადაანაწილებს თავის ფულს საჭიროებისამებრ. მაგრამ ფონდის შესაქმნელად აუცილებელია პარლამენტის დადგენილება, რაც სექტემბრამდე ვერ მოხერხდება.

იულონ გაგოშიძემ ქართული დიასპორის მრავალფეროვნებასაც გაუსვა ხაზი, რომ იგი არ არის მონოეთნიკური, არამედ აქედან წასულ აფხაზებს, ოსებს, ბერძნებს დღესაც არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოსთან.

— თურქეთში ცხოვრობს აფხაზეთიდან XIX საუკუნეში დევნილი მოსახლეობა, რომელთანაც ქართულ დიასპორას თბილი ურთიერთობა აკავშირებს. ეს კი კონფლიქტის მოგვარების საფუძველია. ახლახან, ჩემი თურქეთში ვიზიტის დროს ერთ-ერთ შეხვედრაზე გავიცანი აფხაზეთიდან დევნილი მომღერალი ქალი, რომელიც მოვიწვიე და მალე თბილისშიც ჩამოვა.

არა მარტო თურქეთში, სოჭშიც ძირითადად აფხაზეთიდან წასული 70 ათასი კაცი ცხოვრობს. ქართველები და აფხაზები იქ ერთად არიან. ეს ფაქტიც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია.

იულონ გაგოშიძის თქმით, საქართველოდან უცხოეთში ჩვენი მოსახლეობის ერთი მეოთხედია წასული. ისინი ყველაზე შრომისუნარიანი და რისკიანი ხალხია. საზღვარგარეთ 800-ზე მეტი მარტო ქართველი მეცნიერი ცხოვრობს — მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები, ბიოლოგები, მედიკოსები. მათ მსოფლიო სამეცნიერო სამყარო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. საჭიროა ამ პოტენციალის საქართველოში დაბრუნება, რისთვისაც სათანადო პირობები უნდა შეიქმნას. ამ საკითხზე იმუშავებს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიც, — დაასკვნა გაგოშიძემ.

**მან ჟურნალისტებს მოადგილეები — თამარ მახარაშვილი, მერაბ ჩუხუა და გიორგი გამსახურდია წარუდგინა.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

ორი სიმართლე?

# სოზარ სუბარი პარლამენტის კრიტიკას უმართებულოდ მიიჩნევს

## გოკა გაბაშვილს კი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება ხალხად არ მიაჩნია

***პარლამენტის საზაფხულო სხდომის დამთავრების დღეს, სახალხო დამცველმა — სოზარ სუბარმა, პარლამენტარებს საკმაოდ ვრცელი მოხსენება წარუდგინა. სახალხო დამცველმა მოხსენებაში საფუძვლიანად განიხილა ყველა ის მოვლენა, რომელიც დღემდე ჩვენს თვალწინ ვითარდებოდა. მან ისაუბრა ნოემბრის მოვლენებზე, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე, იმ დარღვევებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან. როგორც აღმოჩნდა, სუბარის მოხსენებაში ხელისუფლებამ მეტი კრიტიკა დაიმსახურა, რამაც ჩვენი საპარლამენტო უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია.***

***უმრავლესობის უმრავლესობამ სუბარის საპარლამენტო გამოსვლას ბოლომდე ვეღარც გაუძლო და ომბუდსმენს საკუთარი მიმოხილვის დამთავრებისას, სხდომათა დარბაზში, რამდენიმე ათეული დეპუტატიღა შემორჩა. შემდგომ, სახალხო დამცველის მოხსენება მკაცრად გააკრიტიკეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა, სუბარი არაობიექტურობაში და ოპოზიციის მიკერძოებაში დაადანაშაულეს. ყველაზე უფრო კრიტიკული კი კულტურის, განათლებისა და სპორტის კომიტეტის თამჯდომარე — გოკა გაბაშვილი აღმოჩნდა:***

— სოზარ სუბარის გამოსვლა იყო აბსოლუტურად ცალმხრივი. თუ ომბუდსმენი რაიმე მოვლენაზე საუბრობს, მას უფრო ფართოდ უნდა გაეანალიზებინა ეს მოვლენა და სრულყოფილად წარმოედგინა სტატისტიკა და ტენდენციები. ჩემი აზრით, ეს იყო ოპოზიციური სულისკვეთების პოლიტიკოსის გამოსვლა და არა სახალხო დამცველისა. იგივე ნოემბრის მოვლენები, ცალმხრივად და, ასე ვთქვათ, კონტექსტიდან ამოგლეჯილად იყო განხილული, არ იყო სრულად გაანალიზებული, თუ რეალურად რა მოხდა?

**— სახალხო დამცველის ფუნქცია ხომ თავისთავად გულისხმობს ხალხის უფლებების დაცვას და რატომ მიგაჩნიათ სუბარის გამოსვლა პოლიტიკურად, თუკი მან მოხსენებაში იმ ხალხის უფლებების დარღვევაზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც ნოემბრის მოვლენებში მონაწილეობდნენ?**

— ხალხი არ ჰქვია მხოლოდ იმ ხალხს, მათ ერთ ნაწილს, ვისაც ერთი ოპოზიციური წარმოდგენა აქვს. იგი უნდა ყველას ინტერესს გამოხატავდეს. ერთსაათიან მოხსენებაში ერთი სიტყვა არ თქმულა იმაზე, რომ ნოემბრის მოვლენის დროს დაშავდა რამდენიმე პოლიციელიც, აქციის ორგანიზატორებმა არაფერი მოიმოქმედეს, რათა აქცია მშვიდობიანი ყოფილიყო, მათ ჰქონდათ მიზანმიმართული აგრესია; როცა არც ერთ სიტყვას არ იტყვი იმაზე, რომ ხდებოდა აქციის მონაწილეთა გაფრთხილება ხელისუფლების მხრიდან, რომ ისინი არღვევდნენ კანონს და ა.შ. ამ ყველაფერს გამოტოვებ, გადაახტები და არ გააანალიზებ, ეს ძალიან ცუდია. ბუნებრივია, ეს არ არის საფუძვლიანი და მართებული ანალიზი. მართალია, იქ, გარკვეულწილად, ძალიან გადაამეტეს, რამდენიმე მომიტინგეც დაშავდა, მაგრამ აქციის მონაწილეებმა მასობრივი არეულობა რომ გამოიწვიეს, ორგანიზატორებმა შეგნებულად გაამწვავეს ვითარება და ფსიქოზამდე მიიყვანეს ამაზე არაფერი არ იყო ნათქვამი.

**— ნოემბრის მოვლენების დროს ძირითადად დაზარალებულები აღმოჩნდნენ პროტესტანტები, ეს გამოიწვია ხელისუფლების გაშვებულმა ცრემლსადენმა გაზმა და დარბევამ. ასეთ ვითარებაში, ალბათ, ბუნებრივია, რომ სახალხო დამცველმა ხმა ამოიღო ხალხის დასაცავად.**

—გაზს და სხვა საშუალებებს ყველა ქვეყანაში იყენებს პოლიცია, მით უმეტეს, როცა ვითარება უკონტროლოა. ასე ხდება ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. უნდა ემსჯელა იმაზეც, რომ პოლიტიკურმა ძალებმა ვერ მოახერხეს მაგიდის გარშემო დასხდომა და მოლაპარაკება, რასაც კი ხელი შეუწყეს ოპოზიციურმა ძალებმა. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ არ მომხდარიყო კონსენსუსი.

**— თუმცა ცრემლსადენი გაზის გარდა, საზოგადოებამ ნახა ისეთი ფოტოებიც, რომელზედაც თვრამეტი წლის აქციის მონაწილე ბიჭია აღბეჭდილი, რომელსაც მძიმე ჭრილობა მიაყენეს ფეხზე და შესაძლო იყო ფეხის ამპუტაციაც დასჭირვებოდა. ასეთი ქმედებები, რამდენად ეტევა დემოკრატიის ფარგლებში?**

— ყველა ის საშუალება, რომელიც მომიტინგეთა მიმართ გამოიყენეს, მიღებულია ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის ძალიან განვითარებულ ქვეყნებშიც. მართალია, კონკრეტულმა პოლიციელებმა, კონკრეტულმა სამართალდამცავებმა გადააჭარბა უფლება-მოვალეობებს, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ მთლიანობაში სიტუაციის დაძაბვა და კონტროლიდან გამოყვანა მხოლოდ ცალმხრივი შეცდომების შედეგი არ იყო. შეცდომა არ დაუშვიათ მხოლოდ სამართალდამცავებს, შეცდომები, ზოგჯერ შეგნებული, ზოგჯერ შეუგნებელი, ჩაიდინეს აქციის ორგანიზატორებმაც, მათ თავიანთი მომხრეები აშკარად დაუმიზნეს სამართალდამცველებს.



ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში9 არ შეიძლება არ დაემორჩილო პოლიციას, მათ მოთხოვნებს და ძალის გამოყენებით მათ შეურაცხყოფა მიაყენო. არ ვამბობ, რომ რაც მოხდა, კარგი იყო, ეს იყო ძალიან ცუდი. ყველამ ეს აღვნიშნეთ. ამის გამო პრეზიდენტი გადადგა და ორი არჩევნები ჩატარდა ქვეყანაში, რადგანაც მართლაც კრიზისი იყო. ასე, რომ როცა მომხდარ ფაქტებს უბრუნდები, ის მთლიანობაში უნდა განიხილო და გააანალიზო და არა ცალმხრივად.

**— სოზარ სუბარმა უარყოფითთან ერთად, დადებითზეც ხომ გაამახვილა ყურადღება, და მაინც, რატომ მოყვა უმრავლესობის წარმომადგენელთა ასეთი აღელვება მის შეფასებებს, ან რატომ დატოვეს დეპუტატებმა სხდომათა დარბაზი?**

—ჩვენი შთაბეჭდილებით, ეს იყო პოლიტიკური გამოსვლა, და ასეთი პოლიტიკურად მოტივირებული გამოსვლები, ზოგადად, სახალხო დამცველს სჩვევია. ამით იგი მხოლოდ აზიანებს სახალხო დამცველის ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი, აღარ ჩანს, როგორც ობიექტური მსაჯული, არამედ გამოიყურება, როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია და მას უბრალოდ სახელი აქვს ომბუდსმენისა. მისი ეს შეფასებები არაფრით არ გამოირჩეოდა ოპოზიციური პარტიების სუბიექტური პოლიტიკური შეფასებებისგან.

აქვე გთავაზობთ სახალხო დამცვლის მოსაზრებებსაც. სოზარ სუბარს საკუთარი მოხსენება სრულიად ობიექტური და ფაქტებზე დამყარებული ჰგონია, თუმცა მას არც საპარლამენტო უმრავლესობის კრიტიკა გაჰკვირვებია. როგორც ჩანს, ამისათვის თავიდანვე მზად იყო.

**— ბატონო სოზარ, რატომ დაიმსახურეთ უმრავლესობის კრიტიკა და რატომ ჰგონია გოკა გაბაშვილს თქვენი მოხსენება პოლიტიკური, „კონტექსტიდან ამოგლეჯილი“ და „ცალმხრივი“?**

—საოცარია მათი შეფასება, რადგანაც ჩემი მოხსენება მთლიანად ფაქტებს ეფუძნებოდა. მე პარლამენტს წარვუდგინე მომხდარი ფაქტები და არა მათი შეფასება. მე შეგნებულად შევიკავე თავი რაიმე შეფასებების გაკეთებისგან. მაგალითად, ჩემს მოხსენებაში ლაპარაკია ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრაზე, რაც ფაქტია და არა შეფასება; სტუდია მაესტროს წინააღმდეგ მიმართული ქმედებები — ფაქტია; ნოემბრის მოვლენებზე რამდენმა ადამიანმა მიიღო დაზიანება, მათ შორის სამმა ცეცხლსასროლი იარაღითაც — ეს ყველაფერი ფაქტებია და არა რაიმე შეფასება.

ერთი მხრივ, ბრალს მდებენ, თითქოსდა აქ არ იყო ფაქტები და იყო მხოლოდ შეფასება, არადა ფაქტები საკმარისზე მეტი იყო.

იხ. 4 გვ.

საფოსტო მომსახურება — დღეს და ხვალ

# გაუგებრობამ გასაგები გახადა, რომ არც ისე ცუდად არის საქმე

## ანუ, როცა ფოსტაც მართალია და მკითხველიც, რომელიც ფოსტის დადანაშაულებაში უსაბუთოდ აჩქარდა

აგერ, სულ ახლახან, 5 ივლისს, რუბრიკით **„მკითხველის ჩივილი“** ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა თბილისელი მოქალაქის **ეთერ მოისწრაფიშვილის** წერილი, — **„ყოველდღიური გაზეთები ფოსტას ხელმომწერთან კვირაში ერთხელ მოაქვს“**, სადაც, კერძოდ, ნათქვამია:

**„ჩემო კარგო რედაქცია, იმედია, ყურადღაც იღებთ ჩემს ჩივილს და გულადაც, მით უმეტეს, რომ, ალბათ, სხვა ბევრი ხელმომწერიც ჩემს დღეშია.**

**უკვე შეხნიანებული, ავადმყოფი ადამიანი ვარ, ლოგინს მიჯაჭვული. ერთადერთი საშუალება, რითაც გარესამყაროსთან კავშირს ვამყარებ, პრესაა. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია ჩემი არსებობა. ამიტომაც გამოწერილი მაქვს რამდენიმე გაზეთი. კერძოდ, თქვენი „საქართველოს რესპუბლიკა“, „24 საათი“, „ასავალ-დასავალი“ და „კვირის პალიტრა“. ვცხოვრობ კ. კეკელიძის 18 ნომერში.**

**ყოველკვირეული გაზეთები, გასაგებია, კვირაში ერთხელ მოაქვთ. მაგრამ მთელი უბედრება ის არის, რომ ყოველდღიური გაზეთების მოტანაც მხოლოდ ოთხ დღეში ერთხელ თუ გვაღირსეს.**

**ჩვენი საფოსტო განყოფილება 79-ეა და ილია ჭავჭავაძის გამზირის №1 ნომერშია. რამდენჯერმე დავრეკე კიდეც და ვთხოვე, რომ ყოველდღიური გაზეთები ყოველდღე მოეტანათ, მაგრამ ისე გამომლანძღეს, იქით გახედვა აღარ მინდა.**

**თუკი დღეს ბევრ საქმეში წესრიგი მყარდება, რაც ერთობ კარგია, და ჩვენი ხელისუფლება აკი თავსაც იწონებს ამით, მაშ, რატომ უნდა იყოს ასეთ უბადრუკ მდგომარეობაში საფოსტო მომსახურება?!“**

ჩვენს ულიმლამო ყოველდღიურობაში იმდენად მოულოდნელი იყო გაზეთის მკითხველის ეს გულწრფელი აღშფოთება, რაც გამოწვეულია ამჟამინდელი ქართული პერიოდული პრესის მიმართ ნამდვილად იშვიათი ერთგულებით, რომ „ამ იშვიათი ამბით გახარებულმა“ რედაქციამ გადაუმოწმებლად პირდაპირ ნომერში დაბეჭდა მკითხველის ჩივილი. თანაც, მით უმეტეს, რატომღაც დარწმუნებული ვიყავით დღევანდელი საქართველოს ფოსტის „მოუქნელ“ მუშაობაში, რასაც აგრერიგად გრძნობს ყოველი ჩვენგანი. ის კი არა, სადარბაზოებში საფოსტო ყუთების ნაკვალევიც უკვე კარგა ხნის გამქრალია.

მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად და გასახარად, რედაქციამ თითქმის მეორე დღესვე მიიღო საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორის ბატონ დავით ხუციშვილის გამოხმაურება, უფრო სწორად, პროტესტი, რის მიხედვითაც აშკარაა, რომ საქმე მთლად არც ისე დაღუპულია, როგორც ჩვენ გვგონია.

ბატონი **დავით ხუციშვილი** სიტყვასიტყვით გვწერს:

**„საქართველოს ფოსტის ადმინისტრაციის სახელით გვინდა, გამოვეხმაუროთ მოქალაქე ეთერ მოისწრაფიშვილის წერილს. თქვენი გაზეთის საშუალებით წუხილს გამოთქვამს საფოსტო მომსახურების თაობაზე და აღნიშნავს, რომ იმ გაზეთებს, რომელიც მას აქვს გამოწერილი, დაგვიანებით იღებს.**

**როგორც ქალბატონი ეთერი თავის წერილში აღნიშნავს, მათ რაიონს, კერძოდ კ. კეკელიძის 18 ნომერს, №79-ე საფოსტო განყოფილება ემსახურება და სწორედ მათი არც თუ ისე კარგი მომსახურებით, გაზეთებს ოთხ დღეში ერთხელ იღებს.**

**საქართველოს ფოსტის ადმინისტრაცია დაინტერესდა ამ ფაქტით და არსებულ მისამართზე, მსგავსი აბონენტის მომსახურებასთან დაკავშირებით 79-ე საფოსტო განყოფილებას, სრული ინფორმაციის მიღება მოსთხოვა.**

**მოგვიანებით გაირკვა, რომ იმ აბონენტთა შორის, რომლებიც საქართველოს ფოსტის საშუალებით ჟურნალ-გაზეთების გამოწერით და მომსახურებით სარგებლობენ, მსგავსი პიროვნება და მისამართი საერთოდ არ ფიქსირდება. მცდელობა იყო დავკავშირებოდით ქალბატონ ეთერს და დაგვემოწმებინა, თუ რომელი ორგანიზაციის ქვითრებით იღებდა იგი, მის მიერ გამოწერილ გაზეთებს, თუმცა უშედეგოდ. ამ მისამართზე რამდენჯერმე მისულ ფოსტალიონს სახლში არავინ დახვდა.**

**საქართველოს ფოსტის ადმინისტრაციამ, მიზანშეწონილად ჩათვალა ესარგებლა თქვენი გაზეთით და ახლა უკვე რამდენჯერმე გადამოწმებული ინფორმაციით, გადმოეცა ამ ფაქტთან დაკავშირებული ის რეალობა, რომელიც თქვენს ერთგულ მკითხველს აინტერესებს.**

**ვთვლით, რა 05.07.08 საგაზეთო სტატიაში მოყვანილ ფაქტს ცილისწამებად და ჩვენი ორგანიზაციის სახელისა და იმიჯის შელახვად, მოვითხოვთ თქვენივე გაზეთში გამოქვეყნდეს ოფიციალური უარყოფა და ბოდიში, რათა მკითხველმა, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად იქნა შეყვანილი შეცდომაში, მიიღოს სწორი ინფორმაცია“.**

გენერალური დირექტორის გულისწყრომა ბუნებრივია, მაგრამ აშკარად ნამეტანია, რადგან ქართული პერიოდიკის ერთგულ მკითხველს არც რამე ცილისწამება ჰქონია მიზნად და არც საქართველოს ფოსტის „სახელისა და იმიჯის შელახვა“. ის უბრალოდ ცხელ გულზე აჩქარდა, არ დაეკითხა თავისი ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რომელსაც ხელშეკრულება (№1054) ჰქონდა **შპს „ელვასერვისთან“** (დირექტორი **შ. ასლამაზაშვილი**) პერიოდულ გამოცემათა მიწოდების შესახებ, რომელი ხელშეკრულებაც ძალაშია 2009 წლის პირველ იანვრამდე, და სწორედაც „ელვასერვისს“ უნდა მიეწოდებინა გამოწერილი პრესაც ხელმომწერისთვის და არა 79-ე საფოსტო განყოფილებას.

**ერთი სიტყვით, მიუხედავად გარკვეული წყენისა და უხერხულობისა, მაინც კარგი საქმე გაკეთდა. მკითხველის გუწრფელმა ჩივილმა და ფოსტის დაუყოვნებელმა რეაგირებამ ცხადად დაგვანახვა, რომ, საბედნიეროდ, ცოცხალია და თანდათან ძალას იკრებს როგორც ჩვენი მკითხველი საზოგადოება, ისე ჩვენი ქართული „საფოსტო სისხლის მიმოქცევაც“.**

**მთავარი და უმთავრესი კი ეს არის. ნამდვილი, უტყუარი მკითხველი, ფინანსური გაჭირვებისდა მიუხედავად, მაინც იწერს პერიოდიკას, ხოლო საქართველოს ფოსტა იმდენად არის საქმის გამოსაცოცხლებლად მოწოდებული და შემართული, რომ მცირე შენიშვნასაც არ ტოვებს ურეაგირებოდ, რაც მკაფიოდ მეტყველებს ჩვენი ხვალინდელი საფოსტო მომსახურების უცილობელ უკეთესობაზე, ვინაიდან, ჭეშმარიტება დიახაც ჯანსაღ კამათში იბადება.**

**გურამ წიკლაური**

## მოგვისმინეთ!

# რატომ გამოგვყარეს?..

**ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს**

**ასლი: პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ მელიქიშვილს**

## მ\წლის 30 ივნისს საქართველოს ეროვნული ბანკიდან ე. წ რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებულ თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფის

# განცხადება

როგორც თქვენთვის ცნობილია, წლეულს, 30 ივნისს, ყოველგვარი ოფიციალური ბრძანების გარეშე არ დაგვიშვეს სამუშაო ადგილებზე ეროვნული ბანკის ასეულობით თანამშრომელი. ამას წინ უსწრებდა 28-29 ივნისს (შაბათ-კვირას) ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის სატელეფონო შეტყობინება, რომლითაც შემოგვთავაზეს დაუყოვნებლივ გაგვენთავისუფლებინა სამუშაო ადგილები პირადი ნივთებისაგან. ამან, ბუნებრივია, საკმაოდ დიდი მღელვარება გამოიწვია თანამშრომელთა შორის. თუ აღნიშნულს დავუმატებთ, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ და მენეჯმენტის საშუალო რგოლმა საჭიროდ არ ჩათვალა ჩვენთან შეხვედრა და განმარტებების მოცემა ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის რეორგანიზაციის პროცესში თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუმების თაობაზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ღონისძიება ჩატარდა არაორგანიზებულად, არასამართლიანად და შეიცავდა ცინიზმის ელემენტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ეროვნული ბანკის მმართველი რგოლის მიერ არასახელმწიფოებრივი და ანტიჰუმანური გადაწყვეტილებების მიღებისას თანამშრომლებს განემარტებოდათ, რომ მათი აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ქვეყნის ხელმძღვანელობისგან მიღებული დირექტივებით, რაც, როგორც შემდგომში ირკვეოდა, იყო მცდარი და ემსახურებოდა თანამშრომელთა დეზინფორმაციას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარი პრაქტიკა გრძელდება დღესაც. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თუნდაც ის, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დ. ამაღლობელმა რეორგანიზაციისა და თანამშრომელთა მასობრივი დათხოვნის აუცილებლობა მთავრობის მიერ მიღებული „რევოლუციური პაკეტით" ახსნა. ცხადია, ეს ჩვენ არ აღვიქვით ობიექტურ მიზეზად. ამასთან, აღნიშნულმა არაკორექტულმა განცხადებამ საკმაოდ მწვავე კრიტიკა დაიმსახურა სახელისუფლებო წრეებში და მთლიანად საზოგადოებაში.

შექმნილ ვითარებაში, კვლავ პასუხგაუცემელი რჩება ის კითხვები, რომელიც გაგვაჩნია რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით არა მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნილ თანამშრომლებს, არამედ სამსახურში დარჩენილ ზოგიერთ თანამშრომლებსაც.

იმის გამო, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად, ჩვენთვის ვერ მოხერხდა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისაგან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მიღება, მოგმართავთ თხოვნით, პარლამენტში საქართველოს ეროვნული ბანკის 2007 წლის წლიური ანგარიშის განხილვის დროს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დ. ამაღლობელმა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1. ოფიციალურად განგვიმარტოს, მას, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, რა აძლევდა ფართომასშტაბიანი რეორგანიზაციის განხორციელების იურიდიულ უფლებას;

2. წარმოადგინოს ოფიციალური განმარტება იმ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომლითაც მან ისარგებლა სამსახურიდან გასათავისუფლებელი და სამსახურში დასატოვებელი თანამშრომლების შერჩევისას;

3. ოფიციალურად განმარტოს, 28-30 ივნისს ხელმძღვანელობის მხრიდან თანამშრომლების ღირსებაშემლახავ ქმედებებთან დაკავშირებით, რამ განაპირობა, რომ ხელმძღვანელობამ გამოსასვლელ დღეებში სასწრაფო წესით, ტელეფონის მეშვეობით აცნობა თანამშრომლებს სამსახურიდან გათავისუფლება და მოითხოვა სამუშაო ადგილი დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ პირადი ნივთებისაგან.

4. ოფიციალურად განმარტოს, რით იყო მოტივირებული ხელმძღვანელობის მიერ თანამშრომლების ბანკში არდაშვება 30 ივნისს და პოლიციელების დამატებითი ძალების მობილიზაციის აუცილებლობა, მაშინ, როდესაც 30 ივნისს არავის უნახავს ბრძანება გათავისუფლების შესახებ;

5. ოფიციალურად განმარტოს, თუ რეორგანიზაცია იგეგმებოდა, მაშინ წინა დღეებში რატომ მიიღეს რამდენიმე ათეული თანამშრომელი (მ.შ 30-მდე მოლარე ხელშეკრულებით, ასევე, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოხდა შტატების გამსხვილება და შემდგომში წამყვან დეპარტამენტებში შტატების შემცირება. ამასთან, იმ დროს, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ჯერ არ დაუმტკიცებიათ), როდესაც შეიძლებოდა ამ ადგილებზე დაესაქმებინათ სამსახურიდან დათხოვნილი თანამშრომლები.

6. ოფიციალურად განმარტოს თანამშრომლებისათვის უპრეცედენტო ოდენობის კომპენსაციის (20-30 ათასი ლარი) გაცემის თაობაზე საჯაროდ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით და დააზუსტოს როდის და რა ფორმით მოხდება თანამშრომლებზე აღნიშნული კომპენსაციის გაცემა. ამასთან, განსაზღვროს ის „გარკვეული გამონაკლისები", რომლებსაც არ მიეცემათ ხსენებული ოდენობის კომპენსაცია.

7. ოფიციალურად განმარტოს, ეროვნული ბანკის გათავისუფლებულ თანამშრომლებს რატომ არ გვაცალეს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნივთებისა და დოკუმენტების (მ.შ გრიფით „საიდუმლო" დოკუმენტების) გადაბარება მიღება-ჩაბარების აქტით.

აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენ, გათავისუფლებული თანამშრომლები, ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევაში. პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ხელმძღვანელობას, რადგან ეს იქნება მათი არაორგანიზებული ქმედებების შედეგი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში (მოქმედი საბჭოს ფუნქციონირების პროცესში) ეროვნულ ბანკში განვითარებული არაჯანსაღი მოვლენების (მ.შ. ხსენებული რეორგანიზაციის) შესწავლის, მათი გამომწვევი მიზეზების გამოკვლევის და ეროვნული ბანკის რეაბილიტაციის ღონისძიებათა შემუშავების მიზნით, შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომლის მუშაობაშიც, საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ.

**პატივისცემით,**

**ეროვნული ბანკის გათავისუფლებულ თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფი:**

**ანზორ აბესაძე, ოლღა მაღლაკელიძე, ლეილა წიკლაური, მურად ყაჩლავაშვილი, მარინა ხუციშვილი, დავით ბრეგვაძე, მადონა რაზმაძე, მალხაზ ტაბატაძე, ნიკო ყანდარელი, მაია ბუჩუკური, ჯანვერდი მდინარაძე, სიმანდო იტამოვი, ეკა ლეჟავა, გიორგი ანჩაბიძე, მაყვალა თედიაშვილი, ზურაბ ბოლქვაძე, ნანული შანყულაშვილი, ნუგზარ ინაშვილი, ციალა კვიჟინაძე, იზოლდა ერაძე, ანა ერისთავი, ნანა თერავაძე, ანგელინა ქევხიშვილი, დავით ბაღათურია, გიორგი ბოჭორიშვილი, მაყვალა დვალიძე, აივენგო ფრანგულაშვილი, მერი შალიკაშვილი, გიგა გალდავა, მარინე აბურჯანია, ელმირა ასრიევა, ნათელა ლევერაშვილი, კავმანანა გვაზავა, მანანა კავთიაშვილი, ეთერ ჯაბუშანური.**

## ორი სიმართლე?

# სოზარ სუბარი პარლამენტის კრიტიკას უმართებულოდ მიიჩნევს

(მესამე გვერდიდან)

როდესაც ვამბობ რამდენმა ადამიანმა მიიღი ნოემბრის მოვლენების დროს დაზიანება, რამდენი ადამიანი მოათავსეს საავადმყოფოში, სამართალდამცავთა ძალის გადამეტების გამო, ეს არის სტატისტიკა; როდესაც ვამბობ, რამდენი ადამიანი სცემეს ნილბოსნებმა – ეს არის სტატისტიკა და არც ერთი მათგანი რომ არ არის გამოძიებული – სწორედ ეს არის სტატისტიკა.

**– ნოემბრის მოვლენებში მომიტინგეებთან ერთად რამდენიმე პოლიციელიც დაზიანდა, ამაზეც თუ გაამახვილეთ ყურადღება?**

– ყველა დაზიანებული პოლიციელის საქმეს იძიებენ შესაბამისი ორგანოები და ყველა იმ ადამიანზე, ვინც პოლიციელებს ასეთი დაზიანება მიაყენა, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სამაგიეროდ, არც ერთი პოლიციელი არ ზის ციხეში, რომელთაც აშკარად გადაამეტეს საკუთარ უფლება-მოვალეობას. ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი – რა თქმა უნდა, ადამიანებმა, რომელთაც სცემეს პოლიციელებს, დაარღვიეს კანონი და ჩაიდინეს დანაშაული, მათ მიმართ გამოყენებული უნდა იქნას სისხლის სამართლებრივი საშუალებები და რაც გამოიყენეს კიდეც. თუმცა, სასამართლოს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ეს ვითარება იყო სპონტანური და გამოიწვია პოლიციელთა თავდაპირველმა ძალადობამ. არ უნდა იყოს ორმაგი სტანდარტი – როდესაც სჯიან აქციის მონაწილე მოძალადეს, უნდა დაისაჯოს პოლიციელიც. როდესაც ამბობენ, რომ უნდა ყოფილიყო ჩემი გამოსვლა დაბალანსებული, ვერ ვხვდები, მეტი როგორღა უნდა დაგვებალანსებინა, უნდა მეთქვა, რომ „იმედიდან" გამოშვებულ ყველა ჟურნალისტს ხუთ-ხუთი ტყვია კი არ უნდა მოარტყათ, არამედ სამიც საკმარისია?!

ერთი მხრივ, გოკა გაბაშვილი ამბობს, რომ ჩემს გამოსვლაში არ იყო ფაქტები და იყო შეფასება, მეორე მხრივ, იგი მოგვიწოდებს, რომ უნდა გაკეთებულიყო შეფასება. რამ გამოიწვია შვიდი იანვარი, რას ფიქრობდნენ ორგანიზატორები, თურმე მე ახლა მათ ფიქრებში უნდა გავრკვეულიყავი; რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, ეს ძალადობა რომ არ მომხდარიყო, თურმე ფუტუროლოგიითაც უნდა დავკავებულიყავი. ეს არ არის სახალხო დამცველის მოვალეობა. მთელი ერთი საათი ფაქტების ჩამონათვალს ვაკეთებდი და სხვა არაფერს. როცა უმრავლესობის ლიდერია პეტრე ცისკარიშვილი და თავის დროზე მისმა უწყებამ სრულიად უკანონოდ დაღვარა 100 ტონა ძალიან ხარისხიანი „ბადაგონის" ღვინო „საფერავი", თუ რატომ მოხდა ეს – თვითონ გამოიძიონ. ბატონი მინისტრი მაშინ გამობრძანდა და თქვა, რომ ეს იყო უხარისხო, შეემოწმებინა ჯერ დალოცვილს...

**– ხელისუფლების წარმომადგენლები და მათ შორის გოკა გაბაშვილიც მიიჩნევს, რომ ნოემბრის მოვლენების დროს ძალას ცოტა გადაამეტეს, თორემ იქ გამოყენებული ყველა საშუალება მიღებულია ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისთვისო.**

– ყველა საერთაშორისო შეფასება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იყო. ეს ქმედებები რომ ზღვარსგადასული იყო, როგორ შეიძლება ამის უარყოფა? იმ სალამოს ტელეკომპანია „იმედიდან" გამოსულ ყველა ჟურნალისტს ესროლეს რეზინის ტყვიები და ამის გამო რომ არავინ დაისაჯა, ეს დემოკრატიის ჩარჩოებში თავსდება?

აი რას ამბობს ევროსასამართლო მომიტინგეთა წინააღმდეგ გაზის გამოყენებაზე: „თუკი დემონსტრანტების მხრიდან ადგილი არა აქვს ძალადობრივ აქტებს, გარდა იმისა, თუ მათ შეაფერხეს ტრანსპორტის მიმოსვლა, ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს განსაზღვრული სახის შემწყნარებლობა". არადა, შვიდი ნოემბრის დილას მაქსიმუმ 200 კაცი იყო იქ, კი ბატონო, პოლიციამ გზა რომ გახსნა, ეს იყო ლეგიტიმური, მაგრამ პარლამენტის შენობის კიბეებზე მდგარ ხალხს რომ აუცვივდნენ და ხელკეტებით სცემეს, ეს სრულიად უკანონო იყო. ამ მოვლენის დროს გაზისა და ხელკეტების გამოყენება ევროსასამართლომ ევროკონვერსიის მესამე მუხლის დარღვევად მიიჩნია.

**– რას უპასუხებდით გოკა გაბაშვილს, რომელმაც თქვენი მოხსენება ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის სუბიექტურ გამოსვლად მიიჩნია?**

– საოცარია ასეთი შეფასება. მე ვიქნები ოპოზიცია ყველა უფლებადამრღვევისა და სამართალდამრღვევისა. ყველას კარგად ახსოვს, რომ არაერთხელ გამიკრიტიკებია და აღმინიშნავს ოპოზიციის არასწორი ქმედებებიც. ჩემს მიმართ ასეთი შეფასება, მართლაც, არასწორია. მაგრამ არ გამკვირვებია პარლამენტარების ასეთი პოზიცია, ვინაიდან ჩემს მიერ აღნიშნულ ფაქტებს სჭირდება რეაგირება, რეაგირება კი ნიშნავს ათობით თანამდებობის პირის დასჯას, სამსახურიდან გაშვებას და ამის გაკეთება მათთვის ადვილი არ იქნებოდა. ამიტომაც, პარლამენტმა ამჯობინა მკაცრი ყოფილიყო არა უფლებადამრღვევების, არამედ ჩემს მიმართ.

წაგიკითხავთ ერთ-ერთ რეკომენდაციას ჩემი მოხსენებიდან – „რეზინის ტყვიების უკანონოდ გამოყენების გამო დადგეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბატონ ივანე მერაბიშვილის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე მოხდეს ამ საკითხის გამოძიება და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს ყველა იმ პირს, ვინც მიიღო რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება. ასევე მათ, ვინც შეასრულა ეს უკანონო ბრძანება".

ცხადია, როდესაც ასეთ რეკომენდაციებს ვაკეთებ, ეს პარლამენტი ჩვენ გაგვაკრიტიკებს, ვინაიდან შეუძლებელია გააკრიტიკონ ვანო მერაბიშვილი. მაგრამ ამის არგაკეთება არ შემეძლო. მაშინ არ ვიქნებოდი მართალი ჩემს სინდისთან და იმ ხალხთან, ვისი დამცველიც ვარ.

**ესაუბრა**
**თამარ ბუზალაძე**

## მოგვისმინეთ!, გამოგვეხმაურეთ!

**ჩვენთვის, გასული საუკუნეში ზემელზე გაზრდილი ბიჭებისთვის, თბილისი არა მარტო მშობლიური ქალაქია, ის საყვარელი, ძვირფასი და საამაყო, ჩვენი ოცნების ქალაქიც არის. ახალგაზრდობაში ხშირად ვიკრიბებოდით „ზემელზე", ვსაუბრობდით, ვმსჯელობდით სხვადასხვა საკითხზე, რაც ხელს უწყობდა ჩვენს განვითარებას და ერთმანეთთან დაახლოებას. გვიხაროდა „ზემელიდან" რუსთაველის გამზირზე და სხვა უბნებში გასეირნება. გვეამაყებოდა მამადავითზე უცხოელი სტუმრების აყვანა, ფუნიკულორიდან მათთან ერთად გადმოხედვა და ქალაქზე საუბარი. მოგვწონდა, რომ საყვარელი ქალაქი შენდებოდა და მშვენდებოდა.**

თბილისზე ბევრის თქმა შეგვიძლია, მაგრამ ეს არ არის ჩვენი წერილის დანიშნულება (მით უმეტეს, რომ ჩვენს თბილისს მრავალმა პოეტმა შესანიშნავი ხოტბა შეასხა, მრავალმა აშუღმა უმღერა) – გვინდა გულისტკივილის გამოხატვა, რომელიც წლების განმავლობაში გროვდებოდა:

ჯერ იყო და გული გვატკინა თბილისში დაბალჭერიანი ე.წ. „ხრუშჩოვკების" მომრავლებამ. მიუხედავად იმისა, რომ „ხრუშჩოვკებმა" გარკვეული დადებითი როლი ითამაშა თბილისელების ბინით უზრუნველყოფის საქმეში, თვით თბილისის იერმა, მისმა არქიტექტურამ წააგო, დაზარალდა ჩვენი ქალაქი, მაგრამ მოსკოვს „დამონებულმა" მაშინდელმა ქალაქის მესვეურებმა ვერ გაბედეს დაეცვათ ქალაქის ღირსება.

ეს გულისტკივილი გაგრძელდა შემდეგ წლებშიც, როდესაც დაიწყო მაღალი სახლების მშენებლობა, თბილისში გაჩნდა უსახური, ყოველგვარ არქიტექტურას (მით უმეტეს ეროვნულს) მოკლებული შენობები. ამის მაგალითად ფიქრის გორაზე აშენებული მრავალსართულიანი სახლებიც გამოდგებოდა. გარკვეული დადგენილებით თბილისში მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა შეზღუდული იყო, მაგრამ შესრულების ნაცვლად ეს დადგენილება დასამარდა. მშენებლობა უფრო ჩქარი ტემპით წავიდა, დამახინჯდა ქუჩები, გაუარესდა ეკოლოგია, იმძლავრა „ჯიბის პოლიტიკამ", გამდიდრების სურვილმა სძლია მშობლიური ქალაქის სიყვარულს, პატრიოტობას, მომავალი თაობების (მათ შორის საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების) წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას.

იმან კი, რაც ახლა ხდება ქალაქის განაშენიანებაში, მწობრიდან გამოგვიყვანა, წლებით დაგროვილმა გულისტკივილმა ამოხეთქა, რამაც გადაგვაწყვეტინა ამ წერილის დაწერა და საზოგადოებისთვის ჩვენი აღშფოთების გაზიარება.

საკითხი ეხება თბილისში მრავალსართულიანი და (რაც მთავარია!) ერთმანეთზე გადაბმული, მიტყუპებული სახლების მშენებლობას. ამ საშინელმა წარმონაქმნებმა არა მარტო დაამახინჯეს ქალაქი, არამედ გადაკეტეს ჩვენი ლამაზი თბილისის ხედები და ქვის უსახური შენობების რკალში მოგვაქციეს, თანაც რა შენობებისა! ერთმანეთზე გადაბმულთ რომ გახედავთ, თავზარი დაგეცემათ;

# როგორ უნდა გძულდეს და გეზიზღებოდეს მშობლიური დედაქალაქი, რომ ასეთი შენობები ააგო?!



სხვადასხვა სართულიანობა, სხვადასხვა კონსტრუქცია, სხვადასხვა შეფერილობა, მახინჯი ფასადები, ერთი სიტყვით, უგემოვნობის ფეირვერკია. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

**– სპორტის სასახლის გვერდით და უკან აშენებული სახლები;**

**– ელიავას ბაზრობასთან წამოჭიმული სიმახინჯეები;**

**– ვერის „პარკიდან" სანაპირომდე დაშვებული შენობები, რომლებმაც გადაფარეს ფუნიკულიორის ხედი;**

**– სააკაძის მოედანზე, მერიის შენობის გვერდით მიმდინარე მშენებლობები (ამ უსახო შენობებმა კავკასიის მთების ფონზე ამოზიდულ სააკაძის დიდებულ ძეგლს ხედი დააკარგვინეს) და მრავალი სხვა ასეთი „მარგალიტია" გაბნეული მთელს ქალაქში.**

რა ხდება? ნუთუ აღარ არსებობს სამშენებლო ნორმების ცნებაც კი? ან – კონტროლი მშენებლობაზე? ან ეკოლოგიური პარამეტრების დაცვა? სად გაქრა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა?

გულისტკივილით ვკითხულობთ:

**სად არის ქალაქის მერია? სად არის საკრებულო? სად არის არქიტექტორთა კავშირი? ჩვენი სახელოვანი არქიტექტორები საერთაშორისო ბიენალებზე სულ საპრიზო ადგილებს იკავებენ და საკუთარ ქალაქში რა ღმერთი გაუწყრათ? მთავრობაში და პარლამენტში ამ საქმეზე პასუხისმგებელი არავინაა? ან სად არის თბილისის საზოგადოება, რამ დაგვადუმა?**

საკითხავია, ნუთუ სინდისის ქეჯნა ოდნავ მაინც არ აწუხებთ სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელებს? თუ იმის იმედით არიან, რომ დააგროვებენ სოლიდურ თანხებს, შემდეგ იტყვიან „თბილისის დედაც..." და სხვა ქვეყანას მიაშურებენ საცხოვრებლად (სადაც, მათგან განსხვავებით, იქაურ მშენებლებს ქალაქი არ დაუმახინჯებიათ).

როგორი იქნებოდა თბილისი, რომ ჩვენი წინაპრებიც ასეთნაირად მოქცეოდნენ საკუთარ ქალაქს? გვექნებოდა უნივერსიტეტის I კორპუსი? ან ვორონცოვის ყოფილი სასახლე? რუსთაველის გამზირზე პარლამენტის, „იმელის" და სხვა შენობები?

ტურიზმის რა განვითარებაზეა ლაპარაკი? ასეთი მახინჯი მშენებლობის მქონე ქალაქში სერიოზული ტურისტი ჩამოვა? რით გავაკვირვებთ მათ? მაღალი სახლებით? (შეადარეთ ისინი ნებისმიერ სახელმწიფოში, თვით აფრიკის განვითარებად ქვეყნებშიც კი აშენებულ მრავალსართულიან არაჩვეულებრივ შენობებს).

აღმაშფოთებელია ის გარემოებაც, რომ ამ სიმახინჯეების აგების პარალელურად ქალაქში ინგრევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. სადაც არ ვიყავით, ყველა დედაქალაქში სათუთად ინარჩუნებენ ქალაქის ძველ , ისტორიულ უბნებს, როგორც წესი მაღალ შენობებს ახალ უბნებში აგებენ.

ნებისმიერ ქვეყანაში იღვწიან დედაქალაქის ეკოლოგიური პირობების გასაუმჯობესებლად, ამრავლებენ მწვანე ზონებს. თბილისში კი პირიქით მოქმედებენ ქალაქის ხელისუფალნი; გულსატკენია, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდა თავში ვაკის პარკში საელჩოების მშენებლობა? სხვა ადგილის პოვნა ძნელი იყო?

ქალაქის მესვეურთაგან სალი აზრის დაკარგვის შესანიშნავი დადასტურებაა გაზეთ „Головинский проспект"-ის № 23-ში გამოქვეყნებული წერილი „У реки высотный дом, а был когда-то иподром", რომელიც ეხება იპოდრომზე კომპლექსის მშენებლობას, მართლაც, რომ სუნთქვა შეგეკვრება აღშფოთების გამო (და არა „от планов громадья" როგორც წერილში აცხადებენ). რა მაგრები ვართ ქართველები, არა? XXI საუკუნეში ვტრაბახობთ, რომ ამიერკავკასიაში ყველაზე მაღალი შენობა თბილისში იქნება, ეს იმიტომ ხომ არა, რომ ყველაზე უგუნურნი ამ რეგიონში ჩვენ აღმოვჩნდით?

იპოდრომის მშენებლობა ცალკე განხილვის საგანია, ამიტომ აქ ამაზე აღარ შევჩერდებით. გულსატკენი სხვაც ბევრია – თუნდაც რუსთაველის გამზირზე მდებარე ცნობილი (შჩუსევის არქიტექტურა) შენობის (ყოფილი „იმელი") რაღაც კომპლექსში ჩართვა: კოსტავას ქუჩის განტვირთვის მიზნით უაზრო სამკუთხედის შექმნა, სასტუმრო „აჭარასთან" შექმნილი ხელოვნური საცობის წარმოქმნა და მრავალი სხვა. **აქ უნდა ვიკითხოთ: სად არიან ბუნების დაცვის სამინისტრო და მწვანეთა საზოგადოება? თუ მათაც არ აწუხებთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულება?**

გვინდა, რომ ეს წერილი დავამთავროთ ერთი დიდი, გამორჩეული გულისტკივილით რომელიც ეხება მასმედიის თითქმის უმოქმედობას ამ მიმართულებით. იმ შოუების გადმოცემის ფონზე (რომელიც ხშირად მავნებელია საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის) ნუთუ მასმედიას არ აწუხებს ეს საკითხი? თუ ის სირაქლემის პოლიტიკას თამაშობს? გვინდა გვჯეროდეს, რომ თქვენც გაწუხებთ ეს ამბავი, პატივცემულო ჟურნალისტებო, ამიტომ გთხოვთ გამოეხმაუროთ ამ წერილს. ასევე, დიდი თხოვნა გვაქვს ყველა ტელე-და რადიოარხებისადმი, გამოეხმაურონ ჩვენს გულისტკივილს.

და ბოლოს, თხოვნით მივმართავთ ქალაქ თბილისის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ განიხილონ ამსტატიის შინაარსი და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება ქალაქში ერთმანეთზე გადაბმული მაღალი შენობების მშენებლობის აკრძალვისა და საერთოდ, მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის შეზღუდვის შესახებ, განსაკუთრებით ქ.თბილისის ისტორიულ უბნებში.

ეს იქნება ხალხის აზრის მხარდაჭერა, რაც დემოკრატიის ქვაკუთხედია (ცხადია, თუ ქალაქ თბილისის ხელმძღვანელები მხარს უჭერენ ქალაქში დემოკრატიის დამკვიდრებას).

ველით გამოხმაურებას ჩვენს გულისტკივილზე, ძვირფასო თბილისელებო.

**ულრმესი პატივისცემით,**

**1950-იანი წლების „ზემელელი" ბიჭების სახელით –**

**რამაზ ლაცაბიძე,**
**გურამ მაყაშვილი,**
**თამაზ ძოზულაშვილი,**
**ალეკო კალანდაძე,**

**და სხვ. სულ 35 ხელმოწერა.**

***რედაქციისაგან: „საქართველოს რესპუბლიკის" 16 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ სპარტაკ ქობულიას წერილი „როცა ფული ყველაფერს ანადგურებს", რომელშიც პრინციპულად არის გაანალიზებული დედაქალაქის გარე იერსახის დამახინჯების პრობლემები. დღეს ვბეჭდავთ „ზემელელი ბიჭების" გულისტკივილით სავსე პუბლიკაციას, ვბეჭდავთ იმ იმედით, რომ ქვეყნის და ქალაქის ხელისუფლება უთუოდ გამოგვეხმაურება.***

## საუკუნეთა სიგრძეზე

# შევაჩეროთ წამმზომი!

## ეხმაურებიან ჩვენს მიმართვას: ვინ არის, თქვენი აზრით, 100 ყველაზე ღირსებიანი და ყველაზე უღირსებო ქართველი

**თავს ნებას მივცემ გამოვთქვა ჩემი შეხედულება „საქართველოს რესპუბლიკის" მიმართვაზე. თავდაპირველად შევნიშნავ, რომ აქ გამოყენებული სიტყვების „ღირსებიანი" და „უღირსებო" სისწორე საკამათოა; თუმცა ეს ენათმეცნიერების საქმეა და იმათ ეკუთვნით საბოლოო სიტყვა.**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მართლაც პერიოდულად გამოდის წიგნები მთელ რიგ დარგებში ცნობილი ადამიანების შესახებ, მაგრამ არა მხოლოდ 100 საუკეთესო სხვა ციფრებით სახელდება.

ამ მხრივ აქტიურად მოღვაწეობენ საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი (ოქსფორდი, ინგლისი) IBC და ამერიკის ბიოგრაფიული ცენტრი ABC. აღნიშნული მიმართულებით მაქვს გარკვეული ინფორმაცია, რადგან ვარ IBC-ის გენერალური დირექტორის მოადგილე და ABC-ის მმართველთა საბჭოს წევრი.

ასე რომ ღირსეულ ქართველთა ნუსხის შედგენა (შეიძლება 100-ზე მეტ რიცხვზეც გავჩერდეთ) საინტერესო წამოწყებაა, თუმცა ამ ნაწილში შევნიშნავ, რომ საჭიროა, ალბათ, რაღაც კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ნუსხის საბოლოო ვარიანტის შემუშავებისა და მისი გამოქვეყნების პროცედურის დადგენა, რადგან უკვე გამოქვეყნებული „პირველი მერცხლები" მიუთითებენ, რომ 100 ღირსეული ქართველის დასახელებაც დიდ დაფიქრებას მოითხოვს.

გაცილებით პრობლემურია 100 უღირსი ქართველის ნუსხის შედგენა, რომლის ანალოგი არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. (გასაგებია, რატომ!)

ჩემი აზრით, აქ წამმზომი უნდა შევაჩეროთ, ჯერ კარგად ავწონდავწონოთ და შემდეგ გადავწყვიტოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ღონისძიებების ჩატარებამ შეიძლება დიდი ზიანიც კი მიაყენოს საზოგადოებას; თანაც ახლა, ასეთი არასტაბილურობის, ურთიერთგაუთავებელი კინკლაობის, გაურკვეველი ორიენტაციის არსებობის პერიოდში ხალხში კიდევ უფრო გაღვივდება შუღლი. ამ ჩამონათვალს გამოიყენებენ ერთმანეთზე შურის საძიებლად, კიდევ უფრო მეტად გაღმოინთხევა ავადმყოფური ქართული „თავმოყვარეობა" და გენეტიკური ამბიციები. იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რომ იმ უღირს ქართველებსაც კი, რომლებიც ნამდვილად ღირსნი არიან უღირსთა ნუსხაში მოხვედრის, ჰყავთ შვილები, შვილიშვილები, უახლოესი ნათესავები და ღირსეულიც მათ შორის. ასეთთაგან როგორ აღიქმება ეს სია? რამდენად მიწანშეწონილი იქნება მათთვის ტრამვის მიყენება?

ვიმეორებ, დავფიქრდეთ, ასჯერ მოვზომოთ და ერთხელ გადავჭრათ. საზოგადოების ფართო ფენების აზრი გავიგოთ. მით უმეტეს, რომ ეს ჩამოთვლა ძალიან სუბიექტური იქნება; თუ მკაფიოდ გამოკვეთილი უღირსია ვინმე, და იცი რატომ არის უღირსი, შეიძლება ასეთზე გამოაქვეყნო მასალა და გააცნო საზოგადოებას მისი უღირსი მოქმედება. ნუსხის შედგენა და გამოქვეყნება კი, ვიმეორებ, მიზანშეწონილი არ არის. ნუ ავჩქარდებით. ქვეყანაში შექმნილ დაძაბულ სიტუაციას კიდევ უფრო ნუ გავაჩენთ ახალ წყაროს ურთიერთზე თავდასხმისათვის.

**მასმედია უნდა იღვწოდეს ერის გამთლიანებისთვის, ის ხელს უნდა უწყობდეს მის შიგნით მტრულად განწყობილ, ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა დაშოშმინებას, სტაბილურობის განმტკიცებას. სამწუხაროდ, ეს მიდგომა ქართული მასმედიის მხრიდან ჯერ არა ჩანს. არადა, როგორ სჭირდება პატრიორტი მასმედია დღეს ჩვენს ქვეყანას.**

**დავფიქრდეთ!**

**რაფიელ ჩიქოვანი**

SIC!

# ახალი საეთნო-ფაბრიკაციო პოლიგონისათვის

## განათლების ცენტრი „კოლხიდა“ ეროვნულ სულში ხრწნის შემოპარებას ცდილობს

ამდენად, სამეგრელოში სეპარატისტული მოძრაობის მცდელობა და იმავდროულად, ამ მხარეში რუსეთში მოღვაწე სამეგრელოდან გამოსული ზოგიერთი ბიზნესმენის თანხების მიზნობრივი შემოზიდვა (არსებობს თანხების სხვა, უფრო ტევადი წყაროებიც) ემსახურება ორ მთავარ მიზანს: 1. გადატანილი იქნას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ოკუპაციიდან ყურადღება სამეგრელოზე, რისთვისაც 2. სამეგრელო უნდა გადაიქცეს დივერსიული ეთნოფაბრიკაციების მძლავრ პოლიგონად, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთისათვის შავ ზღვაზე „ახალი სევასტოპოლისათვის“ საჭირო სივრცის გაჭრას.

ყოველივე ამის გასწვრივ საკუთარი ქვეყნის ისტორიაში გაუთვითცნობიერებელი და უვიცთ ადვილად დააჯერებენ, რომ სამეგრელო საქართველო არაა და თბილისის უკვე გაკოსმოპოლიტირებული საზოგადოებაც, აგრესიული გლობალიზმის კარნახის შესაბამისად, დემოკრატიის სახელით აღიარებს და სცნობს „მეგრელი ერის უფლებას დამოუკიდებლობაზე“. ჩვენ პირადად არა ერთ ასეთ გულაჩუყებულ მეცნიერებს ვიცნობთ ჩვენს სატახტოში, რომლებიც სამეგრელოდან დაცილებული მხარეებიდან ბრძანდებიან და უცხო ქვეყნების ინტერესთა შესაბამისი კითხვარების ზედმიწევნითი დაცვით, ბეჯითად ასრულებენ მტრული თითისქნევების დაკვეთას, ანუ მეგრულის „არაქართულობის„ დასაბუთებას.

ქართული გულმკერდის შესალეწი სხვა ქვეყანაში დამზადებული ხიშტი დღეს, საუბედუროდ, ქართულ ხელებს უჭირავს.

* * *

ქართული შინაარსის უბოდიშოდ გაყალბება, მისთვის ცისქვეშეთური დანიშნულების (ფუნქციის) გამრუდება და ბოლოს, მხარეებად აქნა ხდება იმიტომ, რომ აგრესიულ გლობალიზმს ქართული მიწა მხოლოდ ადგილად სჭირდება, რომელზეც თვითონ ჩაანაცვლებს თავს. მისთვის აქ ქართული ცნობიერების გასაგნება ისეთივე საგანგაშოა, როგორც სარეველა საორტვინე მიწაში (სპარსულად ბოსტანში).

მიწას, რომელსაც ჩვენი თავის კანტურით ე.წ. აბრეშუმის გზის ქართულ დერეფანს (კორიდორს) ვეძახით, პირველ რიგში, მსოფლიოს სულიერი გზაშესაყარია. აი, რა არის უგულებელყოფილი. ბუნებრივია, ყოველივე ამის გამო, მსოფლიოს ვერ მიეწოდა კოლხური (იბერიული) ვინაობის ახსნა, საქართველოს სულიერი მისიის არსი, უფლისეული მშვიდობის დასამყარებლად პონტო-კავკასიის გეოცივილიზაციის აღორძინების მნიშვნელობა, რაც მთავარია, ეს არ გვჯერა ჩვენ თვითონ. გვავიწყდება, რომ სისულელე, თუნდაც ერთდროულად მილიონი ყბა იმეორებს მას, მაინც სისულელეა!

...обращение центра „KOLKHIDA„ к мировому сообществу

...В виду сложности существующей проблемы и невозможности создания условий для сохранения и развития Менгрельского языка в республике Грузия позвольте обратится к Вам за помощью.Просим вас расмотреть подготовленый нами проект цель которого организовать в обществе компанию с требованием к парламенту Грузии 1.Ратификация Европейской хартии региональных языков и языков национальных меньшинств.2.придание Менгрельскому и Сванскому языку статус регионалньного языка. Для достижения цели считаем необходимым издание газеты с помощью которой вести в обществе пропаганду международных законодательных актов по защите прав лиц принадлежащих к национальным,этническим религиозным и языковым меньшинствам.В первую очередь это Европейская хартия региональных языков и языков национальных меньшинств.47/135 резолюция принятая генеральной ассамблеей ООН декларация о правах лиц принадлежащих к национальным этническим религиозным и языковым меньшинствам.Европейская рамочная конвенция по защите прав национальных меньшинств и т.д.Необходимо подвести Менгрелов и менгрельский под определение этническое и языковое меньшинство.Это единственный легальный путь дающий возможность создания условий сохранения и развития самобытности Менгрелов при активном участии в разрешении существующей проблемы межгосударственных организаций ООН,OSCE,Совета Европы. На протяжении столетий военно-политическое противостояние между Турцией и Российской империей происходило на теретории населеными лазами и менгрелами.Разделение одного народа на сферы влияния привело к потере политического статуса и влияния Менгрело-Лазского царства.Всякая активность Лазов вТурции и Менгрелов грузии жестоко


E-mail: kolkhidacentre@mail.ru

подавлялась.Ликвидация княжества в 1867г. лишение менгрелии политического статуса привело к полной деградации общества. Менгрелы как этническая народность была полностью уничтожена. В Советской Грузии была разработана национальная идеология согласно которой регион Менгрелия определяется как географический термин а не этнический тем самым Менгрелия лишается права претендовать на историческое культурное и политическое наследие Колхидского в дальнейшем Лазика-Эгриского царства и в конце своей политической истории Одишского царства. Даже Менгрельские песни принято называть грузинским фольклером. Менгрельскому языку чтобы лишить его истории было присвоено странное определение менгрельский принято считать независимым языком но его политический статус диалект грузинского (менгрельский и лазский относятся к Чанской языковой группе а не к картвельской). Тем самым Менгрельский лишается правовой основы для создания условий сохранения и развития языка,и самое главное нормы Европейской хартии региональных языков и языков национальных меньшинств не распространяются на диалекты. В грузии искуственно созданы условия для вытеснения менгрельского языка из общественной жизни.Менгрельский язык стал языком мертвого народа,которому в ближайщем будущем грозит исчезновение.Политика принудительной ассимиляции менгреловподавления всякого проявления менгрельской самобытности должно быть воспринято международной общественостью как преступление против человечности! Общее направление пропаганды. одной из основныхцелей ООН как провозглашено в уставе является поощрение и развитие уважения к правам человека и основным свободам для всех,без различия расы пола,языка или религии. Стремясь способствовать реализации принципов,содержащих в национальных или международных законодательствах по правам человека которые являются наиболее длагоприятными по отношении к правам лиц принадлежащих к национальным этническим религиозным и языковым меньшинствам.Учитывая политическое наследие государства считаем необходимым активизировать свои усилия с целью распространения данной информации и содействия ее пониманию. Поощрение и защита прав лиц принадлежащих к национальным или этническим религиозным и языковым меньшинствам способствуют политической и социальной стабильности государств,в которых они проживают.Большинство конфликтов и внутрених столкновений и беспорядков возникают в результате этнической напряжености которая сохраняетс в виду непринятия мер по ее ослаблению или ее подавления до тех пор,пока не происходит вспышка насилия.В процесе осуществления прав лиц,принадлежащих к меньшинствам необходимо не только понимать и устранять неравенство но и уважать различия и поощрять многообразие. создание благоприятных условий должно способствовать интеграции меньшинств.Для того чтобы интеграция не приводила к принудительной ассимиляции в доминирующей среде существенно важно уважать их самобытность.Признание права на изучение своего родного яыка касается одного из основных средств с помощью которых Менгрелы могли бы утвердить и сохранить свою самобытность.Однако без международных политических гарантий в грузии не предстовляется возможным создание необходимых условий для сохранения основных элементов самобытности а именно истории,языка,традиций,культурного наследия. Национальная политика Грузии представляет угрозу для сохранения и развития самобытности Менгрелов. просим вас профинансировать 1 номер газеты тиражом в тысячу экземпляров. Бюджет проекта-тысяча экземпляров 150доларов. редактирование текста и набор на компьютере 100 доларов.транспортные расходы 30 доларов(типография в тбилиси).прочие расходы 20доларов. всего300доларов. название газеты „гражданские и политические права„.Просим вас расмотреть проект как ваше участие в создании современной истории Менгрелии. Наш счет в ProCredit Bank 360801011700105. зугдидское отделение кутаиского филиала код 220101929. ассоциация ганатлебис центри„колхида„

Благодарим Вас за внимание. **ЮРА ГВИНДЖИЛИ□.**

* * *

მათ, ვისაც ეოცნებება ქართველი ერის გათითოკაცება და მისი დაყოფა ქართველებად, მეგრელებად, სვანებად, ლაზებად და ა. შ. უნდა მოვახსენო, რომ მთელი მე-17 საუკუნის მანძილზე ავდროისგან დაქუცმაცებული საქართველოს პირობებში, პოლიტიკურად დამოუკიდებელ სამეგრელოს სამთავროში კათოლიკე მისიონერები ცდილობდნენ „მეგრელთათვის უცხო“ ქართული წირვა-ლოცვიდან მეგრელები კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექციათ, მაგრამ ვერ მოახერხეს (მეგრელისათვის, ისევე როგორც სხვა ქართველისათვის, სარწმუნოება გაიგივებული გახლდათ ეროვნულ იდენტურობასთან — ქართველობასთან).

სამეგრელოში კათოლიკური თვითშეგნების არანაირი კვალი არ დასტურდება, ეს მაშინ, როცა იგივე მისიონერებმა იმავე და მომდევნო საუკუნეებში საქართველოს „არამეგრულ მხარეებში“ შესძლეს მეტ-ნაკლებად ფეხმოსაკიდ თუ სულმოსათქმელ კერათა შეკოწიწება, რომელთა მეშვეობით მიაღწიეს ქართველთა „გაფრანგებას“ (გაკათოლიკებას). ასეთი კერები დღემდე არსებობს.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1903 წლის აპრილში ეგზარქოსმა ალექსიმ ი. ვოსტორგოვთან ერთად იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, მათ შორის, განსაკუთრებული გულმოდგინებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში-აფხაზეთში, კერძოდ, გუდაუთაში, ლიხნში, ანაკოფიაში (ახალ ათონში), სოხუმში, დრანდაში და ა.შ.

მათი მიზანი იყო მტკიცებულებათა შეგროვება მეგრელთა და ქართველთა „სხვადასხვაობის“ შესახებ. ის, რომ ეგზარქოსი, თვისი უფლებებით თითქმის მეფისნაცვალს გატოლებული პირი, თვითონ შეუდგა ამ საქმეს და არ დაავალა (არ ანდო) სხვას, მეტყველებს იმაზე, თუ როგორ აუცილებლობას წარმოადგენდა იმპერიისათვის მეგრელთა „არაქართულობის“ დამტკიცება. მიუხედავად მათი ბეჯითებითი და ვერაგული მცდელობებისა, მეგრელებმა არ მოიაზრეს თავი არაქართველებად!

.... და ეს ხდებოდა არა განათლებამიღებულ ან „ქართველების ზეწოლით“ მოპასუხე მეგრელებში, არამედ წერა-კითხვის უცოდინარ, საუკუნეების მანძილზე დედასაქართველოს მოწყვეტილ და მომხდურთა შემოსევებისგან გაპარტახებულ მეგრელ (იგივე აფხაზ) მოსახლეობაში. უფრო მეტიც, როგორც ზემოაღნიშნული ეგზარქოსის მიერ უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორისადმი მიწერილი ბეზღობიდან ირკვევა, ამ მხარის მეგრელები (იგივე აფხაზები) წინააღმდეგ იმპერიის მხრიდან ხელშეწყობის, წახალისებისა თუ მოთხოვნისა, დაჟინებით ცდილობდნენ ქართულ ენაზე სწავლისა და წირვა-ლოცვის შემოღებას.

„კოლხიდას“ ვებგვერდზე გაგზავნილი რამდენიმე წერილი

4 2007-09-20 12:08:12
□ **Автор: р**
□ **Ахаль Кочь**

что касается ассимиляции, и витеснения мегрелского языка, к сожалению не Грузия и Грузинский а Россия и Российсий язык ассимилировали (не пренудитеьно а с радостью) многих мегрелов. Вспомним что после окончания русскых школ мегрелская молодеж из Сухуми и Зугдиди прямо шла в Российские вузы. Для многих родным языком был не мегрелский и не грузинский а русский. Многие вобще не понимали грузинского. Позор!!! Так что права не надо качать к матери Грузии, а надо к мачихе России!

И запомните, мегрелы не являются этническкой народностю, эта один из главных картвелскых этническких груп!

2007-12-14 03:54:48
□ **Автор: Vika**
□ **2007-12-15 13:52:16**

Ваи скан цода, гвало геборио? шуро ваигуно свиндис мутуниш? Скан скуаша си маргалур вадгагуренда, шхвас мус екабраленк тенас? Маргалур дгас веmедину, си ишн гурше венервиана. мето шхва проблема варе Сакортуос....

Как же не стыдно! Во времена когда Грузия должна быть объеденённой, ибо только тогда Грузия будет сильной, когда мы встанем рядом друг s другом и скажем что мы граждане Грузии и етим гордимся, в такие трудные для Грузии времена еще и писать о том что грузины менгрелов прищемляют! Я сама менгрелка, и владею своим языком прекрасно. И мне противно, когда на моей родине граждан разделяют на грузин и мегрелов! Я гражданка Грузий и етим должно быть все сказано. Никто меня не прищемляет в Грузии, а если кому не нравится, что я говорю на мегрельском или грузинском, это его проблемы. я не создаю себе из этого проблему, и знаю что мои дети будут также хорошо говорит на грузинском как и на мегрельском! это прежде всего зависит от меня, а не от моей страны! И не нужна мне никакая школа на менгрельском языке, я уже тем горда, что мы до сих пор и без письменности сохранили свой язык!

Преступление против человечности, говоришь? Ну, это ты перегнул совсем. Кстати, незнаю как ты, но я мегрелов мертвым народом не считаю...

ასეთი ეთნოდივერსიული ხელგამოღებების საპირწონედ უბრალო, ყოფით სიდუხჭირეში მიზნობრივად ჩათრეული ხალხი შეიძლება მეცნიერული დებულებებით ვერ იცხადებს სათავზარო ღვთისწყრომას, მაგრამ გუმანით ხვდება თუ რა ხრწნადობა შემოეპარა ეროვნულ სულს, ამიტომ ასეთი საპასუხო უკუქნევა სულაც არაა ავყიური ჩასაფრება ან თავაწყვეტილი ბილწსიტყვაობა, იგი სახალხო ამრისხანება და კაცური ფეხაწყობაა, რამეთუ მარცხად მოქნეულს მარჯვედ უნდა აუქნიო:

2008-06-14 15:17:18
Автор: zezva

2008-06-14 15:17:20

**Юра Гвинджилиа _ пидар вонючий... меня больше удивляет, что на этой помойке есть люди из Абхазии.**

**Кто сегодня о менгрельском сепаратизме думает, лично буду вылавливать, козлы и ублюдки..**

**Вместо того, чтобы дело делать против врага Грузии, какой-то ублюдок Юра Гвинджилиа будет нам кров портить? Про тебя щенок и твою организацию знаем все. Либо заткнешься сам, либо придется это сделать другим. придурок несчастный... я тебе сделаю блядь восстания колхов. уродливое создание .**

„სკან დო ჩქიმ ნინა ართ რე, სკან დო ჩქიმ მტერ ხოლო ართ რე, ჩკინ სამშობლო ხოლო ართ რე ო დო საქორთუო ჯოხო. მისუთ ვაკო საქორთუო და ოკო სამარგალო ხვალე, არძოს დიდა უნგარე“.

სამაგიეროდ, აი, ეს არის შორს მზირალი მეგრელის მეგრული გულის ძგერა.

რამეს დაუმატებ, მკითხველო?!

ჩვენ პირადად, ვერაფერს!

**სერგი საჯაია,**
**მწერალი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი;**
**დაზმირ ჯოჯუა,**
**პროფესორი.**




***წერილი შეთანხმებულია აფხაზეთ-სამეგრელოდან გამოსულ ცალკეულ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ხელოვნებისა და მწერლობის წარმომადგენლებთან.***

***დამოწმებულ მასალებში ავტორთა სტილი დაცულია.***

***2008 წ. 30 ივნისი***

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 100-132.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შტაინმაიერი საქართველოსა და აფხაზეთს შორის შუამავლად გამოდის



**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი თავისი გეგმით შეხვდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ბათუმში.**

შეხვედრის შემდეგ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა გერმანიას კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრაში მონაწილეობის მცდელობისათვის, მაგრამ ამავე დროს ბრალი დასდო რუსეთს იმაში, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული ხელისუფლებანი მოქმედებენ რუსეთის მითითებით. „რუსეთი უნდა გახდეს გადაწყვეტის ნაწილი და არა პრობლემის ნაწილი“, — განაცხადა სააკაშვილმა. შტაინმაიერისა და სააკაშვილის საუბრის შემდეგ დელეგაციის წრიდან გახდა ცნობილი, რომ ეს არ იყო „უბრალო მოლაპარაკება, რომელმაც კვლავ აჩვენა, რომ მხარეთა პოზიციები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან“.

პარასკევს შტაინმაიერი გაფრინდება აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში, შემდეგ გერმანიის საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი გაემგზავრება მოსკოვში, სადაც გაიმართება შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან. რუსეთი ასრულებს ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს კონფლიქტში, ვინაიდან მხარს უჭერს აფხაზეთს. ბერლინის გეგმა მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ ითვალისწინებს პირველ ეტაპზე მოლაპარაკებებს საქართველოსა და აფხაზეთს შორის.

მუდმივი მოლაპარაკების სტრუქტურა უნდა შეიქმნას გაეროს პატრონაჟით. საკონტროლო კომიტეტში, სადაც შევლენ კონფლიქტის ორივე მხარის წარმომადგენლები, უნდა შევიდნენ აგრეთვე გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრები, ესე იგი საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ამერიკა და გერმანია. გეგმა ითვალისწინებს, რომ საქართველო ოფიციალურად გამოაცხადებს თავის უარს ძალის გამოყენებაზე. ამას გარდა უნდა დაიდოს ხელშეკრულება დაახლოებით, 250 ათასი ქართველი ლტოლვილის დაბრუნების შესახებ აფხაზეთში. მეორე ფაზაში გათვალისწინებულია ეკონომიკური აღორძინების ერთობლივი პროექტების განხორციელება. მაგალითად, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა რუსეთიდან აფხაზეთისაკენ და საქართველოსაკენ სომხეთამდე.

აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ მოლაპარაკება გეგმის მიხედვით გადატანილია მესამე და უკანასკნელ სტადიაზე. მეგობართა ჯგუფის წევრები ივნისის ბოლოს შეიკრიბნენ ბერლინში, სადაც პრინციპული თანხმობა განაცხადეს შტაინმაიერის წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით. გამგზავრების წინ შტაინმაიერი გეგმის უკანასკნელ დეტალებს ტელეფონით განიხილავდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლავროვთან და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან რაისთან.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა, ისე ულიარებელი აფხაზეთის „საგარეო საქმეთა მინისტრმა“ სერგეი შამბამ პარასკევს სკეპტიკური დამოკიდებულება გამოხატეს გერმანიის მიერ წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით. ლავროვის სიტყვებით, ქართველ ლტოლვილთა დაბრუნება ამჟამად „არარეალურია“. ამის შესახებ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაცია. შამბამ კატეგორიულად უარყო გეგმის მესამე ეტაპი, ესე იგი მოლაპარაკებები აფხაზეთის მომავალი სტატუსის შესახებ: „ჩვენი რესპუბლიკის სტატუსი არ შეიძლება იყოს მოლაპარაკების ობიექტი“. შეიძლება მოლაპარაკება ვაწარმოოთ მხოლოდ „საქართველოსთან საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ან საქართველოს მიერ აფხაზეთის აღიარების შემთხვევაში“.

Frankfurter Allgemeine




## მიხეილ სააკაშვილი: აფხაზეთის პრობლემის გადაჭრას საქართველო მშვიდობიანი გზით აპირებს

**საქართველოს პრეზიდენტი ადასტურებს საქართველოს ხელმძღვანელობის ურყევ ნებას, გადაჭრას კონფლიქტი აფხაზეთში მხოლოდ მშვიდობიანი გზით.**

„ვადასტურებ ურყევ ნებას, მშვიდობიანად მოვაწესრიგოთ ეს კონფლიქტი. ჩვენ ვმუშაობთ ამ მოწესრიგების გეგმის დეტალებზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან ერთად“, — განაცხადა სააკაშვილმა პრესკონფერენციაზე ბათუმში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან შეხვედრის შემდეგ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა გერმანიის მთავრობას „ადეკვატური და სწრაფი“ რეაგირებისათვის და ქართულ-აფხაზური პრობლემის მოწესრიგებაში ჩართვისათვის.

„სწორედ ეს გვინდოდა, როდესაც მოვითხოვდით მოლაპარაკების პროცესის ინტერნაციონალიზაციას“, — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა. სააკაშვილმა შენიშნა, რომ მე-20 საუკუნის კონფლიქტები უნდა გადაიჭრას 21-ე საუკუნეში „თანამედროვე ევროპული მეთოდებით“.

თავის მხრივ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა შტაინმაიერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ქვეყნის ოფიციალური პოზიცია, აღნიშნა, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთი მიაჩნია მის განუყოფელ ნაწილად.

ამ კონფლიქტში ამჟამად შეიქმნა დაძაბული სიტუაცია და ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური ძალისხმევა, რათა უმოკლეს ვადაში გამოვიდეთ იქიდან“, — თქვა შტაინმაიერმა.

მან აღნიშნა, რომ ამისათვის საჭიროა კონფლიქტის მხარეებს — ქართველებსა და აფხაზებს — შორის მოწესრიგდეს სისტემატური პირდაპირი დიალოგი.

ამასთან ერთად, გერმანელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრა ერთი საათის განმავლობაში შეუძლებელია.

**მარინა კვარაცხელია**

НОВОСТИ

# საქართველოს რუსეთთან დავაში გერმანია ჩაერთო

**იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი სულ უფრო მეტად შიშობენ, რომ რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობაში დაძაბულობა შეიძლება გადაიზარდოს ღია კონფლიქტში, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი აპირებს გამოვიდეს შუამავლად მხარეებს შორის. ხუთშაბათს ის ჩავიდა საქართველოში, შემდეგ გაემგზავრა აფხაზეთში, პარასკევს კი — მოსკოვში.**

გერმანიამ პირველად იკისრა შუამავლის როლი კავკასიაში, სადაც მძვინვარებს რეგიონალური კონფლიქტები.

საქართველოში, სადაც თბილისის მთავრობა აი უკვე 16 წელია ცდილობს დაიბრუნოს თავისი კონტროლის ქვეშ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ბევრს ცდილობენ დიპლომატიური ძალისხმევით, რათა დავა გადაიჭრას უახლოეს თვეებში.

„საქმე შეეხება კონფლიქტის თავიდან აცილებას, — განმარტავს უვე ხალბახი, ბერლინში საერთაშორისო ურთიერთობათა და უშიშროების საკითხების ინსტიტუტის სპეციალისტი. — გერმანიას იმედი აქვს, რომ საქართველოს დავა რუსეთთან შეიძლება სრულიად გამოვიდეს კონტროლიდან. გერმანიის ამოცანაა, რომ კონფლიქტი არ განვითარდეს — ამისათვის სურს ყველა მხარეს შესთავაზოს გეგმა, რომელიც 3 ეტაპისაგან შესდგება.

ადრე სხვა ქვეყნები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო ორგანიზაციები, უკვე ცდილობდნენ აღნიშნული კონფლიქტის გადაჭრას, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. მაგრამ გერმანიას, ხალბახის სიტყვებით, აქვს საქართველოსთანაც და რუსეთთანაც ერთნაირად კარგი კავშირი და ამიტომ არსებობს შანსი ოდნავ მაინც შემცირდეს დაძაბულობა და მხარეები მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას.

გეგმა, რომლის რეალიზაციაც გათვლილია 12 თვეზე, ითვალისწინებს ურთიერთნდობის განმტკიცების ზომებს. ორივე მხარისათვის პირველი ნაბიჯი გახდება უარის თქმა ძალადობასა და შეიარაღებულ დამუქრებაზე.

ივლისში აფხაზეთის საზღვარზე საქართველოსთან მოხდა 6 აფეთქება. დაიღუპა 4 კაცი. მათ შორის ამერიკელი თარჯიმანი. აფეთქებების ხმა გაისმა დაძაბულობისა და ურთიერთბრალდების შემდეგ რამდენიმე კვირის წინათ, როდესაც რუსეთმა აფხაზეთში გაგზავნა დამატებითი ჯარები, საქარველომ კი ამერიკის შეერთებული შტატების ძალებთან ერთად მოაწყო ერთობლივი სამხედრო მოცადინეობები.

გერმანელთა გეგმის მეორე ეტაპი ითვალისწინებს აფხაზეთში 250 ათასამდე ქართველი ლტოლვილის დაბრუნებას. მათ რესპუბლიკა დატოვეს 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაინგრა საბჭოთა კავშირი და ძალადობამ ყოფილი იმპერიის ამ ნაწილში მიაღწია უზარმაზარ მასშტაბებს.



ამ ეტაპის შემდეგ გაიმართება სპონსორების კონფერენცია, რომელიც დააფინანსებს ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი სახლების აღდგენას, აგრეთვე გააძლიერებს საქართველოსა და აფხაზეთის ეკონომიკურ კავშირურთიერთობას.

გერმანელი დიპლომატების სიტყვებით, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება მესამე ეტაპის განხილვა, რომლის დროსაც განისაზღვრება აფხაზეთის იურიდიული სტატუსი.

შტაინმაიერმა თავისი გეგმის არსი გააცნო გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს.

საფრანგეთსაც სურს ჩაერთოს მომხდარ ამბებში. ხუთშაბათს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა განაცხადა, რომ აპირებს საქართველოში გამგზავრებას ევროპის კავშირის სახელით, ამჟამად საფრანგეთს ეკუთვნის თავმჯდომარეობა ევროკავშირში, აქ თავმჯდომარე იცვლება ყოველ ნახევარ წელიწადში.

შტაინმაიერი ხუთშაბათს თავის იდეებს წარუდგენს საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, შემდეგ კი შეხვდება აფხაზეთის პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთი, მაგრამ არ აღიარებენ საერთაშორისო არენაზე.

პარასკევს შტაინმაიერი შეხვდება მოსკოვში ლავროვს, შემდეგ კი პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს.

**ჯუდი დემპსი**

Herald Tribune



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №120



# თანამედროვე სასწაულები

## „არც ერთი მეცნიერული არგუმენტი რელიგიას არ ეწინააღმდეგება“

**ჩვენ თვალწინ, XXI საუკუნეში, სასწაულები ხდება: ხატებს სდის მირონი, ტაძრების კედლებზე ისახება ანგელოზები, იერუსალიმში გადმოდის ცეცხლი, გვეცხადებიან წმინდანები და მაინც, დრო და სივრცე ობიექტურად შეუმეცნებელია. ჩვენი სუბიექტური წარმოდგენები კი, საგანთა ჩვენეული ხედვა, შეუმცდარობის გარანტიას არ იძლევა. რას ვუწოდოთ ჭეშმარიტება?**



ფიზიკოსი
გია ასათიანი

**თუკი მეცნიერება ჩვენივე დაკვირვებებით, ცდებით და განზოგადებით მიღწეული და მოპოვებული ცოდნაა, რა არის მიუღწეველი ანუ ვერმიღწეული? რისი გაგებაა შეუძლებელი მხოლოდ გონებით და ინტელექტით?... ისიც ცნობილია, რომ ყველა, ასე თუ ისე, დიდი მეცნიერი საბოლოოდ ღმერთის აღიარებამდე მივიდა. მეცნიერები ცდებით და არგუმენტებით საუბრობენ. აღმოჩნდა, რომ მათი დასკვნები ბიბლიურ ჭეშმარიტებებს არ ეწინააღმდეგება.**

**ფიზიკოსი, მრავალი მეცნიერული გამოკვლევის ავტორი, პროფესორი გია ასათიანი** დიდი ხანია მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობას იკვლევს. წერს წიგნებს, იღებს ვიდეო-ფილმებს და თვლის, რომ ამ ორ ცოდნას სამყაროს არსის შესახებ არც ერთი ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტი არ ახლავს.

საშუალება მოგვეცა შევხვედროთ ბატონ გიას და ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე შეკითხვა დაგვესვა. მისი ვრცელი და უაღრესად საინტერესო საუბრიდან, რომელიც ვიდეო-ფირზე აღვბეჭდეთ, მოგვყავს რამდენიმე ფრაგმენტი.

***— ბატონო გია, ჩვენს უახლეს ისტორიაში, თქვენი აზრით, რატომ მოხდა რელიგიისა და მეცნიერების დაპირისპირება?***

— ყველაფრის თავი და თავი ადამიანის დაცემული ბუნებაა. ძალიან რთულია კონკრეტული არგუმენტებით საუბარი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა უკვდავება, მარადიულობის გააზრება, ჭეშმარიტების შეცნობა, სარწმუნოება, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა ვეცადოთ არ გავცდეთ ადამიანური ყოფიერების საზღვრებს. ამგვარი განმარტებების დროს უნდა გავითვალისწინოთ ის ჩარჩოები, ის სამყარო, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ.

> *ბიბლია ეყრდნობა წინასწარმეტყველების ფაქტებს. სულიწმიდის კარნახით წმიდა მამებმა გადმოგვცეს წარსულში, აწმყოსა და მომავალში, როგორც საზოგადოებაში, ისე სამყაროში მოქმედი კანონზომიერებებისა და მოვლენების არსის უწვრილმანესი დეტალებიც კი, რომლებიც საბოლოო ჯამში ადამიანთა ცხონებას ემსახურებიან.*
>
> ალბერტ აინშტაინი

მეცნიერებისა და რელიგიის დაპირისპირების მიზეზი უფრო პოლიტიკაში დევს და არა ადამიანის ცოდვილ მიდრეკილებებში.

უღმერთოთა ხანა დიდი ხნის წინათ იყო აღწერილი წინასწარმეტყველთა წიგნებში. პარალელურად კი ყოველთვის არსებობდა კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც წვლილი შეჰქონდათ მეცნიერების განვითარებაში და ამავე დროს მორწმუნეები იყვნენ. მართლმადიდებლობის არსის აღიარებამდე მივიდნენ ისეთი კორიფეებიც კი, როგორებიცაა: აინშტაინი, ნისლ ბორი, პლანკი და სხვ...

***— და მაინც, ეს ორი ცოდნა — მეცნიერება და რელიგია, ნუთუ არაფერში ეწინააღმდეგება ერთმანეთს?***

— ფაქტიურად ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავენ. შევხედოთ რელიგიურ მცნებებს, ბიბლიაში აღწერილ მოვლენებს და აღვწეროთ ცალკე მეცნიერული სამყარო. არ არსებობს არც ერთი არგუმენტი მათი დაპირისპირებისა. პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ.

მეცნიერული ექსპერიმენტი ნიშნავს იმას, რომ ერთი და იგივე პირობებში ჩვენ უნდა გავიმეოროთ და დავაკვირდეთ გარკვეულ მოვლენებს. მაგალითად, როგორ მიდის სინათლე, როგორ მოძრაობს მანქანა... ერთი და იგივე პირობებში ანალოგიური შედეგები უნდა მივიღოთ. მეცნიერული ჭეშმარიტება ფუნდამენტური ცდების საფუძველზე ყალიბდება. ცდისეულს ეწინააღმდეგებიან მაშინ, როცა რაღაც ვერ არის წესრიგში. მაგრამ ისინი სკეპტიკოსები არიან და არა მარადისობასა და უკვდავებაზე დაფიქრებული მეცნიერები.

**უფრო ხშირად მეცნიერება და რელიგია მთელი არსით იმეორებენ ერთმანეთს. უბრალოდ, მიდგომისა და ჭეშმარიტების კრიტერიუმებია სხვადასხვა. როგორც პლანკი ამბობდა: „რელიგია ადიდებს უფალს დასაწყისშივე, მეცნიერება კი ყოველი აზრის ბოლოს. პირველი წარმოადგენს ღმერთს, როგორც საფუძველს, მეორე კი სამყაროზე ყოველი ფენომენოლოგიური წარმოდგენის დასასრულს“. ყველაფერში დიდი ლოგიკაა.**

***— ჩვენ გავეცანით უამრავ საარქივო მასალას, როდესაც საბჭოთა პერიოდში მღვდლები დემონსტრატიულად იხდიდნენ ანაფორებს და რიგი სასულიერო პირებისა პოლიტიკურ დაკვეთებსაც ასრულებდა.***

— მე ისინი მეცოდებიან... როცა ამბობდნენ, რომ მეცნიერებასა და პროგრესს ხელს უშლის ანაფორა, ამას აკეთებდნენ ან ფიზიკური შიშის გამო ან, როგრც თქვენ თქვით, პოლიტიკური დაკვეთით. თანამედროვე ისტორიის ფურცლებზე რევოლუციური პროცესები პოლიტიკოსების მიერ იყო ორგანიზებული, დაფინანსებული და მოწყობილი. იყო რევოლუცია, რომელიც ემსახურებოდა მართლმადიდებლურ ეკლესიაზე დარტყმას და სქოლასტიკური არგუმენტებით, დოგმებით ჭეშმარიტი ცნებებით ჩანაცვლებას, შვიდი საიდუმლოს ხელყოფასაც კი, როგორიცაა ჯვრისწერა, ნათლობა და ა.შ. რიტუალების სასახლეებ შეცვალა ჯვრისწერის ცერემონია ეკლესიაში... ბევრს უჩნდება კითხვა: რა საჭირო იყო, რას ემსახურებოდა საეკლესიო ზარების ჩამოგდება, წმინდა ხატების შეურაცხყოფა...

თუ საბჭოთა იდეოლოგიის თანახმად, რელიგია არის სიბნელე და „ოპიუმი ხალხისთვის“, მაშინ რა შეიძლება ითქვას იმ დემაგოგიურ თეორიებზე, რომელიც მოდიოდა მარქსისგან, ენგელსისგან, ფოიერბახიდან, ლენინიდან... ამგვარი აზროვნების ბაზაზე სასულიერო პირები ასაბუთებდნენ თავიანთ გაუგონარ მოქმედებებს, უარს ამბობდნენ ეკლესიაზე, მაგრამ არსებობდნენ ისეთი სასულიერო პირებიც, როგორებიც არიან: **ბასილი დიდი, ნეტარი ავგუსტინე, იოანე ოქროპირი...** მათ არათუ სულიერი, არამედ ღრმადმეცნიერული, უბრწყინვალესი თეორიული დასკვნები აქვთ ჩამოყალიბებული.

***— ადამიანებს უფრო მატერიალური და პრაქტიკულად ხელშესახები საგნები აინტერესებთ და მეცნიერებისგანაც შესაბამის მოითხოვენ.***

— მეცნიერების მიღწევები ხშირ შემთხვევებში ადამიანს ცხოვრებას უადვილებს. თუმცა, აინშტაინის ფარდობითობის თეორია წმინდა თეორიად დარჩა, მაგრამ როგორც კი ამ გენიალურმა მეცნიერმა ფოტოეფექტი ახსნა, ეს საფუძვლად დაედო ნახევარგამტარების მუშაობას. მთელი ჩვენი ელექტრონული დანადგარები დღემდე ამ პრინციპით მუშაობს. აინშტაინს სწორედ ამისთვის მიანიჭეს ნობელის პრემია. **მაგრამ მისი ფარდობითობის თეორია პირდაპირ მიუთითებს უკვდავების არსზე.** რა ხდება სინათლის სიჩქარის მოძრაობის დროს და ა.შ.

როდესაც **მამა გაბრიელი** (ურგებაძე) დედამიწაზე ხილული სახით ცხოვრობდა, ხშირად შესთხოვდა უფალს, მოეხდინა სასწაულები, რათა მრევლისთვის ეჩვენებინა... და უფლის ნებით, ეს ყველაფერი ხდებოდა... სასწაულის მოვლინება ისევე სჭირდებათ ადამიანებს, როგორც ურწმუნო თომას დასჭირდა ეგრძნო უფალი...



ანგელოზის გამოსახულება სამების ტაძარში, პატრიარქის წირვის დროს

სანამ ვიტყვით, რომ ხვთის მიერაა მოვლენილი, სასწაულის არსს უნდა ჩავწვდეთ. არსებობს ფაქტები და მოვლენები, რომლებსაც ჯერჯერობით ვერ ვხსნით მეცნიერულად და ამიტომ ვუწოდებთ სასწაულს. მე მოგიყვან **ნეტარი ავგუსტინეს** განმარტებას: **სასაწული არ არსებობს, სასწაული არის ის, რაც ჩვენ წარმოდგენებს ეწინააღმდეგება...**

მაგრამ ფაქტი ხომ არსებობს და თითოეული ადამიანი ცდილობს ის მატერიალურად ახსნას, მეცნიერულად დაამტკიცოს. ეს იმიტომ, რომ ღვთიური არსის შეცნობისაგან ძალიან შორს ვართ.

მაგალითად, ვაკვირდებით სურათზე აღბეჭდილ, გარკვევით გამოხატულ ანგელოზებს ან ღვთისმშობლის სახეს... ან თუნდაც, იმას, რომ ჩვენ წინ, ჩვენ დროში არ იყო რაღაც ნივთი და უცბად გაჩნდა... ან ვიღაცამ ჩვენი აზრები ზუსტად წაიკითხა... ეს ყოველივე რეალობაა, მაგრამ მათი ახსნა შეუძლებელია. ამისთვის მეცნიერება არა აქვთ (და იქნებ არც უნდა ჰქონდეთ) საკმარისი არგუმენტები. გადის დრო და რაღაც ფაქტებს მეცნიერება ეტაპობრივად ხსნის, მაგრამ ყველას ვერა... სასწაულების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა მეტად ირწმუნოს უფალი.

***— ესე იგი ყველაფერი რწმენით აიხსნება?***

— რწმენით აიხსნება იმისთვის, ვინც ხედავს, ვისაც სჯერა, რომ ეს ფაქტი არსებობს, სარწმუნოებაც ფაქტია და ყველაფერი ღვთის ხელში რომაა ესაა სარწმუნო. რწმენა ყველას გვჭირდება. თუ ვინმე იტყვის, რომ არ სჭირდება, ის მართალს არ ამბობს, ის არ არის გულწრფელი. ყველა ადამიანს აქვს შიში შეუცნობლის წინაშე. ვერასოდეს ვიტყვით, რომ ჩვენ ყველაფერი შევიცანით. რაც მეტს გაიგებ, მით ფართოვდება საზღვრები, მაგრამ უსასრულობას არა აქვს საზღვარი.

„სასწაული ის კი არ არის, მთა გადაადგილდება თუ არა, — ამბობდა **მამა გაბრიელი** — ძროხა მწვანე ბალახს რომ ჭამს და რძე თეთრია, არ გიკვირთ? ამოდენა დედამიწა რას უკავია, არ გიკვირთ?“...

პასუხგაუცემელი კითხვებია: არარსებობიდან როგორ მოვედით არსებობაში? რა მოხდა ცაში ან ქვეყანა რომელიც, „გვაქვს უთვალავი ფერითა“ როგორ შეიქმნა?... ქაოსი როგორ იქცა წესრიგად? როგორ ვცხოვრობთ, საით მივდივართ?...

***— შეიძლება ითქვას, რომ რელიგია ჩვენი ეპოქის მთავარი თემაა?***

— თქვენ შეგიძლიათ დამისახელოთ წელი, თვე, როდესაც ადამიანები რელიგიის გარეშე, თუნდაც, რელიგიის უარყოფის გარეშე, ცხოვრობდნენ? ასეთი დრო არ ყოფილა. ეს არის ემპირიული ფაქტი. ზოგისთვის რელიგია პრობლემაა, ზოგისთვის ცხოვრების არსი და აზრი.

თუ გაინტერესებთ, პრობლემა რა სახით შეიძლება არსებობდეს, გიპასუხებთ: ისევე, როგორც თავიდან იყო, ადამის შექმნის პროცესში... ცოდვებისაკენ მიდრეკილება ხომ ისევ დაგვრჩა?...

***— რას იტყვით თანამედროვე წინასწარმეტყველებზე, რომელთა გამონათქვამები აქტიურად იბეჭდება პრესაში?***

— იმისთვის რომ ადამიანი იყოს წინასწარმეტყველი, აუცილებელი პირობაა — იყოს წმინდანი, ესე იგი, „წმინდა ჭურჭელი“. თუმცა, შეიძლება პიროვნება იყოს წმინდანი, მაგრამ მაინც არ იყოს წინასწარმეტყველი.

ცრუ წინასწარმეტყველთა მოვლინება უკვე დიდი ხანია გაცხადებულია წმინდა მამების მიერ და აქ მოულოდნელი არაფერია.

***— და მაინც ადამიანებს აინტერესებთ, რა მოხდება ხვალ?***

— „ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე. ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თქვენზე“ — ეს მაცხოვრის სიტყვებია...



მამა გაბრიელის განათებული საფლავი, რომელზეც წარწერაა: „ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია“

და როცა ჩვენი თანამედროვე, რიგითი ადამიანი იბრალებს: მე ვარო წინასწარმეტყველი, ვფიქრობთ, აქ სერიოზული კომენტარი ზედმეტია.

**მადონა ახალაია,**
**ია კიკაძე**
**მარკეტინგული და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის III კურსის სტუდენტები**

# მოგონებები მომავლისთვის

## დაკარგავს თუ არა ქართული ტელევიზია მაყურებელს?

**ფასეულობათა გადაფასების ეპოქაში ტელევიზიის არსობრივი დანიშნულება არაერთმნიშვნელოვანი დისკუსიების საგანი გახდა. ცხოვრების აჩქარებული რიტმით დაღლილი, პოტენციურ მგზავრად ქცეული თანამედროვე ადამიანი საკუთარ სახლში არა მხოლოდ მეტაფორულად, რეალურადაც დაბრუნდა და ტელევიზიის ყოვლისმომცველი გავლენისგან გამიჯვნის აუცილებლობას ვერ ხედავს. რაღაც ახალი და ილუზიური სიმყუდროვე შემოვიდა ოჯახურ გარემოში... თუნდაც, ეკრანისკენ მიბრუნებული სახეები, თავისუფალი დროის არარსებობა და ასე თუ ისე დაძლეული მარტოობა...**

**გასული საუკუნის 40-იან წლებში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ერთ-ერთი უცხოური ინსტიტუტი ამგვარი კითხვებით მიმართავდა მოსახლეობას: „იცით, რა არის ტელევიზია? ან „გინახავთ ჩართული ტელევიზორი?“...**

გავიდა წლები და სოციოლოგები, ფსიქოლოგები და რელიგიური მოღვაწენი თითქმის ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ტელევიზია ადამიანის სულსა და ფსიქიკაზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ცნობიერად, არამედ ქვეცნობიერადაც, ასოციაციებისა და ანალოგიების მეშვეობით.

ამ კონტექსტში ალბათ უარყოფის ნაცვლად **„როგორის“ „რაზე“** პრიმატია გასათვალისწინებელი, ანუ როგორი სატელევიზიო ეთერი შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად და მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღებად.

დღევანდელი ქართული, ტრადიციებს და ნოვაციებს აცდენილი, უსახური სატელევიზიო სივრცის ფონზე, ვფიქრობთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავიხსენოთ საქართველოს ტელემაუწყებლობის პირველი ნაბიჯები და პროფესიული სკოლა, რომელიც „არაპროფესიონალთა“ უხეში ჩარევების შედეგად ეტაპობრივად დაინგრა. თუ რატომ გადაიდგა შემდგომი ნაბიჯები უკან და არა წინ, ეს ალბათ, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კვლევის საგანია.

ცნობილი ტელეჟურნალისტის **სოლომონ ლაფაურის** მოგონებათა წიგნი უსამართლოდ დავიწყებული პერსონალიების, მათი ღვაწლის გახსენებაა, რომელთა სახელები და სახეები ქართული სატელევიზიო ხელოვნების სათავეებს და მაყურებელთა თაობების სიყვარულს და ემოციებს უკავშირდება.

ბატონი სოლმონ ლაფაური, თავისი პიროვნული ხიბლით და ცხოვრების წესით, იმ ქართველ ტელეურნალისტთა კოჰორტას წარმოადგენს, რომლებმაც საკუთარი ნიჭიერებით და პასუხისმგებლობის გრძნობით გაარღვიეს საბჭოთა ოფიციოზის დახშული სივრცე, რათა ეროვნული საგანძური ინტერნაციონალიზმის ზღვაში არ ჩაკარგულიყო. ამგვარი ღირებულებებისთვის ილწვოდნენ იმ წლებში, როცა ტელევიზიის ეკრანიდან აკრძალული გახლდათ წარმოთქმა სიტყვებისა: **„ერი“, „სამშობლო“, „ეკლესია“, „სანთელი“...** ქვეტექსტებზე ორიენტირებული ნამდვილი ქართული მწერლობაც და ტელეჟურნალისტიკაც, გამოსახვის ყველა შესაძლო ფორმით, რთული გზებით აღწევდა აუდიტორიის ცნობიერებამდე და იგი, შეიძლება ითქვას, უფრო სიღრმისეულ, ფარულ ეროვნულ მუხტს ატარებდა, ვიდრე დღეს, პოსტსაბჭოთა სინამდვილეში, გულგრილად, ყალბი პათოსით წამოსროლილი ჩვენთვის საკრალური სიტყვები: **„პატრიოტი“, „სამშობლო“, „მამული, ენა, სარწმუნოება“...** ან ურწმუნოთა სანახაობებში ჩართული საეკლესიო ზარები თუ საგალობლები... სიტყვების გაუფასურებას ცნებების და შემდგომ ღირებულებათა გაუფასურება მოსდევს და არაპროფესიული, სულიერებისგან დაცლილი ტელეგადაცემები ანტიშემეცნებით, ანტიაღმზრდელობით შედეგს იწვევს ისე, როგორც თანამედროვე ტელეინდუსტრიაში ჩართული საეკლესიო თემების ფსევდოსულიერება. ერთ-ერთი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე სწორედ ამგვარი ტელეპროდუქციის შესახებ წერდა: **„რასაც ვერ შესძლებს ანტირელიგიური პროპაგანდა, შეძლებენ რელიგიურ თემაზე გადაღებული ვიდეოფილმები“...**




**საფიქრებელია, რომ ქართული სატელევიზიო პროდუქცია, ისე, როგორც ბეჭდური მედია, ინტერნეტის კონკურენციის პირობებში აუდიტორიას დაკარგავს, თუკი ახალი სუნთქვა, ახალი ათვლის წერტილი არ მოინიშნა, უპირველესად, მისივე საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინებით...**

ბატონი **სოლომონ ლაფაურის** მუშაობა ტელევიზიის მუსიკალურ, ხოლო შემდგომ ხალხური შემოქმედების რედაქციაში, თავისი ნამდვილი არსით, არა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, არამედ მოღვაწეობა გახლდათ. მის სახელთანაა დაკავშირებული ჟურნალისტური ნოვაციები, უდიდესი ამაგი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. ცალკეული მომღერლების, მუსიკოსებისა თუ კომპოზიტორების პრეზენტაცია და აღიარება... ეთნოგრაფიული გუნდების შექმნა, ქართული ხალხური სიმღერების აღმოჩენა, გახმოვანება და მისი პოპულარიზაცია...

მოვლენებს ზოგჯერ აუხსნელი ლოგიკაც ახლავს და ყველასთვის მოულოდნელად. იგი, ყოველდღიურ შემოქმედებით შრომაში ჩაფლული რედაქტორი, მომავლის დიდ გეგმებზე ორიენტირებული პიროვნება, რომელსაც თითქოს არ გააჩნია არც ერთი წუთი თავისუფალი, ტოვებს ათეული წლებით შეჩვეულ სამახურს — სახელმწიფო ტელევიზიას... სცენარებით, ფოტო და ვიდეო მასალებით სავსე სამუშაო მაგიდას... საერთოდ, თბილისსაც ტოვებს და სამუდამოდ მშობლიურ სოფელ კისისხევში გადადის საცხოვრებლად... უვლის ვენახს, მოჰყავს სიმინდი, რგავს, თესავს... უშუქოდ და უპატრონოდ დარჩენილი კახეთის სოფლების ერთი ჩვეულებრივი, რიგითი მკვიდრი ხდება...

მის ყოველდღიურ ცხოვრებას აღარ ახლავს ტაში და ოვაციები, ტელემაყურებელთა მადლობის წერილები, სატელეფონო ზარები, მუდმივი თათბირები, ხელოვანთა შეხვედრები... საიუბილეო თარიღმაც უხმაუროდ ჩაიარა...

ჩვენ გადავათვალიერეთ ბატონ სოლომონ ლაფაურის არქივი და ცოტა არ იყოს, გაოცებული დავრჩით, რადგან იგი არავის მიმართ არ გამოთქვამს მცირე საყვედურსაც კი... მისთვის მტკივნეულ თემას — ტელევიზიის დატოვების ეპიზოდს არსად არ აღწერს...

საერთოდ, ცდილობს განვლილი ცხოვრებიდან მხოლოდ და მხოლოდ კარგი და ღირებული მოიგონოს...

მახსოვს, ბატონმა სოლომონმა უკანასკნელი შეხვედრისას მითხრა: *„ჩემი ცხოვრების გზაზე მხვდებოდნენ ადამიანები, უანგაროდ რომ მიწვდიდნენ დახმარების ხელს... ჩემს გარშემო იყვნენ პიროვნებები, რომლებიც თავიანთი ღირსებით, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით, ღვაწლით სხვებსაც აძლევდნენ შთაგონებას... დიდი იყო ამგვარი მაგალითების ძალა!*

*არ მინდა ისე წავიდე ამქვეყნიდან, მათდამი მადლიერება არ გამოვხატო...“*

ბატონ სოლომონ ლაფაურის მოგონებათა წიგნი მადლიერების გამოხატულებაცაა და იმის განმარტებაც, თუ რას ნიშნავს დარგობრივი პატრიოტიზმი.

**ქართული ტელევიზიის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია არ შეიძლება მხოლოდ წარსულის საარქივო მასალად განვიხილოთ. ის უპირველესად ტრადიციაა, რისი გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია ამ სფეროში რაიმე ღირებულის შექმნა, რაც ვფიქრობ, უკვე არაერთმნიშვნელოვნად გვიჩვენა დრომ.**

**ნინო ხოფერია**

**დამტკიცებულია შ.პ.ს. „უძრავი ქონების საქმეთა მუდმივ-მოქმედი არბიტრაჟი უნი-ჯგუფი“-ს პარტნიორთა კრებაზე. ოქმი № 1. 07.07.2008წ.**

**რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, ბრძანების № 15139, თარიღი 09/07 2008წ.**

# შპს უძრავი ქონების საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი უნი-ჯგუფის

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**(შპს „ინი-არბიტრაჟი)**

**ქ. თბილისი 2008წ.**

### 1. ამ დებულებაში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინის განმარტება:

1.1. “არბიტრაჟი“ – შ.პ.ს. „უძრავი ქონების საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი უნი-ჯგუფი“, შემოკლებით შ.პ.ს. „უნი-არბიტრაჟი“

1.2 “დავა” – სამოქალაქო დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა უნი-არბიტრაჟს;

1.3 “მხარე” – მხარე იმ დავისა, რომლის განხილვაც ეთხოვა „უნი-არბიტრაჟს“; ამასთან, მითითება “მოდავე” და “მოპასუხე” მხარეებზე მხოლოდ პირობითია და აღნიშნავს „უნი-არბიტრაჟისთვის“ მიმართვის რიგითობას;

1.4 “საარბიტრაჟო ტრიბუნალი” – “ტრიბუნალი” – მხარეთა ან უნი-არბიტრაჟის მიერ დავის გადასაწყვეტად ამ დებულების მიხედვით დანიშნული ან არჩეული ტრიბუნალი (ერთი არბიტრი ან არბიტრები);

1.5 “საარბიტრაჟო შეთანხმება” – დავამდელი ან დავის შემდგომი (საარბიტრაჟო განხილვის დაწყების თარიღამდე) წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, ამა თუ იმ დავის სარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ. ამასთან, თუ მხარეებს შორის არსებობს რამოდენიმე ასეთი შეთანხმება, მაშინ ძალაშია თითოეულის ის ნაწილი, რომელიც არ ეწინააღმდეგება და არ გაუქმებულა უფრო გვიან მიღწეული შეთანხმებით.

1.6. „გადაწყვეტილება“ – „უნი-არბიტრაჟის“ დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად წყდება, „უნი-არბიტრაჟს“ გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით;

1.7. „დადგენილება“ – „უნი-არბიტრაჟის“ დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, „უნი-არბიტრაჟს“ გამოაქვს შუალედური გადაწყვეტილების ფორმით;

1.6 “უნი-არბიტრაჟის” თავმჯდომარე – “უნი-არბიტრაჟი“-ს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი პირი;

1.7 “ტრიბუნალის თავმჯდომარე” – საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის ერთადერთი წევრი;

1.8 “საარბიტრაჟო განხილვის დაწყების თარიღი” – უნი-არბიტრაჟის მიერ დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების დადგენილებაში მითითებული თარიღი;

1.9. „არბიტრი“– არბიტრაჟის წევრი;

1.10. „კანონი“ – საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“;

1.11. „სარეგისტრაციო მოსაკრებელი“ – მოსაკრებელი, რომელსაც არბიტრაჟში საქმის განხილვის დაწყებამდე წარმოშობილი ხარჯის დასაფარავად იხდიან არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის შემტანი პირები.

1.12. „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ – მოსაკრებელი, გათვალისწინებული არბიტრაჟის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის დასაფარავად, გადახდილი არბიტრაჟში განსახილველად შეტანილი ყოველი საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის (არბიტრების ჰონორარი, არბიტრაჟის აპარატის ხელფასი, საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯი და სხვა).

1.13. „არბიტრაჟის დამატებითი ხარჯი“ – განსაკუთრებული ხარჯი, რომელიც გაიწევა კონკრეტული საქმის განხილვისას (ხარჯები ექსპერტიზის ჩატარებისათვის, ექსპერტთა ჰონორარი, სამივლინებო ხარჯები და სხვა).

1.14. მხარეთა ხარჯი – ხარჯი, რომლებიც გაღებულია მხარეთა მიერ თავისი ინტერესების დასაცავად არბიტრაჟში საქმის განხილვის დროს, გარდა ამ მუხლის 1.11., 1.12. და 1.13. პუნქტებით გათვალისწინებული ხარჯისა.

### 2. ზოგადი დებულებები

2.1 „უნი-არბიტრაჟი“ არის სამოქალაქო სამართლებრივი დავების საარბიტრაჟო განხილვის ინსტიტუტი. ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების საკითხს წყვეტს „უნი-არბიტრაჟი“, საარბიტრაჟო პრეტენზიისა და საარბიტრაჟო პრეტენზიაზე პასუხის საფუძველზე.

2.2 „უნი-არბიტრაჟის“ მიერ საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღებული დავა გადაეცემა ამ დებულების შესაბამისად შექმნილ საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

2.3 დავაზე „უნი-არბიტრაჟის“ მიერ თავისი იურისდიქციის ცნობის შემთხვევაში ეს დებულება განიხილება, როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი. ამასთან, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე ნაწილი ეწინააღმდეგება ამ დებულების რომელიმე წესს, მაშინ მოქმედებს ამ დებულების შესაბამისი წესი.

2.4 „უნი-არბიტრაჟი“, ტრიბუნალი და მხარეები ხელმძღვანელობენ ამ დებულებაში მოცემული წესებით. ამ დებულების რომელიმე წესის განმარტების, ან ამ დებულებით მოუწესრიგებელი პროცედურული საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება აქვს „უნი-არბიტრაჟის“ თავმჯდომარეს, ტრიბუნალის თავმჯდომარეს რომელიმე მხარის მიმართვის საფუძველზე.

2.5 თუ ოდესმე აღმოჩნდება, რომ ამ დებულების რომელიმე ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ან იურიდიული ძალის არმქონეა, ეს ფაქტი გავლენას არ მოახდენს მისი დანარჩენი ნაწილის და მთლიანად დებულების იურიდიულ ძალასა ან გამოყენებადობაზე.

### 3. საარბიტრაჟო პრეტენზია

3.1 მოდავე მხარემ, რომელსაც სურს, რომ დავა განიხილოს „უნი-არბიტრაჟმა“, წერილობითი, საარბიტრაჟო პრეტენზიით უნდა მიმართოს „უნი-არბიტრაჟს“. საარბიტრაჟო პრეტენზია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მხარეთა სრული დასახელება და მათი იურიდიული მისამართები;

ბ) დავის საგნის მოკლე აღწერა;

გ) სარბიტრაჟო შეთანხმება მხარეთა შორის, თუ ასეთი არსებობს;

დ) ყველა იმ დოკუმენტის ასლი ან ინფორმაცია, რაც მოდავე მხარეს მოეპოვება, და კავშირშია დავის საგანთან;

ე) მოდავე მხარის მოთხოვნა.

3.2 უნი-არბიტრაჟი, საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, საარბიტრაჟო პრეტენზიის და ამ დებულების ასლებს გაუგზავნის მოპასუხე მხარეს.

### 4. პასუხი საარბიტრაჟო პრეტენზიაზე

4.1 მოპასუხე მხარემ, საარბიტრაჟო პრეტენზიის და ამ დებულების ასლების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში, „უნი-არბიტრაჟს“ უნდა მიაწოდოს თავისი პასუხი საარბიტრაჟო პრეტენზიაზე. „უნი-არბიტრაჟის“ თავმჯდომარე უფლებამოსილია, მოპასუხე მხარის თხოვნის საფუძველზე, გააგრძელოს აღნიშნული ვადა მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს ერთი კვირის ვადით.

4.2 საარბიტრაჟო პრეტენზიაზე პასუხი უნდა შეიცავდეს:

ა) კომენტარს მოდავე მხარის მიერ დავის საგნის აღწერაზე, იმ ნაწილების მითითებით, რომლებსაც მოპასუხე მხარე ეთანხმება, ან უარყოფს;

ბ) დოკუმენტების ასლებს ან ინფორმაციას, რაც არ არის საარბიტრაჟო პრეტენზიაში, და რაც კავშირშია დავასთან;

გ) კომენტარს მოდავე მხარის მოთხოვნაზე;

დ) ნებისმიერ იმ შეგებებულ პრეტენზიას (თუ ასეთი არსებობს), რაც მოპასუხე მხარეს გააჩნია მოდავე მხარის მიმართ.

### 5. უნი-არბიტრაჟის იურისდიქცია

5.1 იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველზე „უნი-არბიტრაჟი“ დაადგენს, რომ მხარეთა შორის არსებობს იურიდიული ძალის მქონე საარბიტრაჟო შეთანხმება მოცემული დავის განსახილველად „უნი-არბიტრაჟისთვის“ გადაცემის თაობაზე, ხოლო მოპასუხე მხარე საარბიტრაჟო პეტენზიაზე პასუხში არ შეეცდება, ან უშედეგოდ შეეცდება უნი-არბიტრაჟის იურისდიქციის უარყოფას, ან საერთოდ არ უპასუხებს საარბიტრაჟო პრეტენზიას ამ დებულებით დადგენილ ვადაში, მაშინ საარბიტრაჟო სასამართლოს უფლება აქვს, ცნოს თავისი იურისდიქცია ასეთ დავაზე.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველზე „უნი-არბიტრაჟი“ დაადგენს, რომ მხარეთა შორის არ არსებობს იურიდიული ძალის მქონე საარბიტრაჟო შეთანხმება, ან ასეთი არსებობს, მაგრამ არ მიუთითებს დავის საარბიტრაჟო სასამართლოსათვის გადაცემაზე, მაშინ, საარბიტრაჟო პრეტენზიის და ამ დებულების ასლებთან ერთად, „უნი-არბიტრაჟი“ მოპასუხე მხარეს გაუგზავნის შეთავაზებას, რომ დავის საარბიტრაჟო განხილვა მოხდეს „უნი-არბიტრაჟის“ მიერ.

5.3 შეთავაზების გაგზავნის შემთხვევაში ამ დებულების 5.2 პუნქტის მიხედვით, თუ მოპასუხე მხარე გამოეხმაურება „უნი-არბიტრაჟს“ და უარყოფს, ან უპასუხოდ დატოვებს მის შეთავაზებას, მაშინ „უნი-არბიტრაჟი“ უარს იტყვის დავის განხილვაზე. თუ მოპასუხე მხარე მიიღებს შეთავაზებას და უპასუხებს საარბიტრაჟო პრეტენზიას ამ დებულებით დადგენილ ვადაში, მაშინ, მხარეთა შორის შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, „უნი-არბიტრაჟი“ უფლებამოსილია, ცნოს თავისი იურისდიქცია აღნიშნულ დავაზე.

### 6. საარბიტრაჟო განხილვის დაწყება

6.1 „უნი-არბიტრაჟი“ ვალდებულია, მოპასუხე მხარის გამოხმაურებისათვის განკუთვნილი ვადის ამოწურვიდან ერთი კვირის ვადაში ოფიციალურად მიიღოს დადგენილება დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების, ან მიღებაზე უარის შესახებ, შესაბამისი მიზეზების ჩვენებით. მოდავე მხარეებს მიეწოდებათ დადგენილების თითო ასლი.

6.2 დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების დადგენილებაში „უნი-არბიტრაჟმა“ უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო ხარჯების მოსალოდნელი (საავანსო) თანხის ოდენობა. საავანსო თანხა უნდა დაიფაროს ერთ-ერთი მხარის მიერ მთლიანად, ან მხარეების მიერ მათ შორის შეთანხმებული პროპორციით, მხარეების მიერ დადგენილების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

6.3 საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნა ამ დებულების 7 მუხლის შესაბამისად დაიწყება მხარეების მიერ საავანსო თანხის სრული ოდენობით დაფარვის შემდეგ. ამასთან, საავანსო თანხის გადაუხდელობა ან დაგვიანებით გადახდა საკმარისი საფუძველია დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების დადგენილების გასაუქმებლად.

### 7. საარბიტრაჟო ტრიბუნალი

7.1 ტრიბუნალი, როგორც წესი, შედგება ერთი ან სამი არბიტრისაგან, რომლებიც აირჩევა ან ინიშნება ამ მუხლის მიხედვით. ტრიბუნალის წევრები ინიშნებიან ან აირჩევიან „უნი-არბიტრაჟის“ არბიტრთა სიიდან, თუ მხარეთა შორის არა არსებობს სხვა შეთანხმება.

7.2 თუ საარბიტრაჟო შეთანხმებაში გაკეთებულია არჩევანი ერთი ან სამი არბიტრის სასარგებლოდ, მაშინ ტრიბუნალის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება საარბიტრაჟო შეთანხმების მიხედვით, ხოლო სხვა შემთხვევებში ტრიბუნალის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს „უნი-არბიტრაჟის თავმჯდომარე, მხარეთა სურვილისა და დავის სირთულის გათვალისწინებით.

7.3 ერთწევრიანი ტრიბუნალის შემთხვევაში არბიტრს ნიშნავს „უნი-არბიტრაჟის“ თავმჯდომარე. სამი არბიტრისაგან შემდგარი ტრიბუნალის შემთხვევაში თითო არბიტრს ნიშნავენ მხარეები, ხოლო მესამე არბიტრს, რომელიც იქნება ტრიბუნალის თავმჯდომარე, ნიშნავს „უნი-არბიტრაჟის“ თავმჯდომარე. თუ რომელიმე მხარის სურვილია, ამ მხარის დასანიშნი არბიტრიც შეიძლება, დანიშნოს „უნი-არბიტრაჟის“ თავმჯდომარემ, ან, თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ამას ითვალისწინებს, მესამე არბიტრი შეიძლება, აირჩიონ ტრიბუნალის უკვე დანიშნულმა წევრებმა. „უნი-არბიტრაჟის“ თავმჯდომარე ნიშნავს არბიტრს იმ მხარის ნაცვლადაც, რომელიც არ დანიშნავს არბიტრს „უნი-არბიტრაჟის“ მიერ დადგენილ ვადაში.

7.4 თუ „უნი-არბიტრაჟი“ დავის განსაკუთრებული სირთულიდან გამომდინარე ამას საჭიროდ ჩათვლის, და მხარეებიც თანხმობას განაცხადებენ, შეიძლება, ტრიბუნალი დაკომპლექტდეს ხუთი არბიტრისაგან. ასეთ შემთხვევაში თითოეული მხარე დანიშნავს ორ არბიტრს, ხოლო მეხუთე არბიტრი დაინიშნება „უნი-არბიტრაჟის“ თავმჯდომარის მიერ.

7.5 თუ საარბიტრაჟო განხილვის დროს რომელიმე მხარის ან ტრიბუნალის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე დადასტურდება, რომ ტრიბუნალის რომელიმე წევრი სათანადოდ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაშინ საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, გაათავისუფლოს ასეთი არბიტრი ტრიბუნალის წევრობისაგან. ასეთ შემთხვევაში, ისევე, როგორც საკუთარი განცხადების საფუძველზე (საპატიო მიზეზის არსებობისას) ტრიბუნალის წევრის გათავისუფლების, ან ტრიბუნალის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ახალი არბიტრი უნდა დაინიშნოს ან აირჩეს იმავე წესით, როგორც მისი წინამორბედი.

7.6 თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ იქნება გამოტანილი ამ დებულებით დადგენილ ვადაში, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ტრიბუნალი დაიშალოს და მოხდეს მისი ხელმეორედ შექმნა 7 მუხლის შესაბამისად.

### 8. არბიტრის აცილება

8.1 საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრები დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ მხარეებისაგან, და უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ტრიბუნალის წევრობის ნებისმიერი კანდიდატურა ვალდებულია, ტრიბუნალის დაკომპლექტებამდე და მის მერე სრულად გაუმხილოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს ნებისმიერი ის გარემოება, რამაც შეიძლება, ეჭვქვეშ დააყენოს რომელიმე არბიტრის მიუკერძოებლობა რომელიმე მხარისადმი, ან გამოიწვიოს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა.

8.2. ხანდაზმულობის ვადა არბიტრის აცილების მოთხოვნისათვის არის ერთი კვირა ტრიბუნალის დაკომპლექტებიდან, ან, თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებას აქვს ადგილი, ამგვარი გარემოების აღმოჩენის დღიდან, თუ აღმომჩენ მხარეს არ უნდა სცოდნოდა და შეიძლებოდა განეცხადებინა ამ გარემოების შესახებ ტრიბუნალის დაკომპლექტების დროისათვის.

8.3. „უნი-არბიტრაჟმა“ უნდა განიხილოს არბიტრის მიუკერძოებლობის საეჭვო გარემოებები, ისევე, როგორც არბიტრის აცილების მოთხოვნის ყოველი ცალკეული შემთხვევა, და გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. „უნი-არბიტრაჟმა“ შეიძლება, განიხილოს ასევე ხანდაზმულობის ვადის დარღვევით გაცხადებულ აცილების მოთხოვნაც, და ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, რომ აცილებული არბიტრის გასამრჯელო ან მისი ნაწილი დააკისროს განმცხადებელ მხარეს.

### 9. საარბიტრაჟო განხილვის ენა

9.1. „უნი-არბიტრაჟის“ საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე.

9.2. თუ რაიმე მიზეზის გამო მხარეთათვის შეუძლებელია ქართულ ენაზე საარბიტრაჟო განხილვის წარმოება, „უნი-არბიტრაჟს“, მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მხარეთა შუამდგომლობით შეუძლია საარბიტრაჟო განხილვისას მოიწვიოს თარჯიმანი.

### 10. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი

10.1 საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, „უნი-არბიტრაჟთან“ შეთანხმებით, სხდომების, მოსმენების გამართვის, მტკიცებულებების დათვალიერების ან სხვა მიზნით შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას საჭიროებისა ან შეხედულებისამებრ.

10.2 მიუხედავად ტრიბუნალის შეკრების ფაქტიური ადგილისა, საარბიტრაჟო განხილვის ადგილად მიიჩნევა საარბიტრაჟო შეთანხმებაში საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მითითებული ადგილი.

10.3 თუ საარბიტრაჟო შეთანხმება არ ასახელებს საარბიტრაჟო განხილვის ადგილს, ან მასში მითითებული ადგილი საქართველოს ფარგლებს გარეთაა, მაშინ საარბიტრაჟო განხილვის ადგილად მიიჩნევა საარბიტრაჟო სასამართლოს იურიდიული მისამართი.

10.4 საარბიტრაჟო განხილვის ადგილი წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილს.

### 11. გამოსაყენებელი სამართალი

11.1 საარბიტრაჟო შეთანხმების იურიდიული ძალისა და უნი-არბიტრაჟის იურისდიქციის დადგენის დროს უნი-არბიტრაჟი გამოიყენებს მხარეთა მიერ მითითებულ სამართალს, ან ქართულ სამართალს.

11.2 საარბიტრაჟო განხილვის პროცედურის მიმართ გამოიყენება ქართული სამართალი.

11.3 ტრიბუნალმა უნდა დაადგინოს ის სამართალი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს დავის მატერიალური სამართლის საკითხების გადაწყვეტა, მხარეთა არჩევანისა ან ქართული საერთაშორისო კერძო სამართლის საფუძველზე.

### 12. საარბიტრაჟო განხილვის ზოგადი წესები

12.1 ყოველი საარბიტრაჟო ტრიბუნალი დამოუკიდებლად გადაწყვეტს თავისი მუშაობის წესს, ამ დებულების შესაბამისად და მხარეთა ერთობლივ მოთხოვნათა შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით.

12.2 საარბიტრაჟო ტრიბუნალი როგორც პროცედურულ, ასევე დავის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ამასთან, პროცედურულ საკითხებზე უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში ტრიბუნალის თავმჯდომარეს აქვს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

12.3 როგორც წესი, საარბიტრაჟო სხდომები დახურულია, თუ ორივე მხარე არ მოითხოვს ღია განხილვის წარმართვას.

12.4 მხარეებს უნდა ეცნობოთ მოსმენის გამართვის დრო და ადგილი, ამასთან, საკმაო დროით ადრე, რათა მათ მოახერხონ ასეთ მოსმენაზე გამოცხადება.

12.5 თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს და საარბიტრაჟო ტრიბუნალი ამას მისაღებად ჩათვლის, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება, წარიმართოს მხოლოდ წარმოდგენილი წერილობითი მასალის საფუძველზე, მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე.

12.6 ტრიბუნალმა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, უნდა ყოველი ღონე იხმაროს დავის გარშემო ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, რისთვისაც საჭიროების შემთხვევაში, უნი-არბიტრაჟის მეშვეობით,

მოხდება მოწმეთა გამოძახება, ექსპერტთა მოწვევა, მტკიცებულებათა გამოთხოვა.

### 13. მხარეთა მორიგება

13.1 თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, საარბიტრაჟო განხილვის რომელიმე ეტაპზე მხარეები მიაღწევენ სრულ და საბოლოო შეთანხმებას ყველა სადავო საკითხზე, მაშინ საარბიტრაჟო განხილვა წყდება.

13.2 მხარეთა შეთანხმებას საარბიტრაჟო ტრიბუნალი აფორმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახით.

### 14. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

14.1 ტრიბუნალმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არაუგვიანეს ორი თვისა ტრიბუნალის სრული შემადგენლობით დაკომპლექტებიდან. „უნი-არბიტრაჟის“ თავმჯდომარეს შეუძლია, გააგრძელოს აღნიშნული ვადა მხოლოდ ერთხელ, საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, არაუმეტეს ერთი თვის ვადით.

14.2 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის.

14.3 არბიტრაჟს შეუძლია მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწოროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი;

14.4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და დაგენილებითი ნაწილებისაგან.

14.5. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება და არბიტრაჟის შემადგენლობა, არბიტრაჟის სხდომის მდივანი, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა არბიტრაჟი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი;

14.6. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას პრეტენდენტის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებელს;

14.7. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს არბიტრაჟის მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება არბიტრაჟის დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც არბიტრაჟი უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონი ან/და სხვა იურიდიული ნორმები, რომლებითაც არბიტრაჟი ხელმძღვანელობდა;

14.8. გადაწყვეტილების დადგენილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს არბიტრაჟის დასკვნას პრეტენზიის დაკმაყოფილების ან პრეტენზიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას საარბიტრჟო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე;

14.9. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან ხუთი დღის ვადაში;

14.10. არბიტრაჟის გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესი.

### მუხლი 15. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები.

15.1. არბიტრაჟი, დებულებით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე;

გ) მხარეები მორიგდნენ;

დ) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

15.2. საქმეზე წარმოება შეწყდება არბიტრაჟის გადაწყვეტილებით.

15.3. მხარეებს შეუძლიათ მორიგდნენ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. მხარეთა მორიგების შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია დაამტკიცოს მხარეთა შორის შეთანხმებული გადაწყვეტილება.

15.4. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არბიტრაჟისათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

### მუხლი 16. პრეტენზიის განუხილველად დატოვება.

16.1. არბიტრაჟი, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს პრეტენზიას, თუ:

ა) პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;

ბ) საარბიტრაჟო სხდომაზე პრეტენდენტი არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა პრეტენზიის განუხილველად დატოვებისა;

გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

16.2. პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება.

16.3. იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო პრეტენზიის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს არბიტრაჟს საერთო წესის დაცვით.

### მუხლი 17. საქმის წარმოების შეჩერება

17.1. არბიტრაჟი (არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს გამოცხადდეს არბიტრაჟში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

გ) მხარე იმყოფება ნამდვილვადიან სამხედრო სამსახურში;

დ) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებში;

ე) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, ან, თუ საარბიტრაჟო განხილვისას აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგებზე;

ვ) არბიტრაჟმა დანიშნა ექსპერტიზა;

ზ) სხვა აუცილებლობის შემთხვევაში.

17.2. საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება.

### მუხლი 18. საარბიტრაჟო სხდომის ოქმი.

18.1. არბიტრაჟის თითოეული სხდომის შესახებ და აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული ცალკეული საარბიტრაჟო- საექსპერტო მოქმედების შესახებ დგება ოქმი.

18.2. ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საარბიტრაჟო- საექსპერტო მოქმედების ძირითად მომენტებს.

18.3. ოქმს ადგენს მდივანი თვით საარბიტრაჟო სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული საარბიტრაჟო- საექსპერტო მოქმედების შესრულების დროს.

18.4. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის შესახებ, რომლებსაც, მათი აზრით, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

18.5. ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არაუგვიანეს სამი დღისა სხდომის დამთავრების ან ცალკეული საარბიტრაჟო- საექსპერტო მოქმედების შესრულების შემდეგ.

18.6. ოქმს ხელს აწერს არბიტრი და მდივანი. ხოლო, თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავდა – ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი.

18.7. არბიტრაჟს შეძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს მაგნიტოფონი ან კომპიუტერი, რომელთა ჩანაწერებიც ოქმს თან ერთვის. საარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საექსპერტო მოქმედების შესრულების შემდეგ მაგნიტოფონი თუ კომპიუტერის ჩანაწერები გადატანილ უნდა იქნეს ოქმში.

18.8. სხდომის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ სამი დღის განმავლობაში მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითონ უსწორობაზე თუ უსრულობაზე.

### 19. კონფიდენციალურობა

19.1. უნი-არბიტრაჟი, ტრიბუნალი, მხარეები, ისევე როგორც საარბიტრაჟო გარჩევაში მონაწილე ექსპერტები, მოწმეები და სხვა პირები ვალდებულნი არიან, სრული საიდუმლოებით შეინახონ ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მათთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო განხილვაში მათი მონაწილეობის შედეგად, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

19.2. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამხელა შეიძლება მხოლოდ სასამართლოებისათვის, სხვა კომპეტენტური ორგანოებისა ან პირებისათვის, გადაწყვეტილების აღსრულების ან მისი შედეგების დადასტურების აუცილებლობის, ან კანონით მოთხოვნილ შემთხვევებში.

### 20. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები

20.1. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯი შედგება სარეგისტრაციო მოსაკრებლის, საარბიტრაჟო მოსაკრებლისა და არბიტრაჟის დამატებითი ხარჯისაგან (ექსპერტიზის ხარჯი, ექსპერტებისა და თარჯიმნების ჰონორარი, არბიტრებისა და მათი გადაადგილების ხარჯი და სხვ.)

20.2. სარეგისტრაციო მოსაკრებელს მოდავე მხარე იხდის საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენასთან ერთად, რის გარეშეც პალატა საარბიტრაჟო პრეტენზიას არ მიიღებს. ამასთან, არბიტრაჟის მიერ დავის მიუღებლობის შემთხვევაში სარეგისტრაციო მოსაკრებელი დაბრუნებას არ ექვემდებარება, თანახმად წინამდებარე დებულებისა.

20.3. პალატამ მხარეებს შეიძლება განუსაზღვროს საავანსო თანხის ოდენობა, რომელიც შეიტანება პალატის ანგარიშზე.

20.4. არბიტრაჟი არ იწყებს საარბიტრაჟო განხილვას, თუ რეგისტრატორისგან არ მიიღებს დადასტურებას იმის შესახებ, რომ პალატას გააჩნია საკმარისი ფონდი მოცემული საქმის განსახილველად.

20.5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის გადახდას არბიტრაჟი დააკისრებს მთლიანად ერთ-ერთ მხარეს ან მხარეებს გარკვეული პროპორციით. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის დაკისრების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია.

20.6. თუ პალატის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოო ხელმოუწერელი ვარიანტის მიღებისას აღმოჩნდება, რომ ამ დებულების შესაბამისად გადახდილი საავანსო თანხა აღემატება საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის დაკისრებულ ოდენობას, განსხვავება დაუბრუნდება ერთ – ერთ ან ორივე მხარეს (გარკვეული პროპორციით) დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად. თუ საავანსო თანხა დაკისრებულ თანხაზე ნაკლებია, მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა დაფარონ განსხვავება. არბიტრაჟის წევრები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს აწერენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა პალატისაგან მიიღებენ შეტყობინებას, რომ საარბიტრაჟო ხარჯი სრული ოდენობითაა დაფარული მხარეთა მიერ.

20.7. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის გარდა, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ერთ-ერთ მხარეს შეიძლება დაეკისროს მეორე მხარის მიერ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებით გაწეული იურიდიული ხარჯების მთლიანად ან მისი გარკვეული ნაწილის ანაზღაურება.

20.8. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის (ან შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიის) აღმძვრელი მხარე სრულად არ გადაიხდის მისთვის დადგენილ ავანსს, არბიტრაჟი ამას მიიჩნევს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე (შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე) უარის თქმად;

20.9. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისას სარეგისტრაციო მოსაკრებელი ჩაითვლება საარბიტრაჟო მოსაკრებელში;

20.10. სარეგისტრაციო მოსაკრებელი არ ექვემდებარება დაბრუნებას.

### 21. უზრუნველყოფის ზომები

21.1. საარბიტრაჟო პრეტენზიის ავტორს შეუძლია მიმართოს „უნი-არბიტრაჟს“ საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ გარემოების შესახებ, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის „უნი-არბიტრაჟის“ გადაწყვეტილების აღსრულებას. განცხადებაში ასევე უნდა მიეთითოს თუ რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია აუცილებლად.

21.2. თუ „უნი-არბიტრაჟმა“ მიიჩნია პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საჭიროდ, უფლებამოსილია მიიღოს შუალედური გადაწყვეტილება პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ავანსის შეტანით, საბანკო გარანტიის წარმოდგენით, ყადაღის დადებით ქონებაზე, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედებების შესრულების აკრძალვით და სხვა ღონისძიებებით. ეს პირობები შეიძლება შეიცავდეს მოპასუხის მოთხოვნას პრეტენზიის ავტორის მხრიდან ასეთი უზრუნველყოფის წარმოდგენით მოსალოდნელი ზარალის მიღების უზრუნველყოფის შესახებ. მოპასუხის მოთხოვნით არბიტრაჟს შეუძლია პრეტენზიის ავტორს მოსთხოვოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

21.3. თუ მოიხსნება საფუძველი, რომლის გამოც განხორციელდა უზრუნველყოფა, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა ასეთი უზრუნველყოფა, ვალდებულია დაუბრუნოს უზრუნველყოფის გარანტია.

21.4. აუცილებლობის შემთხვევაში „უნი-არბიტრაჟმა“ შეიძლება გამოიყენოს პრეტენზიის უზრუნველყოფის რამდენიმე ღონისძიება.

### 22. კომუნიკაცია საარბიტრაჟო სასამართლოსა და მხარეთა შორის

22.1 „უნი-არბიტრაჟს“, ტრიბუნალსა და მხარეებს შორის კომუნიკაცია არის წერილობითი და სრულდება საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.

22.2 შეტყობინება ჩაითვლება გაგზავნილად, თუ ის ჩაბარდა ადრესატს პირადად, ან გაიგზავნა რეგისტრირებული ფოსტით, ან ტელექსის, ტელეფაქსის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით, რომელიც იძლევა გაგზავნის დადასტურების ჩანაწერს.

22.3 შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ადრესატის მიერ სპეციალურად მითითებულ საკომუნიკაციო მისამართზე. ასეთი მისამართის არარსებობის შემთხვევაში შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ადრესატის საბოლოოდ ცნობილ საცხოვრებელ ან საქმიანობის ადგილის მისამართზე.

22.4 თუკი არსებობს გაგზავნის დადასტურება, შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად (მიწოდებულად) იმ დღეს, როცა ის პირადად ჩაბარდა ადრესატს, ან უნდა მიეღო ადრესატს გამოყენებული საკომუნიკაციო საშუალების სახეობიდან გამომდინარე.

### 23. შ.პ.ს. „უძრავი ქონების საქმეთა მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი უნი-ჯგუფი“-ს საარბიტრაჟო მოსაკრებელი

23.1. საარბიტრაჟო მოსაკრებელი (დღგ-ს გარეშე) განისაზღვრება ლარებში შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| | სარჩელის ფასი | საარბიტრაჟო მოსაკრებელი |
|---|---|---|
| 1. | 10000 ლარის ჩათვლით | 1000 ლარი |
| 2. | 50000 ლარის ჩათვლით | 1500 ლარი |
| 3. | 50001 ლარიდან 100000 ლარის ჩათვლით | 15000 ლარს+50000 ლარის ზევით თანხის 4% |
| 4. | 100001 ლარიდან 200000 ლარის ჩათვლით | 3000 ლარს+100000 ლარის ზევით თანხის 3% |
| 5. | 200001 ლარიდან 500000 ლარის ჩათვლით | 5000 ლარს +200000 ლარის ზევით თანხის 2.5% |
| 6. | 500001 ლარიდან 1000000 ლარის ჩათვლით | 10000 ლარს+500000 ლარის ზევით თანხის 2% |
| 7. | 1000001 ლარიდან ზევით | 20000 ლარს+ 1000000 ლარის ზევით თანხის 1% |

მოცემული ცხრილი განსაზღვრავს საარბიტრაჟო მოსაკრებლისა და ხარჯის ოდენობას დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე. ერთარბიტრიანი არბიტრაჟის შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსაკრებელი მცირდება 15 %-ით, ხოლო ხუთარბიტრიანი არბიტრაჟის შემთხვევაში მოსაკრებლის ოდენობა იზრდება 30 %-ით.

### 24. საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირება

24.1. თუ მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქმის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ უწყების გაგზავნამდე გაითხოვა პრეტენზია, საარბიტრაჟო მოსაკრებელი (გარდა სარეგისტრაციო მოსაკრებლისა) მცირდება 80%-ით.

24.2. თუ მოსარჩელემ მოპასუხისათვის უწყების გაგზავნის შემდეგ, მაგრამ საქმის განხილვის დღემდე გაითხოვა პრეტენზია, იმის გამო, რომ მხარეებმა დავა დაარეგულირეს მოლაპარაკების შედეგად, საარბიტრაჟო მოსაკრებელი (გარდა სარეგისტრაციო მოსაკრებლისა) მცირდება 55%-ით.

24.3. თუ საქმის განხილვა შეწყდა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, საარბიტრაჟო მოსკრებელი (გარდა სარეგისტრაციო მოსაკრებლისა), მცირდება 30%-ით.

24.4. გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირების შესახებ უნდა აისახოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ან გადაწყვეტილებაში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საქმის წარმოების შეწყვეტა ხდება არბიტრაჟის ფორმირებამდე, გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირების შესახებ იღებს უნი-არბიტრაჟის თავმჯდომარე.

24.5. წინამდებარე თავის მოთხოვნები, დაკავშირებული საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირებასთან, არ ვრცელდება სარეგისტრაციო მოსაკრებელზე.

### 25. საარბიტრაჟო მოსაკრებელი შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიისთვის

შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე ვრცელდება საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანისათვის დადგენილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის წესი და ოდენობა.

### 26. საარბიტრაჟო მოსაკრებლის განაწილება მხარეთა შორის

26.1. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, საარბიტრაჟო მოსაკრებელი ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება.

26.2. თუ პრეტენზია დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მაშინ საარბიტრაჟო მოსაკრებელი მოპასუხეს ეკისრება დაკმაყოფილებული პრეტენზიის პროპორციულად, ხოლო მოსარჩელეს პრეტენზიის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელ ნაწილშიც არ დაკმაყოფილდა პრეტენზია.

### 27. საარბიტრაჟო ხარჯისა და მოსაკრებლების გადახდის წესი

საარბიტრაჟო ხარჯი და მოსაკრებლები გადახდილად ითვლება თანხის პალატის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან.

### 28. მხარეთა ხარჯი

მხარე, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილია გადაწყვეტილება, უფლებამოსილია მოსთხოვოს პალატას მეორე მხარისათვის, საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული, აგრეთვე იურიდიული წარმომადგენლის მეშვეობით არბიტრაჟში თავისი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული გონივრულად გაწეული ხარჯების დაკისრება.

### 29. საარბიტრაჟო ხარჯისა და მოსაკრებლების სხვაგვარი განაწილება

კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არბიტრაჟს შეუძლია დაადგინოს ამ დებულებით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული საარბიტრაჟო ხარჯისა და მხარეთა დანახარჯის განაწილების წესი, კერძოდ, დააკისროს ერთ მხარეს მეორე მხარის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ზედმეტი ხარჯის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია ერთი მხარის არაკეთილსინდისიერი და არამიზნობრივი მოქმედებებით, მათ შორის, მოქმედებებით, რომლებიც იწვევენ საარბიტრაჟო განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას.

### 30. არბიტრების ჰონორარი

30.1. არბიტრებისათვის ჰონორარის გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება პალატასა და არბიტრაჟს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ჰონორარის შესახებ.

30.2. არბიტრს ჰონორარი გადაეხდება საქმის განხილვის დამთავრებიდან ან შეწყვეტიდან ორი კვირის ვადაში.

### 31. შ.პ.ს. „უძრავი ქონების საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი უნი-ჯგუფი“-ს არბიტრთა სია:

1. გოჩა სვანიძე;
2. დიმიტრი გაბუნია;
3. კახა არაბიძე;
4. მამუკა სამაკაშვილი;
5. პაატა კიკვიძე;
6. ვასილ ტიტვინიძე;
7. პაატა ხურცილავა;
8. იონა ლორთქიფანიძე;
9. ლევან გელაშვილი;
10. ზაზა კაპანაძე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2008 წლის 4 აგვისტოს დღის 13 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „ბაჩას“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1 აგურის შენობა, ზომით 80X60 კვმ. სახურავი რკინის კონსტრუქციის, დახურულია შიფერით, შეფასებულია 15000 ლარად;
2. შენობა გოფმანის ღუმელით, ზომით 10X6 კვმ. 2 ღუმელი, შეფასებულია 2500 ლარად;
3. ელექტროქვესადგურის შენობა, კაპიტალური, ზომით 12X6 კვმ. სახურავი სიმკარის და შიფერის, დაზიანებულია, შეფასებულია 1500 ლარად;
4. სახელოსნოს შენობა, ზომით 5X6 კვმ. ნაწილი დანგრეულია, შეფასებულია 800 ლარად;
5. ავტოფარეხი, ზომით 12X6 კვმ. სახურავი სიმკარის, შეფასებულია 1800 ლარად;
6. კანტორის შენობა, კაპიტალური, ერთსართულიანი, ზომით 9X7 კვმ. სახურავი შიფერით, სარემონტოა, შეფასებულია 500 ლარად;
7. აბანოს შენობა, კაპიტალური, ერთსართულიანი, ზომით 17X3 კვმ. დახურულია რკინა-ბეტონით, საჭიროებს რემონტს, შეფასებულია 600 ლარად;
8. ტერიტორიის კეთილმოწყობა, ასფალტირებული გზა, შეფასებულია 150 ლარად;
9. ტრანსფორმატორი, ვარგისი, შეფასებულია 14000 ლარად;
10. ელ. შემდუღებელი სარემონტო, შეფასებულია 50 ლარად;
11. პრესფორმა თიხის, ზომით 0.4X 0.58, შეფასებულია 1800 ლარად;
12. პრესფორმა აგურის უვარგისი, 200 კგ. ჯართი შეფასებულია 40 ლარად;
13. პრესფორმა აგურის უვარგისი, 200 კგ. ჯართი შეფასებულია 40 ლარად;
14. პრესფორმა აგურის უვარგისი, 200 კგ. ჯართი შეფასებულია 40 ლარად;
15. პრესფორმა აგურის უვარგისი, 100 კგ. ჯართი შეფასებულია 20 ლარად;
16. ე.წ. „მეშლაკა“ თიხის, ვარგისი, შეფასებულია 250 ლარად;
17. ზეთის გამაგრილებელი, ვარგისი, შეფასებულია 200 ლარად;
18. თიხის კეცის პრესფორმა ვარგისი, შეფასებულია 500 ლარად;
19. ე.წ. „პრესი“, საჭიროებს რემონტს, შეფასებულია 2500 ლარად;
20. სახარატო ჩარხი, აღსადგენი, შეფასებულია 1800 ლარად;
21. საბურღი „სვერლო“ ვარგისი, შეფასებულია 250 ლარად;
22. მაგიდა, შეფასებულია 20 ლარად;
23. დივან-კრესლო, შეფასებულია 30 ლარად;
24. მაცივარი, შეფასებულია 50 ლარად;
25. კრესლო, შეფასებულია 15 ლარად;
26. ცისტერნა 5ტ. შეფასებულია 500 ლარად;
27. ცისტერნა 15ტ. შეფასებულია 1200 ლარად;
28. ძველი კანტორის შენობა, აგურის, ზომით 12X7, სახურავი შიფერის, სარემონტო, შეფასებულია 1000 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 47155 (ორმოცდაშვიდიათას ასორმოცდათხუთმეტი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. □1.**
**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2008 წლის 4 აგვისტოს დღის 14 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის მოედანი №3-ში (ტყიბულის ყოფილი საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „სოჩხეთის თაიგულის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ფაბრიკის შენობა, რკინა-ბეტონის კარკასული ანაგები, დაზიანებულია, შეფასებულია 17000 ლარად;
2. ქვესადგურის შენობა, აგებულია აგურით, დახურულია წიბოვანი ფილებით, შეფასებულია 2100 ლარად;
3. სასწორი დიდი, ვარგისი, შეფასებულია 3000 ლარად;
4. რადიოსადგური პოლისი, უვარგისი, შეფასებულია 0 ლარად;
5. მაგიდა საწერი, 2 ცალი, დაშლილია, შეფასებულია 0 ლარად;
6. ხელსაწყო სინაზე არ არის ადგილზე, შეფასებულია 0 ლარად;
7. ტრანსფორმატორი 100 კვტ-იანი. შეფასებულია 2500 ლარად;
8. ავტომანქანა რაფი-2203, გამოშვ. 1989წ. საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, შეფასებულია 200 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 21800 (ოცდაერთიათას რვაასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ.1.
**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2008 წლის 4 აგვისტოს დღის 15 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს ტყიბულის მეფრინველეობის ფაბრიკა „ახალსოფლის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. კანტორის შენობა, კაპიტალური, ორსართულიანი, შლაბლოკის, ზომა 12,15X10,4კვმ. სარემონტოა, შეფასებულია 5000 ლარად;
2. სან. გამშვების შენობა, კაპიტალური, ერთსართულიანი, ზომით 37,5X12კვმ, კედლები ჩამოშლილია, შესაძლებელია აგური და „პეკაჟების“ გამოყენება, შეფასებულია 650 ლარად;
3. კვერცხის საწყობი, აგურის ერთსართულიანი შენობა, ზომით 15,5X12,4კვმ, დახურვა „პეკაჟის“, აღსადგენია, შეფასებულია 1200 ლარად;
4. საქლორატო, შენობა დახურული პეკაჟით, ზომით 4X3კვმ. 100 ლარი;
5. საყარაულო ჯიხური, კაპიტალური აგურის შენობა, დახურვა შიფერის, ზომა 2,55X2,75კვმ. შეფასებულია 250 ლარად;
6. სატრანსფორმატორო, კაპიტალური, აგურის შენობა, დახურული სიმკარით, ზომა 10X5,75კვმ. შეფასებულია 1000 ლარად;
7. ინკუბატორის შენობა, კაპიტალური, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ზომა 18,55X12კვმ, შეიძლება გამოყენებული აგური, პეკაჟი, რკინაბეტონის კოჭი, შეფასებულია 1000 ლარად;
8. შენობის ვეტ. ბლოკი, კაპიტალური აგურის შენობა, დახურული პეკაჟით, ზომით 12,6X12კვმ. შეფასებულია 1200 ლარად;
9. საფრინველე 2, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ვარგისია აგური, შეფასებულია 400 ლარად;
10. საფრინველე 4, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ვარგისია აგური, შეფასებულია 320 ლარად;
11. საქვაბე, აგურის და შლა-ბლოკის, დანგრეულია, შეფასებულია 800 ლარად;
12. ძვ. ინკუბატორის შენობა, აგურის, ზომა 12,15X7კვმ, საჭიროებს რემონტს, შეფასებულია 900 ლარად;
13. ელექტროქვესადგური, რკინის, ზომა 2X2, შეფასებულია 150 ლარად,
14. სავენტილაციო დანადგარი, ვარგისია ძრავი, შეფასებულია 150 ლარად;
15. სამაცივრე დანადგარი, ჯართო 0,5 ტ. შეფასებულია 80 ლარად;
16. ინკუბატორი (1-2) ჯართი 0,5 ტ. შეფასებულია 80 ლარად;
17. კონდენსატორი, ჯართი 0,2ტ. შეფასებულია 30 ლარად;
18. წყლის გამაცხელებელი, უვარგისი, შეფასებულია 10 ლარად;
19. საბეჭდი მანქანა, შეფასებულია 10 ლარად;
20. ცეცხლგამძლე სეიფი, შეფასებულია 80 ლარად;
21. ჯართი 6 ტ. შეფასებულია 900 ლარად;
22. ელ. ვენტილატორი 2ც. შეფასებულია 40 ლარად;
23. ელგამშვები „კლაპანი“ შეფასებულია 40 ლარად;
24. აუზი სახანძრო, სარემონტო, შეფასებულია 50 ლარად;
25. გზა საფრინვ. ძველი, აღსადგენი, შეფასებულია 20 ლარად;
26. ელკამერა 6ც. 5 უვარგისი, შეფასებულია 40 ლარად;
27. კანალიზაცია, აზბესტის მილები, შეფასებულია 100 ლარად;
28. წყლის სათავე ნაგებობა, აღსადგენია, შეფასებულია 400 ლარად;
29. ნაკელსაცავი, დანგრეული, შეფასებულია 25 ლარად;
30. დეზ-ბარიერი, შეფასებულია 200 ლარად;
31. ბეტონის საყრდენები, 60 ცალი, 120 ლარი;
32. ბეტონის ბოძები, 31 ცალი, 2480 ლარი;
33. ბეტონის წყალგამტარი, 120 ცალი, 1200 ლარი;
34. შიფერი 87ც. 435 ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 19460 (ცხრამეტიათას ოთხასსამოცი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**
**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

# შეტყობინება
## სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „დილას“ დირექცია იწვევს სააქციო საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2008 წლის 11 აგვისტოს 15 საათზე ქ. გორში, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №8.**

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის წლიური ანგარიში.
წლის ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;
2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაცია (გაყოფა)

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექციაში როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) 2008 წლის 14 ივლისის მდგომარეობით რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრი“. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74ა, დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრი“, ტელ.: 230109.

დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მხარს უჭერენ დღის წესრიგში შეტანილი გადაწყვეტილებების მიღებას.

**სს „დილას“ დირექცია**

**ა/წ 7 აგვისტოს შედგება სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. სს „ქართული ფილმის“ დირექტორის 2007 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. სს „ქართული ფილმის“ 2008 წლის ბიზნეს-გეგმის დამტკიცება;
3. სს „ქართული ფილმის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაციის შესახებ;
4. სხვადასხვა.

**კრება შედგება მისამართზე: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, ახმეტელის 10ა. დღის 16 საათზე.**

**სს „ქართული ფილმი“**

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-14 მუხლის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2008 წლის 7 ივლისის №1-3/337 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარეობს შპს „ხანდაზმულთა და ინვალიდთა თავშესაფარ „წყალწითელას“, შპს „ბავშვთა სანატორიუმ „გაზაფხულის“, შპს „ქვრის ინვალიდთა სახლის“, შპს „კასპის ინვალიდ ბავშვთა პანსიონატის“, შპს „ცერებრული დამბლით დაავადებულ ინვალიდ ბავშვთა პანსიონატ „ტონუსის“ და სს „ქ. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის“ შერწყმა და მათ ბაზაზე შპს „ჩვილ ბავშვთა სახლის“ შექმნა, რომელიც წარმოადგენს ზემოაღნიშნული საზოგადოებების უფლებამონაცვლეს.

შპს „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის“ დირექტორი

---

2008 წ. 11 აგვისტოს დღის 15 სთ. ჩატარდება ს.ს. „ნიკოს“ აქციონერთა საერთო კრება, მისამართი: სამგორის ჩიხი №3ა.

განსახილველი საკითხები:

1. 2008 წლის I ნახევრის სამეურნეო შედეგები;
2. გაყოფა ნატურით;
3. სხვა ადმინისტრაციული საკითხები.

დირექცია

---

**◉ კათარზისი**

## სეზონის სენსაცია

ზაფხულის ხვატის მიუხედავად, მაშინ, როდესაც ქალაქის აკადემიურმა თეატრებმა სეზონი დახურეს, ასოციაცია „კათარზისის“ არაპროფესიონალ, ხანდაზმულ და ინვალიდ მსახიობთა თეატრში 18 ივლისს პრემიერა წარმოადგინა: რაფიელ ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

სპექტაკლი უთუოდ მოგხიბლავთ თავისი იუმორით, მონაწილეთა თამაშის სპეციფიურობით, იმ არაპროფესიონალიზმითაც, რომელიც სპექტაკლს განუმეორებელ ხიბლს სძენს.

გაურ ალადაშვილი (ლაზარე),
ასოციაციის პრეზიდენტი

---

## განცხადება

### სატენდერო შეთავაზება სს „ეკრანი-ლილოს“ აქციათა გამოსასყიდ ფასად ყიდვის თაობაზე

**სატენდერო შეთავაზებით სს „ეკრანი-ლილოს“ აქციათა გამოსასყიდ ფასად შეძენისათვის „გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღად“ დადგენილია 2008 წლის 21 ივლისი, რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.**

**გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:**

● მყიდველი ფლობს სს „ეკრანი-ლილოს“ გამოშვებულ 577,130 (ხუთას სამოცდაჩვიდმეტი ათას ასოცდაათი) ცალი ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საწესდებო კაპიტალის 97.049 პროცენტს და შემთავაზებელს სურს გამოისყიდოს 17,547 (ჩვიდმეტი ათას ხუთასორმოცდაშვიდი) ცალი ჩვეულებრივი აქცია, რომელიც არის საწესდებო კაპიტალის 2.951 პროცენტი.

● სს „ეკრანი-ლილოს“ აქციების შესყიდვის თანხა შეადგენს ერთი ცალი აქციისათვის 8.92 (რვა ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარს;

● სატენდერო შეთავაზება გრძელდება 2008 წლის 21 ივლისიდან 2008 წლის 21 სექტემბრამდე;

● სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში, გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელდება;

● შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ;

● სს „ეკრანი-ლილოს“ აქციონერთაგან გაყიდვაზე განაცხადების შეგროვებას განახორციელებს შპს **„საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+“** (ლიცენზიის ნომერი 20045) მისამართი: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. №24; ტელ: 914-999;

● სს „ეკრანი-ლილოს“ 2.951 პროცენტის 17,547 აქციის გაყიდვაზე თანხმობების სრული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში (თუ ყველა აქციონერი თანახმაა გაყიდვაზე) შემთავაზებელი მზადაა გამოისყიდოს აქციათა მთელი რაოდენობა.

აქციონერებს საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ $53^2$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოსყიდვის ანგარიშის გაცნობა შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორში – შპს „რეგისტრი“ (ლიცენზიის ნომერი 70004) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74 ა. ტელ. 23-01-09 და საბროკერო კომპანიაში – შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+“ (ლიცენზიის ნომერი 20045) შემდეგ მისამართზე: თბილისი, მოსაშვილის ქ. №24, ტელ: 914-999.

**მყიდველი: შპს „ასადოვ ფრუტი“**
**წარმომადგენელი: (მ. თავართქილაძე)**

---

საქმე №2/7084-06

## განჩინება

### კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

14 ივლისი 2008 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ზესიკ სისვაძემ, ზეპირი მოსმენის გარეშე, ერთპიროვნულად განიხილა შპს „საქართველოს ავიახაზების“ მიმართ გახსნილი გაკოტრების საქმეზე კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი.**

**დაადგინა:**

1. შპს „საქართველოს ავიახაზების“ მიმართ გახსნილი გაკოტრების საქმეზე მოწვეული იქნას კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით: შპს „საქართველოს ავიახაზების“ გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშის განხილვა და შპს „საქართველოს ავიახაზების“ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულება;
2. კრედიტორთა კრების ჩატარების დღედ და ადგილად განისაზღვროს 2008 წლის 29 ივლისი 14 (თოთხმეტი) საათი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მდებარე თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6, სხდომის დარბაზი №22;
3. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები არაუგვიანეს 2008 წლის 22 ივლისისა გამოქვეყნდეს პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც;
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე ზესიკ სისვაძე**
**ასლი დედანთან სწორია.**

---

## სს „ხალიბის“ დირექტორის აბესალომ მაისურაძის

## განცხადება

### სააქციო საზოგადოების რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

**სააქციო საზოგადოება „ხალიბის“ დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის აქციონერების რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 24 ივლისს 18 საათზე, სს „ხალიბის“ იურიდიულ მისამართზე: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩა №24.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ხალიბის“ მიერ საგადასახადო დავალიანების გასტუმრების უზრუნველსაყოფად სს „ხალიბის“ კუთვნილი ქონების გასხვისების საკითხის განხილვა;

მითითება აქციონერთა საერთო კრების პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით.

ა) აქციონერი საერთო კრებაში მონაწილეობს პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე;

ბ) დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე;

გ) კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება აქციონერთა რეესტრში, სს „ხალიბის“ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან **„საქართველოს რეგისტრატორი“, მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74ა, ტელ: 22-53-52; 91-31-42. ფაქსი: 25-19-60.**

**დირექტორთა რეკომენდაცია:**

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით გამართლებულად მიმაჩნია საზოგადოების ქონების გასხვისების საკითხის განხილვა საგადასახადო ორგანოების წინაშე დავალიანების სრული დაფარვის უზრუნველსაყოფად.

**სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაცია:**

ა) მიექცეს თანხმობა სს „ხალიბის“ დირექტორს საგადასახადო დავალიანების გასტუმრების უზრუნველსაყოფად სს „ხალიბის“ კუთვნილი ქონების გასხვისების შესახებ;

ბ) სს „ხალიბის“ ქონება გასხვისებულ იქნეს არანაკლებ დამოუკიდებელი ექსპერტის ან საექსპერტო დაწესებულების მიერ შეფასებულ ფასად.

სს „ხალიბის“ დირექტორი
**აბესალომ მაისურაძე**

---

საქმე №2-3

## განჩინება

### გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

4 ივნისი 2008 წელი ქ. გორი

**გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით პაპუაშვილმა ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა კოოპერატივ „ტყიავის“ გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი.**

**დაადგინა:**

განცხადება დაკმაყოფილდეს.

მოწვეულ იქნეს კოოპერატივ „ტყიავის კრედიტორთა კრება 2008 წლის 25 ივლისს 16 საათზე გორის რაიონული სასამართლოს შენობაში (მის. ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

ამ განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე განთავსდეს სასამართლოს დაფაზე.

განიმარტოს, რომ განჩინების გავრცელებიდან 2 (ორი) დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა ნაწილის მიმართ.

**მოსამართლე დავით პაპუაშვილი**

---

**შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე შენობის მე-2 სართულზე 660 $მ^2$-ზე.**

საწყისი საიჯარო ქირა 1 $მ^2$-ზე შეადგენს 4 (ოთხ) ლარს დღგ-ს და კომუნალური გადასახადების გარეშე.

აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 31 ივლისს 12 საათზე ჯიქიას ქ. №10-ში. განცხადების მიღების ბოლო ვადაა 30 ივლისი, 2008 წ. საკონტაქტო ტელეფონი 54-51-95.

**საწარმოს დირექცია**

---

## განცხადება

### სააქციო საზოგადოების კრების მოწვევის შესახებ

**სს „სხმულის“ დირექტორატი იწვევს სს აქციონერებს სს-ის რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 10 აგვისტოს თბილისში, მარნეულის ქ. №44-ში მდებარე სს-ის ადმინისტრაციის შენობაში, 12 საათზე.**

**დღის წესრიგი:**

1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.6 მუხლის ლ პუნქტით გათვალისწინებული საზოგადოების ქონების შეძენის და გასხვისების საკითხები.

---

## გაცნობებთ:

**20 აგვისტოს 2008 წლის 14 საათზე ტარდება სს „ალიონის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

სს „ალიონის“ ქონების რეალიზაცია.

**საკონტაქტო ტელეფონი: 95-16-13.**

---

**სააქციო საზოგადოება „თბილსრესმშენი“ აცხადებს:**

2008 წლის 8 აგვისტოს, პარასკევს, 14 საათზე შედგება აქციონერთა საერთო კრება.

მისამართი: 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №39 (საზოგადოების ოფისი ქ. თბილისში).

**დღის წესრიგი:**

1. 2007 წლის სამეურნეო-ფინანსური ანგარიში;
2. ცვლილებები საზოგადოების წესდებაში.

**სამთვალყურეო საბჭო, დირექტორატი**

ფეხბურთი

# მეორე ტაიმის კომპლექსი

**მაინც, რა უბედურება გვჭირს, კაცო – რატ არ უნდა კარგად დავიწყოთ თამაში, მეორე ნახევარი მაინც უნდა ჩავაფლავოთ. ეს თანაბარწილად ითქმის როგორც საშინაო, ისე საგარეო შეხვედრებზე. ციცხალი მაგალითები გნებავთ? – ინებეთ, ბატონო, ევროტურნირების პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო მატჩები.**

**ჩემპიონთა ლიგა**
**„დინამო“ – „რუნავიკი“ 3:0**

ფარერის კუნძულების ჩემპიონი თბილისს 14 ფეხბურთელით ეწვია, თანაც, სათადარიგო მეკარის გარეშე. დაგვეთანხმებით, ეს ფაქტიც მშვენივრად წარმოაჩენს სტუმართა ძალასა და საქმისადმი დამოკიდებულებას. მეკარე შემთხვევით არ გვიხსენებია – ბოლო წუთზე, როცა ჩრდილოელთა გოლკიპერი მეორე ყვითელი ბარათის



გამო მინდვრიდან გააძევეს, უკანასკნელი პოზიცია მცველმა ჰანსონმა დაიკავა.

აი, ასეთ უსუსურ მეტოქესთან იბურთავა ნახევარი ძალით საქართველოს საუკეთესო კლუბმა და ბრძოლის ბედი შესვენებამდე გადაწყვიტა, მეორე ტაიმში კი თავს „გახალტურების“ უფლება მისცა.

რაც შეეხება გოლებს, იგი კაშიამ, გველესიანმა და ოდიკაძემ (პენალტით) გაიტანეს.

**უეფას თასი**
**„დიორი “ – „ზესტაფონი“ 1:1,**
**„ტრნავა“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:2.**

ჩვენი გუნდები თავიდანვე დაწინაურდნენ როგორც უნგრეთში, ისე სლოვაკეთში, მაგრამ რად გინდა – ტრადიციისამებრ, ორივემ გაანიავა უპირატესობა და, ნებსით თუ უნებლიედ, საპასუხო ბატალიებს ინტრიგა შეუნარჩუნა.

**ჩემპიონთა ლიგა**

„ტამპერე“ – „ბუდუჩნოსტი“ 2:1, „დიუდელანჟი“ – „დომჟალე“ 0:1, „ანორთოსისი“ – „პიუნიკი“ 1:0, „ვალეტა“ – „პეტრჟალკა“ 0:2, ბატე – „ვალიური“ 2:0, „სანტა კოლომა“ – „კაუნასი“ 1:4, „ლანელი“ – „ვენტსპილსი“ 1:0, „დინამო“ (ტირანაძ – „მოდრიცა“ 0:2, „აქტობე“ – „შერიფი“ 1:0, „ლინფილდი“ – „დინამო“ (ზაგრებიძ 0:2, „დროჰედა“ – „ლევადია“ 2:1, „მურატა“ – „გეტებორგი“ 0:5, „ინტერი“ (ბაქოძ – „რაბოტნიჩკი“ 0:0.



**უეფას თასი**

„შახტიორი“ (ყარაგანდაძ – „დებრეცენი“ 1:1, „არარატი“ – „ბელინცონა“ 0:1, „ტობოლი“ – „აუსტრია“ 1:0, მტზ – „ჟილინა“ 2:2, „ოლიმპისი“ – „სენტ პატრიკი“ 0:1, „ჰონკა“ – „აკრანესი“ 3:0, ტვმკ – „ნორდსიელანდი“ 0:3, „პელისტერი“ – „აპოელი“ (კვიპროსიძ 0:0, „ჰაპოელი“ (თელ-ავივიძ – „იუვენესი“ 3:0, „;ჰაპოელი“ (კაჩინიძ – „მოგრენი“ 1:1, „ხაზარი“ – „ლეხი“ 0:1, „ვოივოდინა“ – „ოლიმპიკი“ 1:0, „დაჩია“ – „ბორაცი“ 1:1, „ვეტრა“ – „ვიკინგი“ 1:0, „იურგორდენი“ – „ფლორა“ 0:0, „სუდუვა“ – ტნს 1:0, „ჩერნო მორე“ – „სანტა ჯულია“ 4:0, „რასინგი“ – „კალმარი“ 0:3, „ბრონდბიუ“ – ბ36 1:0, „ვადუცი“ – „ზრინსკი“ 1:2, „ჰერტა“ – „ნისტრუ“ 8:1, „მარსაკსლოკი“ – „სლავენი“ 0:4, „შიროკი ბრიეგი“ – „პარტიზანი“ 0:0, „ზეტა“ – „ინტერბლოკი“ 1:1, „სტრეიმური “ – „სიტი“ 0:2, „ზალცბურგი“ – „ბანანცი“ 7:0, „კოპერი“ – „ვლაჟნია“ 1:2, „ლეგია“ – „გომელი“ 0:0, „ჰაიდუკი“ – „ბირკირკარა“ 4:0„ ბანგორი“ – „მიდტიულანდი“ 1:6, „გლენტორანი“ – „მეტალურგსი“ 1:1, „კლიფტონვილი“ – „კოპენჰაგენი“ 1:4, „კორკ სიტი“ – ჰაკა 2:2, „ჰაფნარფიორდური“ – „გრევენმახერი“ 3:2.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

მძლეოსნობა

# ორნი – მეორედ

**უკვე გაუწყეთ, რომ ქართველმა მძლეოსანმა მარიამ ქევხიშვილმა (მწვრთნელი ყარამან საბანაშვილიძ, რომელიც ორი წელიწადია, ამერიკაში სწავლობს და იქვე სტივ ლემკეს ხელმძღვანელობით ვარჯიშობს ბირთვის კვრაში, ჯერ კიდევ თებერვალში მოიპოვა პეკინის ოლიმპიადის საგზური. აიოვას შტატის**



**პირველობაზე მან ბირთვი 17,44-მეტრიან ნიშნულს გადააცილა და სალიცენზიო ნორმატივს 24 სანტიმეტრით გადააამეტა. ცოტა მოგვიანებით კი პირადი რეკორდიც დაამყარა – NCAA-ს ნაციონალურ ჩემპიონატში სტუდენტთა შორის 17,85 მეტრით პირველი ადგილი დაიკავა. სულ 17 ტურნირში მოსინჯა ძალები და ნახევარზე მეტში პირველობა ხვდა. იგი ზაფხულის თამაშებში მეორედ იასპარეზებს.**

ასევე, მეორედ მოსინჯავს ოლიმპიადაზე ძალებს თარჯმრბენი დავით ილარიანი (მწვრთნელი გოგი გოზალიშვილიძ. ამას წინათ იერუსალიმის საერთაშორისო ტურნირზე მან საქართველოს რეკორდით დაიმსახურა საგზური: 110 მეტრი 13,67 წამში გაირბინა, რაც უწინდელ მიღწევას 0,02 წამით, ხოლო სალიცენზიო ნორმატივს 0,05 წამით სჯობს.

ამჟამად ორივე სპორტსმენი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის მძლეოსნურ სექტორებზე ბოლო საწვრთნელ შეკრებას გადის. როგორც ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ გვითხრა, საქართველოს სპორტულ დელეგაციაში მან თავისი ადგილი ამერიკელ ლემკეს დაუთმო. ქევხიშვილისთვის ასე სჯობს, რომ თამაშებზე უკეთესი შედეგი აჩვენოს. მარიამს და დავითს პეკინში მსოფლიოს 50-60 საუკეთესო ათლეტთან მოუწევთ გაჯიბრება.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

ინტერნეტიდან

## მკაცრად გასაიდუმლოებული

**სწორედ რომ ასე ჩაიარა ოთხშაბათს პეკინში 29-ე ზაფხულის ოლიმპიური თამაშების რეპეტიციამ. ანონიმური მაყურებლის თქმით, ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიის რეპეტიციას ესწრეოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე სი ცზიპინი. წინასწარი „რეპეტიციები“ მკაცრად გასაიდუმლოებულია, ნებისმიერ დამსწრეს მკაცრად აფრთხილებენ რაიმე წვრილმანის გაუმჟღავნებლობაში. „ჩინურ მასმედიას აკრძალული აქვს იმის გამოქვეყნება, თუ რა ხდებოდა რეპეტიციის დროს“, – აღნიშნავს თვითმხილველი.**

როგორც ანონიმური ინფორმატორი იტყობინება, „ცერემონია გაგრძელდება დაახლოებით საათნახევარს და დამთავრდება უზარმაზარი სალუტით“. მასში მონაწილეობას მიიღებს ათასობით ადამიანი. ალბათ ერთ-ერთი ნომერი იქნება ცეკვა ტრადიციული ჩინური ქოლგებით, რომლებზეც გამოსახული იქნება ბავშვების ღიმილი. ცერემონიის მონაწილე მსახიობები გამოეწყობიან „ქამელეონის კოსტიუმებში“, თავისით რომ იცვლის ფერს.

ეროვნულ სტადიონზე „ჩიტის ბუდე“ გამართული ცერემონიის კულმინაციური შოუ იქნება მთავარი ოლიმპიური ცეცხლის ანთება. განსხვავებული კი ის იქნება, რომ მას ერთით კი არა, ერთბაშად ხუთი ჩირაღდნით აანთებენ. ეს რიცხვი შემთხვევითი როდია – ოლიმპიური რგოლებიც ხომ ხუთია.



ამბობენ, რომ ანთების შემდეგ ცეცხლი თანდათან მაღლა აიწევს და ბოლოს სტადიონის თავზე აგიზგიზდება, რასაც კარგად დაინახავენ ოლიმპიადის დედაქალაქის მცხოვრებლები. ყოველივე ეს მოხდება ორი ათას რვა წლის მერვე თვის რვა რიცხვში. ესეც შემთხვევით არჩევანი როდია – ამ ქვეყანაში ხომ რვიანს ბედნიერ რიცხვად, აყვავების სიმბოლოდ მიიჩნევენ.

## წლის საუკეთესონი



**ამერიკულმა ტელეარხმა ESPN წლის საუკეთესო ჩოგბურთელ ქალად მიიჩნია მარია შარაპოვა, ხოლო მამაკაცებიდან – შვეიცარიელი როჟე ფედერერი. ამავე დროს ესპანელი რაფაელ ნადალი აღიარეს წლის საუკეთესო უცხოელ სპორტსმენად.**

ყველაზე მეტი ჯილდო – სამი – დააგროვა ამერიკელმა გოლფისტმა ტაიგერ ვუდსმა, რომელიც პირველობდა ნომინაციებში „წლის სპორტსმენი“, „წლის გოლფისტი“ და ფეხის მოტეხვის შემდეგ ამერიკის ღია ჩემპიონატზე გამოსვლისთვის – „საუკეთესო გამომსვლელი“.

სპორტის სახეობების მიხედვით ნომინაციებში პირველობდნენ მძლეოსანი ტაისონ გეი, კალათბურთელი კობი ბრაიანტი, ჰოკეისტი სიდნი კრობსძი, წლის გუნდად მიიჩნიეს ნბა-ის ჩემპიონი „ბოსტონ სელტიკსი“.

დაჯილდოების ცერემონია, რომელსაც პოპულარული მსახიობი ჯასტინ ტიმბერლეიკი უძღვებოდა, ლოს-ანჟელესში გაიმართა.

## რას გადაეკიდნენ რონალდუს?

**ბოლო ხანებში ძალზე ბევრს ლაპარაკობენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელ ფეხბურთელზე კრიშტიანუ რონალდუზე. განსაკუთრებით მის ინტიმურ თავგადასავლებზე.**

აი, ახლაც, როგორც ინგლისური გაზეთი The Sun ამტკიცებს, სახელოვანმა ფეხბურთელმა კარგი დრო გაატარა ვნებიან პერის ჰილტონთან.

23 წლის ფეხბურთელი, ეს-ეს არის კოჭ-წვივის ოპერაცია რომ გადაიტანა, ჰოლივუდის ლეგენდარულ კლუბ „ვილას“ ეწვია. იმ ვარსკვლავებში, რომელთა შორის კრიშტიანუ მოხვდა, სკანდალებით სახელგანთქმულ პერის ჰილტონიც აღმოჩნდა. სატრფოსთან განშორებით მოწყენილი ფეხბურთელი VIP-ზონაში არაყს ეძალებოდაო. თვითმხილველების თქმით, ის არც მხიარულობდა.

პერის ჰილტონის ახლობლები კი გადაჭრით უარყოფენ გაზეთის ამ ცნობას და ამბობენ, რომ ის საღამო ქალიშვილმა ოჯახთან ერთად გაატარაო.



## გამოსათხოვარი



# გულნარა გერსამია

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გულნარა გერსამია. ქალბატონი გულნარა იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მსოფლიო საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ნაციონალური ცენტრის პათანატომიის განყოფილების გამგე ონკოლოგიის დარგში მუშაობის 60 წლის სტაჟით.

გულნარა კლიმენტის ასული გერსამია დაიბადა 1924 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში (დედა – მარიამ სიდამონ-ერისთავი, განათლებით მხატვარი. მამა – კლიმენტი გერსამია, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, დოცენტი).

1941 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, 1946 წელს კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ ონკოლოგიურ დისპანსერში ქირურგ-ორდინატორად.

გ. გერსამიამ პრაქტიკული მოღვაწეობა დაიწყო 1946 წლიდან. ის ექვსი წლის განმავლობაში (1952 წლამდე) მუშაობდა, როგორც ქირურგი ონკოლოგი, შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური დისპანსერის პათომორფოლოგიურ ლაბორატორიას. აკადემიკოს ვლადიმერ ჟღენტის რეკომენდაციით 1959 წელს მან საქართველოში ახლად დაარსებულ ონკოლოგიის ინსტიტუტში, ჩამოაყალიბა პათომორფოლოგიური ლაბორატორია და არჩეული იქნა ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

1959 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს – სადოქტორო დისერტაცია, 1970 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

პროფესორი გ. გერსამია ონკოლოგიის დარგში მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა პრაქტიკულ, მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადო მოღვაწეობას.

1976 წელს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის შექმნისას მოხდა ლაბორატორიის რეორგანიზაცია. პროფ. გერსამია აქაც არჩეულ იქნა აღნიშნული ლაბორატორიის ხელმძღვანელად. ლაბორატორია კვლევის მეთოდების ხასიათით, საკვლევო თემატიკის იდეურობით დგას საერთაშორისო ლაბორატორიების დონეზე. პროფ. გ. გერსამია, წლების განმავლობაში ასრულებდა რა პრაქტიკულ საქმიანობას, კლინიცისტებთან უშუალო კონტაქტში დახელოვნდა, როგორც ონკოლოგი კლინიცისტი-ქირურგი და თეორეტიკოსი, მორფოლოგი-პრაქტიკული მიკროსკოპიით.

მისი მნიშვნელოვანი შრომები დაბეჭდილია კიბოს საწინააღმდეგო არაერთი საერთაშორისო კონგრესის მასალებში.

პროფ. გ. გერსამიას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროდუქტია 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. შრომების ძირითადი მიმართულებაა სიმსივნეების თერაპიული პათომორფოზი პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტში.

ამგვარად პროფ. გ. გერსამიას მეცნიერული პროდუქცია განკუთვნილი იყო იმ თეორიული და პრაქტიკული ონკოლოგიის საკითხებზე, სადაც დადგენილია ისეთი ფაქტები და კანონზომიერებანი, რომლებიც დღემდე ლიტერატურაში სხვა ავტორებს არა აქვთ გამოქვეყნებული.

პროფ. გ. გერსამია დაუღალავად ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობასაც. მისი ხელმძღვანელობით ლაბორატორიაში შესრულდა 35 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. მან აღზარდა და დაახელოვნა მრავალი სხვადასხვა პროფილის ექიმი, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სხვადასხვა პროფილის ლაბორატორიებსა და კლინიკებში, მათ შორის საზღვარგარეთაც.

გ. გერსამია აღიარებულ იქნა როგორც მაღალი ერუდიციის, თაობების აღმზრდელი, რომლის ხელმძღვანელობით ყალიბდებოდა არა მხოლოდ საუკეთესო მკვლევარი, არამედ კარგი მოქალაქეც.

დაუღალავი, მშრომელი, გულისხმიერი, პრინციპული, ყოველგვარ საქმეში აქტიური გ. გერსამია დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა კოლექტივშიც.

პროფ. გ. გერსამია იყო პათოლოგ-ანატომთა, ონკოლოგთა და რადიოლოგთა საზოგადოებების წევრი.. მრავალი წელი იყო საქართველოს ონკოლოგთა რესპუბლიკური და თბილისის სამეცნიერო საზოგადოების გენერალური მდივანი. წლების მანძილზე იყო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის, სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სწავლული მდივანი. ხელმძღვანელობდა ონკოცენტრის საკოორდინაციო საბჭოს. ზემოთ აღნიშნული ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობის საფუძველზე პროფ გ. გერსამიას მიღებული აქვს უამრავი ჯილდო. ის აქტიური წევრი იყო საზოგადოება თბილისელის ქალთა საკრებულოსი.

ყველაფერი ზემოგანხილული გახდა საფუძველი იმისა, რომ პროფ. გერსამია:

1983 წ. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით იღებს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებას;

1987 წ. სამამულო ქირურგიის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის ჯილდოვდება გრიგოლ მუხაძის საპატიო მედლით;

1993 წ. ადგილობრივად გავრცელებული ფილტვის კიბოს ქირურგიული მკურნალობის სამეცნიერო ნაშრომისთვის იღებს ანდრო ღვამიჩავას სახელობის პრემიას;

1994 წ. ხდება საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი;

1996 წ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოში ონკოლოგიური სამსახურის დაარსებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჯილდოვდება საპატიო სიგელით;

1997 წ. ქართული ონკოლოგიის მეცნიერების განვითარებისთვის, ჯილდოვდება ღირსების ორდენით;

1997 წ. შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში;

1999 წ. საუკეთესო რადიოლოგიის დარგში სამეცნიერო ნაშრომისთვის ენიჭება ამირან ჩაჩავას სახელობის პრემია;

2000 წ. თბილისის მერიის განკარგულებით ჯილდოვდება „თბილისის ერთგულების მედლით";

2002 წ. ქართული მედიცინის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის ჯანდაცვის მინისტრი აჯილდოებს „საპატიო მედლით".

ქალბატონი გულნარას სახელს უკავშირდება ონკომორფოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში და ის სამართლიანად ითვლება მის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ქალბატონი გულნარა იყო დიდი ოჯახის დედა. მისი მეუღლე ბ-ნი რევი ჩიქოვანი მრავალი წლების განმავლობაში იყო რესპუბლიკის მთავარი ონკოლოგი. ვაჟმა – გუგამ წარმატებით დაიცვა საკანდიტატო დისერტაცია მოსკოვის ონკოცენტრში, ხოლო ქალიშვილი თიკო, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, აგრძელებს დედის კვალს, ის პათომორფოლოგია.

არიან ადამიანები, რომელთა პიროვნული თუ პროფესიული გავლენის სფერო არ შემოიფარგლება ოჯახის წევრების, მეგობრებისა და კოლეგების ვიწრო წრით. მათი ცხოვრების სტილს, აზროვნების წესს, ბიოგრაფიასაც კი, ლოგიკას, ქცევის ნორმებს, არსებობის შინაგან კანონს სხვა დატვირთვა აქვს. ამდენად იგი სცილდება ოჯახური, მეგობრული, კოლეგიური ინტერესების ფარგლებს და გარკვეული სოციალური წრისა და ეპოქისთვის ერთგვარი სიმბოლო ხდება, რომელიც თავის თავში აერთიანებს სამოქალაქო და ყოფითი კულტურის საუკეთესო ტრადიციებს. სწორედ ასეთი იყო ქალბატონი გულნარა.

ვემშვიდობებით რა ქალბატონ გულნარას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან შექმნა თავისი საკუთარი, განსაკუთრებული სახე ქალის, მეცნიერის, მეუღლის, დედის, ბებიის, მეგობრის, ორგანიზატორის და, საერთოდ, უბრალოდ მოქალაქის.

მისი წასვლა ჭეშმარიტად უდავოდ დიდი დანაკლისია როგორც ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის კოლექტივისა და საქ. პათანატომიური საზოგადოებისათვის, ისე თითოეული იმ ადამიანისთვის, ვისთანაც ქალბატონ გულნარას ჰქონდა შეხება. თავისი დაუშრეტელი ენერგიით ქ. გულნარა იყო ყველა წამოწყების ლიდერი, ყველა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. უზოროტო, საოცრად კეთილი, მუდამ მომღიმარი და მოსიყვარულე, მიმტევებელი, ულალატო და საუკეთესო მეგობარი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონ გულნარას სპეტაკი სული.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი. საქართველოს პათოლოგანატომთა ასოციაცია.

## ქართული ონკომორფოლოგიის ფუძემდებელი

ძვირფასო ქალბატონო გულნარა! როგორი ტკივილი მოგვაყენეთ თქვენი წასვლით. როგორი მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის თქვენი ასეთი მძიმე ავადმყოფობა... როგორი ღირსეული იყო თქვენი დამოკიდებულება ამ უმძიმესი რეალობის მიმართ, როგორი ხანმოკლე აღმოჩნდა თქვენი ავადმყოფობის პერიოდი.

ჩვენ კი დაგვიტოვეთ გულში საოცარი ტკივილი, მოულოდნელი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდით თქვენი თანამშრომლები და მეგობრები...

თქვენ ხომ ყოველთვის იყავით ყველას იმედი, ულალატო მეგობარი, საუკეთესო მრჩეველი. თქვენი გადამდები კეთილგანწყობა და სიცოცხლის სიყვარული სამაგალითო იყო ყველასთვის, თქვენ ხომ უშურველად გასცემდით იმ დიდ სითბოს და მზრუნველობას, რომელიც ასე საჭიროა თითოეული ადამიანისათვის და რომლის საფუძველიც მაღალი ზნეობრიობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, მაღალპროფესიული და მოქალაქეობრივი თვისებებია.

თქვენ იყავით ის პიროვნება, ვისი გავლენის სფერო არ შემოიფარგლებოდა ოჯახის წევრების, კოლეგებისა და მეგობრების ვიწრო წრით. თქვენი ცხოვრების სტილი, აზროვნების წესი თქვენი ეპოქის ერთგვარი სიმბოლო გახდა, რომელმაც თავის თავში გააერთიანა სამოქალაქო, პროფესიული და ყოფითი კულტურის საუკეთესო ტრადიციები, რომელიც თქვენს გარშემო ყოველთვის ქმნიდა იმ სივრცეს, სადაც თითოეულ ადამიანს შეეძლო გამოევლინა თავისი საუკეთესო თვისებები.

თქვენ იყავით ყველასათვის სიმართლის, ადამიანური სიძლიერის, ერთგულებისა და სიყვარულის, უზადო გემოვნების სიმბოლო, რომელიც თქვენი ბუნებრივი, თანდაყოლილი სიბრძნის სიღრმეებიდან მოდიოდა.



ცხოვრების ამ ეტაპზეც თქვენ თქვენი არჩევანი გააკეთეთ...

ჩვენ კი, თქვენს კოლეგებსა და ახლობლებს, დაგვიტოვეთ ადამიანური ღირსების, უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის, სიმამაცის დაუვიწყარი მაგალითი, რადგან ის მაღალი ფასეულობები, რომელიც თქვენს ყოველდღიურობას თან ახლდა, დავიწყებას არ ექვემდებარება, იგი მუდმივად არსებობს უხილავად და თითოეულ ჩვენგანში წარუშლელ კვალს სტოვებს.

ქალბატონო გულნარა! თქვენ ღირსეულად და ლამაზად ატარეთ თქვენი ჯვარი, გვიჭირს გაცნობიერება, რომ ჩვენთან აღარ ხართ, მაგრამ იმ მწუხარებას, რომელიც თავს დაგვატყდა, გვიქარვებს სიამაყის გრძნობა, რომ ჩვენ, თქვენს მეგობრებსა და თანამშრომლებს, გვერგო პატივად თქვენთან ერთად გვემუშავა და მძიმე წუთებშიც თქვენს გვერდში ვყოფილიყავით. გვიყვარხართ და უკვე გვენატრებით...

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი;
კ. ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება, ონკოცენტრის პათომორფოლოგიური განყოფილება

## ხსოვნა



# ზურაბ დარჩიაშვილი

ჩვენი ზურაც წავიდა, ჩვენი საქმოს ღირსეული წევრი... იგი ოქტომბერში 67 წლისა გახდებოდა.

ჩვენი ზურა...

იგი იყო შესანიშნავი ინჟინერი, სხვადასხვა დროს მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, იყო მზრუნველი მეუღლე, სამაგალითო მამა და პაპა... ზურაბ დარჩიაშვილს გამოარჩევდა თავმდაბლობა, მოყვასის, სამშობლოს სიყვარული, ახლობლის, მეგობრის ჭირსა და ლხინში გულმხურვალება...

ვაი რომ, ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან იგი და დაგვიტოვა სევდა, რომელიც დიდხანს გაჰყვება თვითეულ ჩვენგანს.

მშვიდად იძინე ზურა, ნათელი დაგადგეს!

პანაშვიდი 19 VII (წერეთლის 101ძ, გამოსვენება 20 VII, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან 15 საათზე.

ჯემალ ცერცვაძე, ჯიმი ბროძელი, ავთო ძიძიგური, ჯემალ ჩაჩიბაია, თამაზ კვერნაძე, მურთაზ ყიფიანი, მერაბ ბროძელი, ზურაბ ქარაბაკი, ალექსანდრე დარასელია, ქუჩუკი სოხაძე, გეგუ მუშკუდიანი, ავთო მიქაძე, ანტონ თორდია, რეზო შუღლიაშვილი, ზაქრო ავალიშვილი, ჯემალ ხატისკაცი, გილბერ სებისკვერაძე, ავთო ტოგონიძე, როსტომ საგინაშვილი, ვილენ მარდალეიშვილი.

IQ

გონების სავარჯიშო – ყმაწვილთათვის და არა ოდენ მათთვის

# მარჯვე ბიჭო, ნიკო, შეიმოწმე ინკო!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 12 ივლისის (წინა შაბათისძ ნომერში ამ რუბრიკის „პრემიერა“ გვქონდა. მკითხველს, ვინც ჩვენს „თამაშში“ ჩაბმას დღეიდან, 19 ივლისის ნომრიდან მოისურვებს, ხსენებული პუბლიკაციის გადახედვას ვთხოვთ „საქმის კურსში“ ჩასადგომად, ანუ სათანადო წესების გასაცნობად.**

### ტესტი 2

1. **ვალი თანა** – ეს გახლავთ რვაასოიანი სიტყვის ანაგრამა. რომლისა?

2. „ორიანი“ ისე ეთანადება „ორს“, როგორც „არაფერი“: ცხრიანს, შვიდიანს, სამიანს, ერთიანს, ნულს.

3. ფრჩხილებში მოყვანილი სიტყვებიდან რომელია ასომთავრულით დაწერილი სიტყვის საპირისპირო თავისი მნიშვნელობით?

**ეგოისტი (ალტრუისტი, ინდივიდუალისტი, პრაგმატისტი, სუბიექტივისტიძ.**

4. მოყვანილ რიგში რომელ რიცხვს ჩაწერდით კითხვის ნიშნის მაგიერ?

2; 3; 1; 4; 0;?

5. ფრჩხილებში ისეთი სიტყვა ჩაწერეთ, რომელსაც მარცხნიდანაც მიესადაგება განმარტება და მარჯვნიდანაც.

ზღაპრული პერსონაჟი (....ძ მამაკაცის სახელი

6. დააკვირდით ამ რიგის რიცხვებს და ჩაწერეთ მორიგი წევრი.

111 321; 11 132; 1116; 116; ?

7.




ქვემოთ მოცემული სამკუთხედებიდან რომელს დააკავებინებთ ზემო კონსტრუქციაში კითხვის ნიშნის ადგილს?




8. ყოველ მწკრივში ისე ჩაწერეთ ორ-ორი ასო ფრჩხილებში, რომ დაამთავრებინოთ ფრჩხილების მარცხნივ დაწყებული სიტყვა და დააწყებინოთ ფრჩხილების მარჯვნივ ასოებით დასრულებული სიტყვა. ფრჩხილებში ჩასმული მარცვლებიდან კი ექვსასოიანი სიტყვა უნდა გამოვიდეს ზემოდან ქვემოთ წაკითხვისას.

დ ი (..ძ ზ ი
ლ ა (..ძ კ ი
დ ე (..ძ ს ი

9. ფრჩხილებში ჩამწკრივებული სიტყვებიდან რომელია მნიშვნელობით ახლოს ასომთავრულით წინ დაწერილთან?

მ ი კ რ ო (სილატაკე, ნამცეცა, მხარდაჭერა, კასაცია, თანადგომაძ

10. ანბანის რიგზე გაიხსენეთ ქალის 6 სახელი, შემდგარი ორი ერთნაირი მარცვლისგან.

### ტესტი 1-ის პასუხები

*1. ნაამბობი. მონაყოლი*

*2. თავქარიანი (დანარჩენი სიტყვები სინონიმებიაძ*

***3. მწკრივის მეორე წევრი პირველისაგან 1-ზე გამრავლებით მიიღება, მესამე მეორისაგან – 2-ზე გამრავლებით (აქ „–“ ნიშნავს „ტირეს“ და არა „მინუსს“ძ, მეოთხე მესამისაგან – 3-ზე გამრავლებით; ამრიგად, მეხუთე წევრის მისაღებად წინა უნდა გამრავლდეს 4-ზე და კითხვის ნიშანს შეცვლის რიცხვი 30 (7,5 X 4=30ძ.***

*4. დავუკვირდეთ, როგორ არის ზედა რიგში მიღებული მეორე ექვსკუთხედი: ნიშანი „+“ აცოცდაზემოთ, მეზობელ მარცხენა კუთხეში, მომდევნო კუთხეში კი გამოჩნდა ნიშანი „–“; მესამე ექვსკუთხედი მეორისაგან იმით განირჩევა, რომ „პლუსმა“ დაიკავა „მინუსის“ კუთხე, „მინუსმა“ გადაინაცვლა მეზობელ კუთხეში და შემდეგი კუთხე შეავსო საპირისპირო ნიშანმა „პლუსმა“; ამ წესის გარკვევის შედეგად ზედა რიგს შემოთავაზებული ხუთი ექვსკუთხედიდან გააგრძელებს III.*

*5. ანბანზე დალაგებული 10 ასო ისე უნდა „ავურიოთ“, რომ გამოგვივიდეს ლიტერატურული ცნება „გადმოენება“ (ეს ნეოლოგიზმი, რომელიც იქნებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა პირველად, ნიშნავს მხატვრული ნაწარმოების „გადმოტანას“ ერთი ენიდან მეორეზეძ.*

*მოდით, პასუხებში „რეკლამის“ გამოცხადებით, ამ სიახლეს ხუმარსიტყვით შევეგებოთ:*

*ჩვენს მთარგმნელს რაც რომ ენება*
*პავიჩის გადმოენება –*
*მკითხველისაგან ეგება*
*კვლავაც ერგება შექება...*

*6. რიცხვი 54 ოთხჯერ ნაკლებია 216-ზე, მეორეს მხრივ 216 სამჯერ მეტია 72-ზე. ამოწერილი I-V რიგებიდან ასეთივე თანაფარდობა გვხვდება მხოლოდ II-ში.*

*7. ფრჩხილებში „მომწყვდეული“ სიტყვებიდან მნიშვნელობით „ფრაგმენტული“ უპირისპირდება ფრჩხილების წინ მოცემულ სიტყვას „კომპლექტურს“.*

*8. ბარი*

*9. მეორე რიცხვი 4587 მიღებულია პირველი რიცხვიდან 79854 ასე: ამოვწეროთ ციფრები „უკუღმა“, რაც მოგვცემს რიცხვს 45 897; ახლა აქედან უკუვაგდოთ უდიდესი ციფრი „9“, დავრჩება 4587; ასევე მოვექცეთ ამ რიცხვს – გამოგვივა 754; ამის უკუღმა ჩაწერა მოგვცემს 457-ს, საიდანაც უდიდესი ციფრის 7-ის ამოგდებით შეგვრჩება 45 და დაიკავებს კითხვის ნიშნის ადგილს.*

*10. მგელი (ხუთასოიანი სიტყვებია სარმა, ბარგი, ასვეს, ვაშლი, ბადიაძ.*

---

შვილები გუგა და თიკო ჩიქოვანები, შვილიშვილები სანდრო, ნიკუშა ჩიქოვანები, ირაკლი გეგენავა, რძალი ხათუნა მელიქიშვილი, სიძე გუგა გეგენავა, მძახლები ჯუანშერ ამირანაშვილი და ლია მელიქიშვილი იუწყებიან რომ გარდაიცვალა

გულნარა გერსამია

გამოსვენება 20 VII, 15 სთ. გრიბოედოვის ქ.№6.

---

ინეზა ჭიჭინაძე შვილებით, მაია, ქეთი დევდარიანები, სიძეები დავით ანანიაშვილი და სოსო ორჯონიკიძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გულნარა გერსამია

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

თამარ დეკანოსიძე ოჯახით ულრმეს მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ქართველი პათოლოგის, საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის პათომორფოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელის, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოში ონკოლოგიის პათოლოგიურანატომიური სამსახურის, ონკოლოგიური მიკრომორფოლოგიური დიაგნოსტიკის ფუძემდებლის, საქართველოს სამედიცინო ბიოლოგიისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

გულნარა გერსამიას

გარდაცვალების გამო და ულრმეს სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის პათომორფოლოგიის განყოფილების წევრებს, საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელობას და მისი ყველა ინფრასტრუქტურის თანამშრომელს.

---

რეზო და რუსუდან გაგუები იუწყებიან უახლოესი მეგობრის, გამოჩენილი მეცნიერის და მაღალი პროფესიონალის, უსათნოესი ქალბატონის

გულნარა გერსამიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს.

---

მემნუნე და ლევან ჩარკვიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

გულნარა გერსამიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

---

ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ღვაწლმოსილი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს ონკომორფოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, ცენტრის პათომორფოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი

გულნარა კლიმენტის ასული გერსამია

---

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი

გულნარა გერსამია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

დიმიტრი კორძაია, ნოდარ ბაქრაძე, ჯანგირ მამალაძე ულრმეს მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი ქართველი მორფოლოგის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიების წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ

გულნარა გერსამიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ მაყვალა ბერიანიძეს სიძის

რობერტ ქენქაძის

გარდაცვალების გამო

---

იუბილე



## ვულოცავთ აკაკი (კაკო) ჯაველიძეს

შპს „გზაპროექტის“ (ყოფილი „სოიუზდორპროექტის“ძ კოლექტივი სულით და გულით ულოცავს ინსტიტუტის ღვაწლმოსილ მუშაკს, ხიდების და გზების დარგის დამსახურებულ ინჟინერს, ღირსების ორდენის კავალერს, ბატონ აკაკი (კაკოძ ჯაველიძეს დაბადების 70 და ინსტიტუტში მოღვაწეობის 45 (47ძ წლისთავს და უსურვებს კიდევ დიდხანს შემოქმედებით საქმიანობას, ბედნიერებას და ჯანმრთელობას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

შპს „გზაპროექტის“ კოლექტივი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.